# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 9 მარტი 2000 №43 (1065) | ფასი 50 თეთრი


## 6 ფედერაცია ლოზუნგებით მუშაობს

მიაჩნია ფოთის „კოლხეთის“ დირექტორს ვახტანგ ხაინდრავას

## 7 ერიდეთ ინფორმატორებს

ნუთუ ვუდგეიტმა და ბოუერმა ძმაკაცი ჩაუშვეს?

## 7 მუხლჩახრილი ლუის ენრიკე



ლუის ენრიკე სერიოზულად დაშავებულა

## 15 ნუ გაიმეტებ!

ზღვარგადასულმა უხეშობამ სპორტსმენი შეიძლება ციხის კარამდე მიიყვანოს



# გერმანია ფეხზე, რეალი მუხლებზე!

UEFA CHAMPIONS LEAGUE

## მეორე ეტაპი IV ტური

C ჯგუფი

| | |
|---|---|
| რუსენბორგი | 1 |
| დინამო | 2 |
| ბაიერნი | 4 |
| რეალი | 1 |

D ჯგუფი

| | |
|---|---|
| ფეიენოორდი | 0 |
| ლაციო | 0 |
| ჩელსი | 1 |
| მარსელი | 0 |

*ოტმარ ჰიცფელდს ბოლოსწინა წუთზე ლოთარ მათეუსი რომ არ შეეცვალა, ძალიან შეცდებოდა — მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონი“ ფეხზე წამოუდგა „ბაიერნიდან“ მიმავალ დიდ ფეხბურთელს. „გმადლობთ, ლოთარ და ბედი გწყალობდეს ნიუ იორკში“ ლაღადებდა სტადიონის ტაბლო. და „ბაიერნმაც“ თავის გმირს დაუვიწყარი საღამო მიუძღვნა — მადრიდის „რეალი“ მუხლებზე ბევრს არ დაუჩოქებია.*

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — რეალი 4:1. მადრიდელი ფერნანდო რედონდო მიუნხენელი ლოთარ მათეუსის (მარჯვნივ) შეჩერებას ცდილობს



REUTERS ლონდონიდან

ლაციო — ჩელსი 1:0. მარსელელი ჟაკ აბარდონადო (№2) და ლონდონელი ტორე ანდრე ფლო

## ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპი
IV ტური. 8 მარტი

CHAMPIONS LEAGUE

### C ჯგუფი

**ბაიერნი 4:1 რეალი**

1:0 შოლი (4), 2:0 ელბერი (30), 2:1 ელგერა (69), 3:1, 4:1 ციკლერი (79, 90)
ბაიერნი: კანი, კუფური, ლინკე, მათეუსი (ანდერსონი 89), ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ფინკი, ეფენბერგი, შოლი, პაულო სერჟიო, ელბერი (ციკლერი 72)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი, კარანკა (ანელკა 69), იერო, მიჩელ სალგადო, რედონდო, გუტი, ჯერემი (მაკმანამანი 62), ივან ელგერა, რაული, მორიენტესი (კამპო 85)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: კარანკა, შოლი, რობერტო კარლოსი, ეფენბერგი
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
60 000 მაყურებელი

**რუსენბორგი 1:2 დინამო**

0:1 რებროვი (32), 1:1 ბერგი (38), 1:2 რებროვი (66)
რუსენბორგი: არასონი, ბასმა, ბრაგსტადი, ჰოფტუნი, იონსენი, სტრანდი (სტორვიკი 78), სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, კარეუ, მინი-იაკობსენი (კნუტსენი 78)
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
დინამო: შოვკოვსკი, გერასიმენკო, მამედოვი, ნესმაჩნი (კორმილცევი 67), ხაცკევიჩი, კალაძე, გუსინი, ბელკევიჩი, ფიოდოროვი, რებროვი, შაცკიხი (დემეტრაძე 46)
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
გაფრთხილება: კალაძე
მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
13 069 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:5 | 10 |
| დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| რეალი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:10 | 6 |
| რუსენბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |

*14 მარტი. რეალი — დინამო, ბაიერნი — რუსენბორგი*

### D ჯგუფი

**ფეიენოორდი 0:0 ლაციო**

ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, ვან ვონდერენი, კონტერმანი, რზასა, ბოსველტი, ვან გასტელი, პაუვე (კალუ 66), დე ვისერი, დალ ტომასონი, ხულიო კრუზი
მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, მიხაილოვიჩი, ნესტა, პანკარო, სენსინი, ნედვედი, ვერონი, სერჟიო კონსეისაო, სალასი, მანჩინი (ს. ინძაგი 66)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: ნესტა, ვერონი, კონტერმანი, ვან ვონდერენი, მიხაილოვიჩი
მსაჯი: გიუნტერ ბენკო (ავსტრია)
45 000 მაყურებელი

**ჩელსი 1:0 მარსელი**

1:0 უაიზი (27)
ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, ფერერი, დეშამპი (დიმატეო 79), პოიეტი, უაიზი, მორისი, ძოლა (ჰერლი 79), ფლო
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
მარსელი: ტრევიზანი, პერესი (ფიშერი 39), სიპრიენი (დე ლა პენია 66), ბრანდო, დალმა, აბარდონადო, ჟ. ლერუა, ლუქსენი, პირესი, პუჟე, ბაკაიოკო
მწვრთნელი: ბერნარ კაზონი
გაფრთხილება: დეშამპი, ლებეფი, პუჟე, ფიშერი
მსაჯი: ხუან ანტონიო ფერნანდეს მარინი (ესპანეთი)
33 206 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ფეიენოორდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ლაციო | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| მარსელი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:6 | 3 |

*14 მარტი. ლაციო — მარსელი, ფეიენოორდი — ჩელსი*



REUTERS როიტერდამიდან

ფეიენოორდი — ლაციო 0:0. რომაელი პაველ ნედვედი (№18) და როტერდამელი პოლ ბოსველტი

# მოდი, ვნახოთ რობოტი

UEFA CUP

## უეფას თასის მერვედფინალი. II წრე

რატომღაც ასეთი ტრადიცია დამკვიდრდა — უეფას თასი აუცილებლად იტალიურმა კლუბმა უნდა მოიგოს. ბოლო ათ წელიწადში აპენინელები ცხრაჯერ გავიდნენ ფინალში და შვიდჯერ გაიმარჯვეს. ახლაც იქადნებოდნენ, მეოთხედფინალში ოთხი გუნდი უნდა გავიყვანოთო, მაგრამ „უდინეზესთვის" ჩეხური „სლავია" გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა. სამნიც დღეს თამაშობენ და ვნახოთ.

ტურინელთა თავკაცი კარლო ანჩელოტი საფიქრალს მისცემია. მას სერია A-ს მომდევნო ტურის წინ ზოგიერთი ფეხბურთელის დასვენება სურდა. საამისოდ უეფას თასის გათამაშების მერვედფინალის პირველ წრეში „იუვენტუსს" „სელტასთვის" სოლიდური ანგარიშით უნდა მოეგო, რაც ვერ შეძლო. მწვრთნელი შიშობს, შესუსტებული შემადგენლობით რომ ვითამაშოთ, ვაითუ, ვიგოდან შერცხვენილები დავბრუნდეთო. მაგრამ ანჩელოტი რისკავს — ფილიპო ინძაგის დასვენება გადაწყვიტა. მის ნაცვლად კი ალესანდრო დელ პიეროს იუგოსლაველი დარკო კოვაჩევიჩი შეუწყვილდება. აი, ზინედინ ზიდანი აუცილებლად ითამაშებს, თუ რა თქმა უნდა, მატჩის წინ მწვრთნელმა გადაწყვეტილება არ შეცვალა. დაცვის მარცხენა ფრთაზე მარკ იულიანოს კიდევ ერთი ბალკანელი ლეგიონერი, ზორან მირკოვიჩი შეცვლის, მოედნის შუაგულში ედგარ დავიდსის ადგილი კი სანდი ოლისემ უნდა დაიკავოს.

„იუვენტუსმა" წინა ეტაპებზე სტუმრად ყველა მატჩი მოიგო, თუმცა ვიგოელებზე ეს ფაქტი შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. სელტელი ვალერი კარპინი ამბობს: „მერე რა, რომ სტუმრად იგებდნენ? რობოტები ხომ არ არიან. ეგ ამბავი სულაც არ გვაღარდებს, საკუთარი თავის იმედი გვაქვს".



რომა — ლიდსი 0:0. რომაელი ამადეო კარბონე (№20) და ლიდსელი ლი ბოუერი დღეს „ელანდ როუდზეც" შეხვდებიან ერთმანეთს

„იუვენტუსის" მსგავსად „პარმამ" პირველ წრეში მინიმალური ანგარიშით იმარჯვა. პარმელები იმუქრებიან, ის უნდა ვქნათ, რაც „რეალმა" 14 წლის წინ მოახერხაო. მაშინ უეფას თასის მფლობელმა მადრიდულმა კლუბმა ტიტულის დაცვა შეძლო. კვირას, სერია A-ს მორიგ ტურში, „პარმამ" „რეჯინას" 3:0 მოუგო და ჩინებულ განწყობაზეა. ბოლო ორ შეხვედრაში სამი გოლის გამტანი ერნან კრესპო „ვერდერის" კარს დღესაც შეუტევს. თავდასხმაში მასთან ერთად მარკო დი ვაიო ითამაშებს, ბრემენელებს კი უპირველესად მარკო ბოდეს იმედი აქვთ. მან ტრავმა მოიშუშა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

უცნაური გუნდია „რომა". 0:0 საყვარელ ანგარიშად გაუხდია და მეოთხედფინალში გასვლას კი ლამობს. რომაელებს ლიდსში გოლის გატანა სჭირდებათ. ამის გამხერხებელი კაციც ჰყავთ — ფრანჩესკო ტოტი. „რომას" კაპიტანი ცოტათი ფეხს იტკივებს, თუმცა თამაშს აპირებს. დღეს „რომას" ბრაზილიელი მცველი კაფუ არ ეყოლება და მის შემცვლელად ფაბიო კაპელოს ალესანდრო რინალდი შეურჩევია. დანაკლისი მასპინძლებსაც აქვთ. ჯონათან ვუდგეიტის, ლი ბოუერის და ჯეისონ უილკოქსის თამაში საეჭვოა. თუმცა „ქოვენთრისთან" 3:0 მოგების შემდეგ უხასიათობას არც ისინი უჩივიან.

ესპანელებზეც ვთქვათ. „მალიორკას" წინა კვირაში „მონაკოს" კარში ორი გოლის გამტანი იოვან სტანკოვიჩი არ ეყოლება. თუმცა კუნძულელები მაინც იმედიანად არიან — პირველ წრეში დიდი ანგარიშით მოგება ამის საფუძველს აძლევთ.

გაუქვითავს „დეპორტივო" „არსენალს" ხუთ გოლს? მეტად საეჭვოა. ამას გალისიელთა ბასკი მწვრთნელი ხავიერ ირურეტაც ხვდება და ამბობს, ჩვენთვის მთავარი ქვეყნის ჩემპიონატის მოგებააო. რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის დასვენებასაც აპირებს.

„ატლეტიკოში" ახალდანიშნულ რადომირ ანტიჩს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი და პირველ წრეში „ლანსთან" ფრედ დასრულებული მატჩის გამარჯვებად ქცევას შეეცდება.

სტამბოლიდან კი სასეირო ამბებს უნდა ველოდეთ. შეძლებს „დორტმუნდი" შინ ნაჭამი სირცხვილის ჩამოწმენდას? თურქები ამბობენ, რომ ვერა. ისე, საშობაო არდადეგების შემდეგ გერმანელებს ერთი თამაშიც ვერ მოუგიათ და როდესღაც ხომ უნდა მოიგონ?

**გიორგი დარჯანია**

სანამ „სპარტა" პრაღაში „ჰერტას" უმასპინძლებდა, ჩეხთა მეორე დედაქალაქური კლუბი — „სლავია" იტალიურ უდინეს ესტუმრა. ერთი კვირის წინ უეფას თასის მერვედფინალის პირველ წრეში „სლავიამ" „უდინეზეს" 1:0 მოუგო. ის ერთადერთი გოლი კი იტალიელი მცველის, მარკო ძანკის სინდისზეა, რომელმაც 76-ე წუთზე ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

გუშინდელ შეხვედრაში ანგარიში უდინეზელმა ნახევარმცველმა სტეფანო ფიორემ გახსნა. ეს 22-ე წუთზე მოხდა და ისე ჩანდა, თითქოს მასპინძლები რევანშის აღებას შეძლებდნენ, მაგრამ 41-ზე ლიბორ კოლერის თავურმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა — 1:1.

„უდინეზეს" საქმე გაურთულდა, იტალიელებს კიდევ ორი გოლი უნდა გაეტანათ. მეორე ტაიმის დაწყებიდან ექვსი წუთი იყო გასული, როდესაც მასპინძელთა არგენტინელმა ლეგიონერმა რობერტო კარლოს სოსამ უძლიერესი თავურით „უდინეზე" დააწინაურა. შეხვედრის დასრულებამდე კიდევ დიდი დრო იყო და იტალიელებმა გააფთრებით შეუტიეს. 79-ე წუთზე ტომას ლოკატელიმ ჩეხთა მეკარე რადეკ ჩერნის გვერდი აუარა და დაარტყა. ბურთი ძელს მოხვდა.

უკვე მსაჯის მიერ დამატებული დრო მიმდინარეობდა. სტუმართა საჯარიმოში უდინელი მეკარე მორგან დე სანტისიც ჩასულიყო. იტალიელებმა ბოლოჯერ გაიბრძოლეს, მათმა კაპიტანმა ვალერიო ბერტოტომ კარისკენ დაარტყა — კვლავ ძელი. ასხლეტილ ბურთს ჩერნი შესწვდა და მსაჯის სასტვენის ხმაც გაისმა...

„სლავია" დამარცხდა, თუმცა... ეს გამარჯვების მომტანი მარცხი იყო. მეოთხედფინალში ჩეხთა მეტოქე „რომა" — „ლიდსის" წყვილში გამარჯვებული იქნება.

## უეფას თასი. მერვედფინალი
მეორე წრე. 7 მარტი

UEFA CUP

**უდინეზე (იტალია) 2:1 *სლავია (ჩეხეთი)* (0:1)**

1:0 ფიორე (22), 1:1 კოლერი (41), 2:1 სოსა (51)
უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სოტილი (ძანკი 25), გარგო, ფიორე, ჯანიკედა, ვან დერ ვენტი (ალბერტო 58), იორგენსენი, ლოკატელი, მარჯიოტა (სოსა 50), მუცი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
სლავია: ჩერნი, ვლჩეკი (ჰისკი 34), პეტროუსი, რადა, ლ. დოშეკი, ულიხი, დოშტალეკი, პ. ჰორვატი, კოლერი, ტ. დოშეკი (კუჩარი 90), ზელენკა (რ. ვაგნერი 76)
მწვრთნელი: ფრანტიშეკ კიპრო
მსაჯი: ტ. ჰუგი (ნორვეგია)
30 000 მაყურებელი

*მეოთხედფინალში „სლავია" შეხვდება „ლიდსი"—„რომას" შორის გამარჯვებულს.*



იტალიელი ჯულიანო ჯანიკედა და ჩეხი რიხარდ დოშტალეკი (№8)

## ინგლისი

გადადებული მატჩი

**ვესტ ჰემი 2:0 საუთჰემპტონი**

I დივიზიონი
XXXV ტური

**მანჩესტერ სიტი 1:3 ქუინზ პარკი**
**ნოტინგემი 1:1 ნორვიჩი**

## შოტლანდია

გადადებული მატჩი

**სელტიკი 0:1 რეინჯერსი**



# საქართველოს თასი

## მერვედფინალი

*საპასუხო მატჩები*

# კედლის მიღმა: მეოთხედფინალში



ბაქარ იოსელიანის ფოტო

თბილისელი ირაკლი შენგელია კაციაშვილის (№4), ძოძუაშვილის (№9) და ლაშა ჩხაიძის (№19) წინააღმდეგ

თბილისი
8 მარტი
15 საათი
დილმის ბაზა
200

**თბილისი 0:1 ლოკომოტივი**

პირველი მატჩი 1:1

1:0 რუსია (5)

თბილისი: ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, პაპიძე (ჩივაძე 59), კანდელაკი, ნორაკიძე (ენუქიძე 55), ტყებუჩავა, კოხრეიძე, ი. შენგელია, გონჩაროვი, გადელია (ყუფარაძე 72)

*სათადარიგონი:* მამალაძე; თ. დოლიძე, ზვ. ლაბაძე

ლოკომოტივი: ლომაია, გილაური, ონიანი (ლ. ჩხაიძე 35, პარამონოვი 81), კაციაშვილი, გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, ჯულელი, ჭიჭვეიშვილი, ხუროძე (გ. გვაზავა 85), რუსია

*სათადარიგონი:* ნიკურაძე, გულორდავა, სალუქვაძე, ვ. გველესიანი

გაფრთხილება: პაპიძე (16), ზამთარაძე (70), შენგელია (89)

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. კახიანი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

კობა ინასარიძე

თბილისის „ლოკომოტივი" მიზანს ერთი ნაბიჯითაც მიუახლოვდა. ათიოდ დღის წინ იქვე, კედლის გადაღმა ნათამაშევი თითო-თითო ბურთიანი ფრის შემდეგ რკინიგზელებმა გუშინ საპასუხო მატჩში „დინამოს" დილმის საწვრთნელ ბაზაზე „თბილისს" მინიმალური სხვაობით მოუგეს და თასის მეოთხედფინალს უწიეს. „თბილისმა კი ახლა მხოლოდ პირველ ჯგუფში ადგილის შენარჩუნებისთვის უნდა იბრძოლოს.

მატჩი მაინცდამაინც კარგი საცქერი ვერ გამოდგა. გუნდებში დაცვაზე მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე შეტევაზე. რამდენიმე საგოლე მომენტს თუ არ ჩავთვლით, ბურთი უმეტესად მოედნის შუაში დაგორავდა.

პირველი ხუთი წუთი აშკარად „ლოკომოტივისა" იყო. „თბილისი" ერთხელაც ვერ მიუახლოვდა ლომაიას კარს. რკინიგზელებმა მეხუთე წუთზე გაიტანეს, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ერთადერთი, შემოთხედფინალში გასასვლელად საკმარისი გოლი და მერე თავის ნახევარზე გამაგრდნენ. გოლი რუსიამ შეაგდო, ერთობ ლამაზიც. მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ვარდნაში თავი შეაგება და მეკარისგან შორეულ კუთხეში გაიტანა. თუმცა იქამდე იგივე რუსიას, შესვენებამდე რკინიგზელთაგან საუკეთესო რომ იყო, რეალური მომენტიც გაუცუდდა — ცარიელ კარს თავურით ზემოდან გადააცილა ბურთი.

მერე თამაში დაწყნარდა. „თბილისს" ანგარიშის გასათანაბრებლად მთელი 85 წუთი ჰქონდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. პირველ ტაიმში ლომაია სულ უსაქმოდ გახლდათ, ბურთს მაშინ ეხებოდა და იგერიებდა, პარტნიორები რომ დაუგორებდნენ. „თბილისის" შეტევები კი უმთავრესად ცენტრისა და საჯარიმოს ხაზებს შორის იშლებოდა. რუსია ხომ ვახსენეთ და საწყის 35 წუთს საყრდენად მოთამაშე ჭიჭვეიშვილის შრომაც აღსანიშნავია, სწორედ მისი დამსახურება იყო, „თბილისმა" მეტოქეს ხეირიანად ერთხელაც რომ ვერ შეუტიეს.

სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. „ლოკომოტივს" რა ენაღვლებოდა, საპასუხო მატჩში სტუმრად გატანილი გოლი მეოთხედფინალთან აახლოებდა, „თბილისს" ეკითხა. მასპინძლებმა კი მეორე ტაიმში მეტოქის კარისკენ სულ ერთხელ დაარტყეს, გადელიას მიზანმა უმტყუნა, ბურთი კარს ოდნავ ასცდა. მეტი ღირებული „თბილისს" არაფერი შეუქმნია. ისიცაა, რომ 72-ე წუთზე მწვრთნელმა რამაზ მუმლაძემ ორ თავდამსხმელს ერთი მოაკლო, გადელია მცველ ყუფარაძით შეცვალა და თავდასხმაში მხოლოდ გონჩაროვი დატოვა, რომელსაც რკინიგზელთა მცველებმა გასაქანი არ მისცეს. მიიღებდა თუ არა ბურთს, მაშინვე ორ-სამ ლოკომოტიველს შორის რჩებოდა. სტუმრები არ ჩქარობდნენ, საკუთარ ნახევარზე დინჯად აგორებდნენ ბურთს, მეტოქეს იტყუებდნენ და მერე ძოძუაშვილსა და რუსიას სისწრაფეს იყენებდნენ შეტევებისთვის. „თბილისის" მცველები ყურადღებით იყვნენ, ერთმანეთს კარგად აზღვევდნენ.

ასე მიილია 90 წუთიც. „ლოკომოტივმა„ „თბილისი" ფიზიკურადაც დაჯაბნა და პირველ მატჩთან შედარებით უკეთესი შთაბეჭდილებაც დატოვა. მაშინ რევაზ ძოძუაშვილი ბიჭების შეუთამაშებლობაზე ჩიოდა, გუშინ ეს აღარ იგრძნობოდა, ფეხბურთელები ერთმანეთს შეეჩვივნენ. ერთიცაა, „ლოკომოტივმა" მეოთხედფინალამდე კი გააღწია, მაგრამ შემდეგ კენჭისყრამ მეტოქედ „თბილისზე" ძლიერი გუნდი თუ არგუნა, ნახევარფინალამდე მისვლა ასეთი თამაშით ერთობ გაუჭირდება, თუმც იქამდე ძოძუაშვილსაც და ფეხბურთელებსაც საკმაო დრო აქვთ.

# არ ემეგობროთ ვიტ ჯორჯიას!

მცხეთა
8 მარტი
15 საათი
არმაზი
50 (ტევადობა 3 000)

**თსუ 1:5 ვიტ ჯორჯია**

პირველი მატჩი 1:1

0:1, 0:2 რ. გოცირიძე (15,28), 0:3 გოჩაშვილი (34), 1:3 ბ. ნოზაძე (55), 1:4, 1:5 გოჩაშვილი (60,70)

თსუ: მერლანი (გუგუნავა 46), ინდუაშვილი, ებრალიძე, ფარქოსაძე, დეკანოსიძე, მესხი, ქადაგიძე, ბ. ნოზაძე, გ. გოცირიძე (ა. ლობჟანიძე 65), კვიციანი, დ. არჩვაძე (თ. ბოკერია 57)

*სათადარიგონი:* ადამია, წუწუნავა, ერაძე

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე (მამარდაშვილი 46), თოდუა, ჭანკოტაძე (ლ. ნოზაძე 60), საჯაია, კობიაშვილი, დიდმელაშვილი, მორჩილაძე, ყიფიანი (კოტორაშვილი 46), დ. დოლიძე, რ. გოცირიძე, ვ. გოჩაშვილი

*სათადარიგონი:* ი. ხაჭაპურიძე, გიორგი ქორიძე

გაფრთხილება: კობიაშვილი (23), ჭანკოტაძე (58)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ზ. ხუციშვილი, ვ. ელისაბედაშვილი (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან

თბილისის „ვიტ ჯორჯიას" ამხანაგობა არ სცოდნია. გუშინ მცხეთაში „არმაზის" დათოვლილ მინდორზე თსუ 5:1 გაანადგურა. რა კავშირი აქვთ ვიტელებს და თსუ-ელებს ერთმანეთთან, თავადაც მოგეხსენებათ. ვინც არ იცის, მათ გასაგონათ ვიტყვი — მათ მონათესავე სპონსორი (სტადიონიც) აერთიანებთ. თანაც თსუ ვიტელთა საბაზო გუნდადაც ითვლება.

არაამხანაგური — ასე მონათლა „სარბიელმა" ამ გუნდების პირველი სათასო მატჩი. მაშინ „არმაზზე" მასპინძლად „ვიტ ჯორჯია" ითვლებოდა, თუმცა თსუ-მ ის შეხვედრა ჩინებულად ჩაატარა და ბოლო წუთებზე გაშვებული დასანანი გოლი რომ არა, 1:0-ს მოიგებდა. თუმცა გუშინდელი შედეგიდან გამომდინარე, ესეც ვერ უშველიდათ.

იმ თამაშის მსგავსად, გუშინაც არასრული შემადგენლობით დაუპირისპირდნენ მეტოქეები. თსუ-ს, ტრავმების გამო ადამია და წუწუნავა აკლდა, ერაძემ ოჯახური მიზეზების გამო ვერ ითამაშა, ხოლო სვანაძეს დისკვალიფიკაცია ჰქონდა. ბარქაია, ხართიშვილი, და მაზიაშვილი კი შემოდგომაზე თასის შეხვედრებში „ვიტ ჯორჯიას" ღირსებას იცავდნენ და დებულების მიხედვით თსუ-ში თამაშის უფლება არ ჰქონდათ. ვიტელებს კი სხვადასხვა მიზეზების გამო ქორიძე, მელქაძე, გვაზავა და მუჯირი აკლდათ.

თსუელებს ამ მატჩში 0:0-იც აძლევდათ ხელს. ამიტომ თენგიზ კაციას შეგირდებს დაცვაში ფხიზლად თამაში მართებდათ, თუმცა... ანგარიშიდანაც ყველაფერი ჩანს.

შეხვედრის პირველი ტაიმი ძალიან უინტერესო გამოდგა. 45 წუთის მანძილზე სულ სამი სახიფათო მომენტი შეიქმნა. სამივე თსუ-ს კართან და სამივე გოლით დასრულდა.

პირველად „სტუმართა" დაცვის ხაზი მე-15 წუთზე შეცდა. შედეგად რეზო გოცირიძე მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, თავდამსხმელიც არ დაიბნა და აუღელვებლად გაიტანა. ამას მალე გოცირიძის მეორე გოლი მოჰყვა. საჯარიმოში შესული გოჩაშვილის ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა და რეზოს მიუგორდა, რომელსაც ცარიელ კარში გატანა არ გასჭირვებია. 34-ე წუთზე ვიტელთა ახალწვეულმა მორჩილაძემ ითამაშა კარგად, მარჯვენა ფრთაზე მეურვე ჩამოიშორა და გოჩაშვილს კარგი პასი გაუკეთა, მან კი შეუჩერებლად და ზუსტად დაარტყა. მიუხედავად სამბურთიანი ჩამორჩენისა, თსუ-ს თავი არ გამოუდვია. პირველად ჭურაძეს 42-ე წუთზე დაურტყეს, მაშინაც ბურთი მეკარეს პირდაპირ ხელებში მიუვიდა. პირველ ტაიმში სხვა აღსანიშნავი არაფერი მომხდარა.

მეორე ნახევარი თსუელებმა შედარებით აქტიურად დაიწყეს და ერთი საპასუხო გოლიც გაიტანეს — ფარქოსაძის ფლანგულ გარღვევას და ჩაწოდებას ნოზაძემ კარგად შეურჩია ადგილი და ვარდნაში თავით 1:3 გახადა. ეს იყო და ეს, მინდორზე „ვიტ ჯორჯია" გაბატონდა. კოტრიკაძის დამოძლიერილებმა დიდი სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს, რაც მეტოქის კარში გატანილ კიდევ ორ გოლში გამოიხატა. კიდევ ბევრჯერ კი, ეტყობა, დაინდეს თსუ.

მარტო გოჩაშვილს ხუთჯერ მართებდა მერლანის შემცვლელი გუგუნავას დამწუხრება. ხუთიდან ორი შანსი თავდამსხმელმა გამოიყენა, დანარჩენ შემთხვევებში კი მიზანმა უმტყუნა — ცარიელ კარს სანწაულებრივ ააცილა. ასეა თუ ისე, გოჩაშვილმა ჰეთ თრიქი შეასრულა და ორივე გუნდშიც გამოირჩა.

ბიჭებით კმაყოფილი ვარ, თასზეც და ჩემპიონატშიც სერიოზულად ვაპირებთ ბრძოლასო, გვითხრა ნამატჩევს ვიტელთა პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ. ჩემპიონატის პირველ ტურში „დინამოსთან" თამაშსაც თუ გავითვალისწინებთ, სრულიად შესაძლებელია, „ვიტ ჯორჯიამ" ერთ-ერთ ფრონტზე სერიოზულ წარმატებას მიაღწიოს.

# შეხვედრის ადგილი იცვლება?

წყალტუბო
8 მარტი
15.45 საათი
გუმბრინის ბაზა
150

**სამგურალი 2:2 მარგვეთი**

პირველი მატჩი 2:0

0:1 ენდელაძე (33პ), 0:2 სამხარაძე (37), 1:2 სუხიაშვილი (44პ), 2:2 ფრანგიშვილი (67)

სამგურალი: სტურუა, ჭელიძე (ზურაბიანი 38), ფრანგიშვილი, ჩხაბერიძე, გ. ჯანელიძე, გ. ძაგნიძე, სუხიაშვილი, ჭყონია, ფუტკარაძე (ზ. ქუთათელაძე 70), ნებიერიძე, შ. ღონღაძე

*სათადარიგონი:* ბოდოკია; ბერაძე

მარგვეთი: მერკვილიშვილი, ბოჭორიშვილი, ორბელაძე, გაბრიჭიძე, სულაკაძე, შველიძე, მ. მუმლაძე, კირკიტაძე, გ. სამხარაძე, თ. ლანჩავა, ენდელაძე

სათადარიგონი: ბ. შეყრილაძე; ბ. მაღლაკელიძე, ბარდაველიძე, კ. თავბერიძე, ლ. რობაქიძე, გელხვიიძე, წიქარიშვილი

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. რაზმაძე (გორი), გ. მარლიშვილი (ქარელი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. იაშვილი

იმერულ წყვილში საბოლოოდ გამარჯვებულის ვინაობა, ერთი შეხედვით, ეჭვს არ იწვევდა. რამდენიმე დღის წინ თერჯოლაში ნასტუმრალმა „სამგურალმა" 2:0 აჯობა დაბალლიგელ „მარგვეთს" და, ვერც ვერავინ იფიქრებდა, რომ მეოთხედფინალში გასვლა საპრობლემო შეექნებოდა. არადა, სწორედ ასე მოხდა...

ჯერ ის ვთქვათ, რომ თამაში 45 წუთის დაგვიანებით დაიწყო. მიზეზს არ იკითხავთ? მასპინძლები, თურმე, თავიანთ ბაზაზე, სოფელ გუმბრინში ელოდნ[illegible]ემტაფონლებს. ისინი კი წყალტუბოში „26 მაისს" მიადგნენ. მარგველებმა, აქაოდა თამაშის ადგილის შეცვლის შესახებ წინასწარ არავის გავუფრთხილებივართო, იქვე გასახდელში გამოიცვალეს და ბაზაზე წასვლას უარობდნენ. მერე კლუბების მესვეურებმა დაილაპარაკეს და „მარგვეთიც" გუმბრინს ჩავიდა. ამასობაში კარგა დრო გავიდა. კაზუსიც ეს არის.

გეხსომებათ, „სამგურალმა" სამეორეეტაპოდ „ტორპედოს" ფარმკლუბ ინტერიდან რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატა, მაგრამ „მარგვეთთან" სათასო შეხვედრებში ვერცერთი ათამაშა შოთა ფუტკარაძის გარდა. მიზეზი თასის დებულებაა, პირველ ეტაპზე „მარგვეთი" სწორედ ინტერს ეთამაშა და ვინც იმ მატჩებში ქუთაისელთაგან მონაწილეობდა, ხელახლა „მარგვეთთან" დაპირისპირების უფლება აღარ ჰქონდათ.

მასპინძლებს, როგორც ჩანს, საპასუხო შეხვედრაშიც იოლი გამარჯვების იმედი ჰქონდათ და არხეინად დაიწყეს. პასუხმაც არ დააყოვნა. სტუმრებმა იძალეს და 37-ე წუთისთვის ორი ბურთით დაწინაურდნენ. „სამგურალმა" მხოლოდ ამის მერე იგრძნო კატასტროფის საშიშროება და ტაიმის მიწურულს მეკარესთან პირისპირ გასული შალვა ფრანგიშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაქვითა ერთი გოლი.

მეორე ტაიმში წყალტუბოელები უფრო ფხიზლად იყვნენ და ანგარიშის გაყაიმებაც მოახერხეს. ისევ ფრანგიშვილმა გამოიჩინა თავი. ამის შემდეგ თამაშს ინტერესი დაეკარგა, ორივე გუნდი უსუსურად ირჯებოდა და მატჩიც უექსცესოდ ჩაივლიდა, რომ არა საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე მომხდარი ინციდენტი. მარგველმა ენდელაძემ მესამე ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში, ოღონდ თანამსაჯმა რაზმაძემ თამაშგარე აუწია და... თანამსაჯს „მარგვეთს" ჩამოყოლილ არცთუ მცირერიცხოვან ქომაგთა რისხვა დაატყდა. ვინ აგინებდა, ვინ ქვებს უშენდა. კიდევ კარგი, საქმეში წესრიგის დამცველები დროულად ჩაერივნენ.



ბადრი კეთილაძის ფოტო

კობა ჩადუნელი (№7) და დავით ჯანაშია

# ტორპედო: მეოთხედფინალში, იმედაძე: კიევში

**ქუთაისი**
8 მარტი
15 საათი
სალორიის ბაზა
800

**ტორპედო 2:0 აკადემია**

პირველი მატჩი 5:0

1:0 მახვილაძე (28), 2:0 მეგრელაძე (78)
**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი, თურმანიძე, ა. შეყრილაძე, მახვილაძე, ი. მალლაკელიძე (ჯ. თავბერიძე 46), კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია (მეგრელაძე 46), ჩხეტიანი, იონანიძე (ასათიანი 46)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; ვაჩიბერაძე, ამისულაშვილი, მ. ბობოხიძე
**აკადემია:** კუტალაძე, ქანთარია, თ. ჯაფარიძე, შელია, კ. ჩადუნელი (მუშკუდიანი 46), მჭედლიშვილი, დ. რობაქიძე (ე. ჯუღელი 46), დ. ბახტაძე, გ. ა. მიქაძე, გ. ბაბუნაშვილი (კ. დავითაშვილი 70), ხეცურიანი
*სათადარიგონი:* ლ. ბიწაძე, კირვალიძე, კახნიაშვილი
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); კ. თბილელი (თბილისი), ბ. ბრეგვაძე; ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. ბაჩუკაშვილი

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

ტორპედოელები, როგორც იცით, ჯერ კიდევ პირველ მატჩში მორჩნენ საკეთებელს, სტუმრად ხუთი უპასუხო ბურთი გაუტანეს „აკადემიას". რაღა თქმა უნდა, საპასუხო შეხვედრა ფორმალობად იქცა, პოლიციელებს ქუთაისში, ფაქტობრივად, არაფერი ესაქმებოდათ, წესია თორემ...

გუშინ იმერეთს ავდარი იყო და მასპინძლებმაც მთავარი სტადიონის „აოხრებას" საკუთარი ბაზის მოედანზე თამაში არჩიეს. ისე, ხალხი აქაც მრავლად მოვიდა. „ტორპედოს" ამ შეხვედრაში დავით ყიფიანის ერთ-ერთი თანაშემწე ზურაბ მაისურაძე გაუძღვა. თავად მთავარი მწვრთნელი კი ამ დროს რუსთავში გახლდათ „გორდა" — „ბათუმზე" და იტალიელი ჯანი კარნევალეს შეგირდების თამაშს აკვირდებოდა. მოგეხსენებათ, შაბათს „ტორპედოს" უპრინციპულესი მატჩი ელოდება აჭარის დედაქალაქში და ყიფიანის რუსთავში მზვერავად მივლინება სულაც არ იყო მოულოდნელი.

მაისურაძემ, ჩვენი აზრით, სადღეისოდ ოპტიმალური შემადგენლობით გაიყვანა გუნდი სათამაშოდ. „ტორპედომ" ძირითადის ორი ფეხბურთელი კი მანამდე მოისაკლისა. 29 თებერვალს სუპერფინალში მუხლნატკენი მცველი ვახტანგ ხვადაგიანი, რომელსაც გუნდის ექიმის თქმით, ათი დღე მაინც დასჭირდება ტრავმის მოსაშუშებლად და წინახაზელი იმედაძე. არა, გიას არაფერი სჭირს, ეს კი არა, მგონი, მისალოცადაც აქვს საქმე. იმედაძე ორშაბათს უკრაინას გაემგზავრა. კიევის „დინამოს" მესვეურებმა ხელმეორედ მიიწვიეს ტორპედოელი გასინჯვაზე. როგორც შევიტყვეთ, გუშინ და გუშინწინ მას „დინამოს" მეორე გუნდთან ერთად უვარჯიშია, ხოლო ხვალ თუ ზეგ ჩვენებურის მზადყოფნას ნორვეგიიდან დაბრუნებული ვალერი ლობანოვსკიც შეამოწმებს და... არ არის გამორიცხული, იმედაძე უკრაინული ფეხბურთის ფლაგმანის, ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე „დინამოს" მესამე ქართველი მოთამაშე გახდეს. „ტორპედოს" ხელმძღვანელობა თანახმაა ამ ტრანსფერზე. მოხდეს და, დეტალებიც დაზუსტდება.

მოსალოდნელიც იყო, თამაში ტორპედოელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა, ოღონდ კურსანტები ამჯერად მეტად გაუძალიანდნენ მასპინძლებს და დიდი ანგარიშით მარცხსაც გადაურჩნენ. თუმცა, უნდა ითქვას, ამ საქმეში მათ მეტოქეც გვარიანად დაეხმარა. განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როცა ქუთაისელებმა რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. კვეტენაძეს, ჩხეტიანს, დავით ჯანაშიას, იონანიძეს ჰქონდათ გატანის რეალური შანსი, მაგრამ მეკარე კახა კუტალაძეც ყოჩაღად იდგა და ტორპედოელებიც ხშირად მიზანს აცილებდნენ.

ანგარიშის გასახსნელად მასპინძლებს თითქმის ნახევარი საათი დასჭირდათ. გოგიაშვილმა მარცხნიდან ჩააწოდა „აკადემიას" საჯარიმოში, ბურთზე იონანიძე გავიდა და თავით გაგზავნა კარისკენ, კუტალაძემ მოიგერია ძნელი ბურთი, მაგრამ გადმოვარდნილთან მახვილაძე გაჩნდა და ზუსტად დაამატა.

მეორე ტაიმისთვის „ტორპედოში" სამი შეცვლა გაკეთდა. მასპინძლები კვლავინდებულად სჯაბნიდნენ მეტოქეს, თუმცა საქმის ბოლომდე მიყვანა უჭირდათ. „აკადემია" გამეტებით იცავდა თავს. ალბათ, სხვაც არაფერი ევალებოდა. მაგრამ ერთხელ იყო, სახიფათო კონტრშეტევა განახორციელა და კინაღამ გააყაიმა. 76-ე წუთზე ერეკლე ჯუღელმა დავით ბახტაძე გაიყვანა კარგ პოზიციაზე, ამანაც ტორპედოელ მცველებს აჯობა და წინ გამოსულ ჭანტურიასაც გადაუტარა ბურთი თავზე, მაგრამ სულ ბოლო მომენტში თავბერიძემ ივარგა, ზედ კარის ხაზთან მიუსწრო ბურთს... ტორპედოელებმა უმალ საპასუხო იერიში წამოიწყეს და გოგიაშვილის პასის შემდეგ მეგრელაძემ ანგარიში გააორა.

# ჯანი ფოლადზე და ხელის გულზე

**რუსთავი**
8 მარტი
15 საათი
ფოლადი
500 (ტევადობა 10800)

**გორდა 1:1 ბათუმი**

პირველი მატჩი 0:2

1:0 ბურნაძე (67), 1:1 თარგამაძე (75)
ბურნაძემ ვერ გაიტანა პენალტი (6)
**გორდა:** ბედიაშვილი, ბერიძე, ბურნაძე, გაბელაია, ბექაური, კიტეიშვილი, მელაძე, ა. ბუკია (ლ. სილაგაძე 55), ზ. ლაბაძე, მიშველიძე (ქოქიაშვილი 87), კ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; მჭედლიძე, მ. სახვაძე, ლ. კაპანაძე
**ბათუმი:** ჩლაიძე, ი. მახარაძე, სიდამონიძე, მინდაძე, თარგამაძე, თედორაძე, ღლონტი (რომანაძე 76), კობიძე (ქაცარავა 44), თ. ტუღუში (შ. ხუჯაძე 66), აფხაზავა, ლ. ხომერიკი
*სათადარიგონი:* ტოგონიძე; მაჭუტაძე, სიხარულიძე, მ. მახარაძე
**გაფრთხილება:** გაბელაია (11)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

**ხვიჩა სანიკიძე რუსთავიდან**

იტალიელი მწვრთნელი რომ ბათუმელთათვის მართლაც ხელის გულზე სატარებელი კაცია, ჯერჯერობით ცხადზე უცხადესია. ისე, რაც უფრო დიდხანს დარჩება ჯანი კარნევალე საქართველოში, მით უკეთესი ქართული ფეხბურთისთვის.

„ჯერჯერობით" ტყუილად არ მითქვამს. „ბათუმის" უცხოელი მწვრთნელის დანახვისას არც „ფოლადზე" მისულ ერთ-ერთ ქომაგს უხუმრია ტყუილად და მწარედ — მაგასაც ბოსკამპის გზას გაუყენებენო. ფეხბურთში, და თანაც ქართულში, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ეს ყველაფერი გუშინაც ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო რუსთაულ მატჩში. „ფოლადზე" რომ მოედნის საფარია, ისეთზე სუსტი და ძლიერი მეტწილად თანაბარ პირობებში არიან და მწვრთნელის ნამუშევარიც თავს ძნელად იჩენს-ხოლმე. მით უმეტეს მაშინ, როცა სუსტი ძლიერზე უფრო მონდომებულად ირჯება.

არავინ იცის, რა მოხდებოდა, გორდელ მცველს სანდრო ბურნაძეს მე-6 წუთზე პენალტი რომ არ გასცუდებოდა.

ბათუმელთა საკუთარ საჯარიმოში წესის დარღვევა იქ შექმნილ არეულობას მოჰყვა. მელაძემ დაარტყა კარის მიმართულებით — ბურთი წაქცეულ მცველს ხელზე მოხვდა, მიმართულება იცვალა და ძელს დაეჯახა.

რუსთაველებმა პენალტი ააცილეს, მაგრამ არ გატყდნენ. იასონ ალადაშვილის შეგირდები ტერიტორიული უპირატესობის ხარჯზე ხშირად იყვნენ მეტოქის კარის სიახლოვეს. განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგიდან აქტიურობდნენ ნახევარმცველ ლაბაძის მეშვეობით.

სტუმრებმა ტაიმის შუაწელში შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. 33-ე წუთზე ღლონტმა გაინავარდა მარცხენა ფლანგზე და ახლოსვე გადააწოდა ბურთი საჯარიმოში შეჭრილ აფხაზავას. მისი დარტყმული ჯერ მეკარემ მოიგერია, მერე კი — ძელმა.

მეორე ნახევარიც მასპინძელთა შეტევებით დაიწყო, თუმცა მოვლენები ლამის მათ საწინააღმდეგოდ და სენსაციურად წარიმართა.

54-ე წუთზე მოედნის ცენტრთან ახლოს, ზედ მარცხენა გვერდით ხაზთან მდგარმა ბუკიამ საკუთარ საჯარიმოში გაგზავნა ბურთი. ალბათ ბედიაშვილის საქმეში ჩართვა სურდა, მაგრამ დარტყმა იმდენად ძლიერად და მაღლა გამოუვიდა, მეკარე ხელებით ძლივს მიწვდა და კარი გოლისგან იხსნა. მსაჯმა ოდნავი ყოყმანის შემდეგ თავისუფალი დარტყმა დანიშნა. წესის დარღვევის ადგილიდან კარამდე ცხრა მეტრიც არ იქნებოდა. რუსთაველთა კედელი კარის ხაზზე განლაგდა. ტუღუშმა ბურთი აფხაზავას დაუგორა. მისი ძლიერად დარტყმული კი კედელში მდგომ ფეხბურთელებს მოხვდა.

ამის შემდეგ კვლავ „გორდა" გაშურა წინ და მარჯვენა ფლანგზე კუთხური დაიმსახურა. ზუსტად იმ მომენტში კარნევალემ ტუღუში ხუჯაძით შეცვალა. ხუჯაძემ საჯარიმოში ჩაირბინა და გორდელ ბურნაძეს გვერდით ამოუდგა. რუსთაველმა კუთხურის ჩაწოდებამდე იმდენი იმოძრავა, რომ მოახერხა, ხუჯაძეს დასხლტომოდა. ლაბაძის მიერ კუთხურიდან დარტყმულ ბურთს კი მალალი ნახტომი შეაგება და თავურით ანგარიში გახსნა — ბურთი ჯერ ხარიხას შეეხო და მერე გაეხვია ბადეში — 1:0.

კარნევალეს მიერ გაკეთებული თითქოს უილბლო შეცვლა გონივრული ნაბიჯი გამოდგა. ხუჯაძემ თარგამაძის ადგილი დაიკავა, თარგამაძემ კი — ტუღუშის. წინ წაწეულმა ექსარსენალელმა თარგამაძემ დაამტკიცა, რომ იტალიელის ამქარში შემთხვევით არავის ჩაურიცხავს: 75-ე წუთზე ულამაზესი გოლით ანგარიში გაათანაბრა. დაახლოებით 23 მეტრიდან ცაციათი ეფექტურად დაურტყა ბედიაშვილს და იგი უშანსოდ დატოვა.

თარგამაძემ მანამდეც გამოაცოცხლა „ბათუმის" თავდამსხმელთა დუეტის თამაში. სწორედ მისი აქტიურობით მოახერხეს აფხაზავამ და ხომერიკმა, სერიოზულად დამუქრებოდნენ „გორდას" კარს, თუმცა ორივემ მხოლოდ ხარიხას გაარტყეს ბურთი — აფხაზავამ ფეხით, ხომერიკმა კი თავით.

წონასწორობის აღდგენამ მასპინძელთა მერვედფინალში გასვლის ოცნება დაასამარა. დარჩენილ დროში განსაკუთრებულიც არაფერი მომხდარა.

კარნევალეს „ფოლადზე" გამოჩენაზე და ხელის გულზე ტარებაზე ზემოთ გითხარით, მაგრამ ერთი ასეთი გამოთქმაც არსებობს — ყველაფერი ხელის გულივით ჩანსო. მართლაც ასე ჩანს „ფოლადი" დაფერდებული სამანქანო ჩამოსასვლელიდან, სადაც შეხვედრის დაწყებიდან სამიოდ წუთში შავი „მერსედესი" მოკალათდა. „ტორპედოს" მწვრთნელის, დავით ყიფიანის მანქანის ცნობა ძნელი არაა...

შესვენების შემდეგ ტრიბუნებზეც გაისმა — ყიფიანი ზემოდან უყურებს თამაშსო. იქიდან, საიდანაც ხელის გულივით ჩანდა კარნევალე და გადახალისებული „ბათუმი". თუ რა ჩაინიშნა „ტორპედოს" თავკაცმა და რა დაუმალა მას იტალიელმა მწვრთნელმა, ეს შაბათს ტურის ცენტრალურ მატჩში ბათუმში გამოჩნდება.

# გაიხადეთ ავტობუსში!

**თბილისი**
8 მარტი
15 საათი
ზოოვეტი
50

**ზოოვეტი 1:2 დილა**

პირველი მატჩი 0:3

0:1 ოლგესაშვილი (53), 1:1 გუგუშვილი (85), 1:2 ლომიძე (89)
**ზოოვეტი:** გახოკიძე, გურგენიძე, ბოსტოლანაშვილი, ჭოხონელიძე, ზაკუტაშვილი, ს. არჩვაძე (დარჩიაშვილი 80), მახარობლიშვილი (ლ. კვარაცხელია 46), კევლიშვილი, მიგრიაული (სამნიაშვილი 63), შედანია, გუგუშვილი
*სათადარიგონი:* ი. სილაგაძე; მარუაშვილი
**დილა:** მდივანი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ვ. სამხარაძე, კარელიძე, ლომიძე, მარეხაშვილი (ციცქიშვილი 46), ოლგესაშვილი (საყვარელიძე 65), სულთანიშვილი (გაგნიძე 24), ხორგუაშვილი, არუთინიანი
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, ლ. გოჩაშვილი, ფეზუაშვილი, ილურიძე
**გაფრთხილება:** ოლგესაშვილი (41), კარელიძე (43)
**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ა. ნონიკაშვილი, ო. ხეცაძე; ზ. ჯვარიძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. გრეკოვი

**პაატა კვანტალიანი**

პირველი ლიგის ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის გამართული სტადიონით და ამ მხრივ რა დღეში იქნებიან რეგიონალურლიგელები, მგონი, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ველზე გაშლილ, „ზოოვეტის" სახელდახელო შინაურ სარბიელს გასახდელი ვერ მოუძებნეს სტუმრებმა და სამატჩოდ იქვე, ავტობუსში გამოიცვალეს ტანსაცმელი...

ამ გუნდების პირველი მერვედფინალური მატჩი გორში მასპინძელთა გამარჯვებით (3:0) დასრულდა და ერთი შეხედვით რეგიონალურლიგელი სტუდენტები უიმედო მდგომარეობაშიც იყვნენ, მაგრამ „ზოოვეტმა" პირველი წუთებიდანვე გააფთრებით შეუტია რანგით და გამოცდილებით უფროს მეტოქეს. შედეგად „დილამ" მასპინძელთა ნახევარი მატჩის მეათე წუთისთვის მოინახულა. მანამდე კი სერგო გუგუშვილს ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ მდივანთან პირისპირ დარჩენილმა „ზოოვეტის" ფორვარდმა ხელსაყრელი პოზიციიდან უხეიროდ დაარტყა. მეთხუთმეტე წუთზე შედანიას გოლის გატანა მართებდა, მაგრამ ბურთი ხაჭაპურიძის ბარიერს შეასკდა. „დილა" გამოფხიზლებას არ ჩქარობდა და სტუდენტებიც გააფთრებით უტევდნენ. ტაიმის შუაწელში გორელთა კარის მიმართულებით დანიშნულ ორ კუთხურს კინაღამ ორი გოლი მოჰყვა. ჯერ კევლიშვილს აუღო მკვდარი ბურთი მდივანმა, შემდეგ კი ხუთიოდე მეტრიდან შედანიას თავური დარტყმა მოიგერია. იმ ეპიზოდებში „დილას" კარის დარაჯი მართლაც შეუდარებელი იყო. იქვე გორელთა შორის ცვლილება მოხდა. სტუმართა თავკაცმა მერაბ კოჭლაშვილმა სულთანიშვილი გაგნიძით შეცვალა, რამაც ქართლელთა დაცვა საგრძნობლად მოამაგრა, მაგრამ მასპინძლებმა ტემპს უმატეს (ეს გარკვეულწილად გვარიანი სიცივის ბრალიც იყო) და მდივანს კიდევ ორჯერ მოუხდა თავის გამოჩენა — ჯერ შედანიას არ გაატანინა ორიოდე მეტრიდან, შემდეგ კი გუგუშვილთან პირისპირ მყოფმა ვარდნაში შეძლო ბურთის კუთხურზე მოგერიება. ტაიმის ბოლო წუთებში კი „დილაც" გამოფხიზლდა და კონტრშეტევაზე ხორგუაშვილის მოხდენილი პასით კარგ პოზიციაში მყოფმა არუთინიანმა ბურთი ძელს მოახვედრა.

მეორე ნახევარიც მასპინძელთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ მოედანზე შემოსულმა გამოცდილმა თამაზ ციცქიშვილმა შეძლო თავისი გუნდის შუახაზის მობილიზება და სტუმართა კონტრშეტევებიც უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა. 56-ე წუთზე ციცქიშვილმა ოლგესაშვილი შეატოვა მასპინძელთა კარის დარაჯს, მაგრამ გახოკიძემ ბოლო წამს ბურთის კუთხურზე მოგერიება შეძლო. იქიდან ჩამოწოდებულზე კი საჯარიმოში არეულობით იმავე ოლგესაშვილმა ისარგებლა და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. „დილა" დაწინაურდა და თამაშიც უფრო გაიხსნა, რადგან მასპინძლებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ. ამის შემდეგ ძირითადად სტუმრები დომინირებდნენ მოედანზე და რამდენჯერმე ხორგუაშვილმა და არუთინიანმა ანგარიშის გაზრდის კარგი შესაძლებლობები დაკარგეს. ვერ გაიტან, გაგიტანენო — ნათქვამია და საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე ანგარიში გათანაბრდა, შეცვლაზე შესულმა ლევან კვარაცხელიამ სტუმართა მთელ მარჯვენა ფლანგს ჩაურბინა და საჯარიმოში შეჭრილმა უკეთეს პოზიციაში მყოფი გუგუშვილი მოძებნა — 1:1 და მასპინძლები კიდევ უფრო მიეძალნენ მდივანის კარს, მაგრამ შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე სწრაფი კონტრშეტევით და მეორე გოლით დაისაჯნენ — გიორგი ლომიძეს ასისტენტობა ციცქიშვილმა გაუწია და „დილაც" მეოთხედფინალში გავიდა.

# მსაჯი მუსიკალური ცენტრია?

თბილისი
8 მარტი
15 საათი
სინათლე
250 (ტევადობა 2 500)

**მერანი 0:0 კოლხეთი**

პირველი მატჩი 0:1

**მერანი:** ნაჭყებია, გუჯაბიძე, დევიძე, ილურიძე, გ. კვეტენაძე, კობესაშვილი, ჯიშკარიანი (ჭინჭარაული 67), თოლორდავა, ბოლქვაძე (ივანიშვილი 64), კარიაული, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; პ. ლურსმანაშვილი, კოშკაძე, მელიქია, ლ. ამბიძე
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი, შავგულიძე (ახალკაცი 70), მ. ქობულაძე, ლაღანიძე, კედელაშვილი (ხუჭუა 78)
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; პაპავა, გ. ჩიტაია, ანჯაფარიძე, ქუნთელია
**გაფრთხილება:** კვეტენაძე (24), კედელაშვილი (38), დავითნიძე (44)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

კონსტანტინე გოგიშვილი

„სინათლეზე" გამართულ საქართველოს თასის მერვედფინალის განმეორებით შეხვედრას გვარიანი ინტრიგა და ინტერესი სდევდა თან — „მერანი" — „კოლხეთი" — სფფ-ს ამასწინანდელი „ტკბილი" საუბარი ხომ გახსოვთ (ნუგზარ ნავაძემ რომ მოჰფინა სამზეოს), მას მერე არცთუ დიდმა დრომ გაიარა და როცა ფოთში თასის მერვედფინალის პირველ შეხვედრაში ფოთელებმა ოდენ მინიმალური ანგარიშით შეძლეს მეტოქის დამარცხება, ინტრიგაც და ინტერესიც უზომოდ გაიზარდა.

ავჭალაში (ცენტრისგან განსხვავებით) გვარიანად ეთოვა და თავდაპირველად მინდორი მთლიანად თეთრად იყო გადაპენტილი. სტადიონის მესვეურებს დროზე და სწორად მიექციათ ყურადღება ამ ფაქტისთვის და მინდორი ნახერხით დაეხაზათ. ასე რომ, ხაზები მკაფიოდ მოჩანდა და არც ფეხბურთელებს, არც მსაჯებს ამ მხრივ პრობლემა არ შექმნიათ. მკაფიოდ ჩანდა ბურთიც, რომელიც დაახლოებით აღდგომის კვერცხისფრად შეეღებათ. თავდაპირველად ორი ბურთით თამაშობდნენ მატჩის მონაწილენი, მაგრამ ათიოდე წუთში ბურთთაგან ერთ-ერთი ისე აჭრელდა, ბურთი კი არა ფუფლოაო — იხუმრა ტრიბუნაზე ვილაცამ. ეს ხარები ვერ არჩევენ ფერებს, თორემ შეხვედრის მთავარი მსაჯი უცებ გაერკვა სიტუაციაში (და ფერთა გამაშიც) და მოთამაშეებს მინდორზე ის ბურთი დააბრუნებინა, რომელსაც თოვლში ბარე საათნახევრიანმა კოტრიალმაც ვერ უცვალა ფერი.

რაც შეეხება თამაშს, თანაბარი, დაძაბული შეხვედრა გამოდგა. სათასო და პრინციპულიო, რომ იტყვიან, ისეთი. „მერანმა" დასაწყისშივე დაიკაპიწა ხელები და დაახლოებით მეხუთე წუთისთვის მის მეგოლე ლევან თოლორდავას უკვე ორი მომენტი ჰქონდა გაცუდებული. მერეც, მატჩის განმავლობაში, არაერთხელ შეექმნა ხელსაყრელი სიტუაცია „მერანის" მეათე ნომერს, მაგრამ, როგორც ვამბობთ-ხოლმე, გუშინდელი დღე ლევანისა არ იყო.

თბილისელთა ბწკენას კოლხებმა ბურთის დაჭერითა და აუღელვებელი, ხისტი თამაშით უპასუხეს. ვეტერანი კიკლიაშვილი საკმაოდ ბევრს მოძრაობდა და ფრთაზე ხშირ-ხშირი გადაცემებით მოსვენებას არ აძლევდა არც თავის და არც მეტოქის განაპირა მცველებს. წინ კედელაშვილი-შავგულიძის დუეტი ირჯებოდა აქტიურად და მათს ადგილმონაცვლეობას მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდა „მერანის" დაცვის ხაზი.

ზემოთ ხისტი თამაში ვახსენეთ და მსაჯს იმდენად ხშირად უწევდა მეტოქეთა დაჯარიმება და შესაბამისად სტვენა, ვილაცამ ესეც თქვა — მსაჯია თუ მუსიკალური ცენტრიო, ნათქვამი ხუმრობად დარჩა, მესხს კი სტვენა არც ამის მერე შეუწყვეტია (სწორადაც, რადგან ზოგჯერ გლადიატორებივით მეომარ ფეხბურთელებს სხვანაირად ვერაფრით დააშოშმინებდა).

პრინციპულ თამაშებს თავისი ჩარჩოები აქვს და ხისტი თამაში ერთი ორჯერ უხეშობაშიც გადაიზარდა — სამიდან ორი ყვითელი ბარათიც სწორედ ფეხბურთელთა უხეშობას მოჰყვა. რაც დრო გადიოდა, „მერანის" შეტევები უფრო და უფრო იშვიათი ხდებოდა, „კოლხეთი" კი პირიქით, აძლიერებდა თავის დაწოლას, რომელიც მომენტებში ვერა და ტერიტორიულ უპირატესობაში ნამდვილად გამოიხატა.

მეორე ტაიმის დაახლოებით თხუთმეტი წუთი იგივე სურათი იყო მინდორზე მერე კი გაბელაიას შეგირდებმა მარცხის ტოლფასი ფრის სუნი იგრძნეს და ბოლო ნახევარი საათი ფაქტობრივად თავის საჯარიმოს მიაჯაჭვეს ფოთელები. სტუმრები არც ახლა აღელვებულან, მათ აქტიურ მარცხენა ფრთას — ფანჩულიძე-ტრაპაიძის შემადგენლობით — ხშირად გამოჰქონდა ბურთი თავისი ნახევრიდან და ერთი-ორი გვარიანი კონტრშეტევაც მოაკვარახჭინეს ბიჭებმა.

დაახლოებით მეორე ნახევრის შუაგულში სერგო გაბელაიამ ორი ცვლილება გააკეთა და, ეტყობა, სწორიც, რადგან „მერანი" გაცილებით მობილური გახდა. ცენტრიდან დარტყმისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ფრთებიდან კი ხშირად და სახიფათოდ აწვდიდნენ ავჭალელები, თუმც ქვაჩახია ყურადღებით იცავდა კარს.

ბოლო ათი წუთი რაღაც შტურმისმაგვარიც მოაწყვეს მერანელებმა. კუთხური, ჩაწოდება, დარტყმა ერთიმეორეს ცვლიდა, მაგრამ ფოთელთა კარი მარტო ერთხელ, ბოლო წამებზელა დაეცა. ის იყო ავჭალელებს შეხვედრის ექსტრატაიმში გადაყვანა უნდა ეზეიმათ, მსაჯმა მესხმა თავისთვის ჩვეულ კატეგორიული ჟესტიკულაციით თავდამსხმელის უხეშ თამაშზე გვანიშნა.

ეს მეორე არჩათვლილი ბურთი იყო მატჩში — მანამდე მესხმა ფოთელი კედელაშვილის თამაშგარედან გატანილი არ ჩათვალა და სამართლიანადაც.

ძალიან მალე შეხვედრაც მორჩა. „მერანის" უკმაყოფილო ფეხბურთელები მსაჯს წაესივნენ, მაგრამ...

მთავარი ხომ ტაბლოა. ტაბლო, რომელზეც ორი ნული ეწერა. ეს კი ფოთელთა წისქვილზე ასხამდა წყალს.



დავით კარიაული და ზაველ ლაღანიძე (№20)



რატი ალექსიძე (მარცხნივ)

# რატი ალექსიძემ ტოტენჰემით დაიწყო

გუშინწინ ჩრდილოეთ ლონდონში, სენტ ალბანს სიტიში, „კლარენს პარკზე" „ჩელსის" სარეზერვო გუნდში შედგა 21 წლის რატი ალექსიძის დებიუტი. მეტოქეები ლონდონისავე „ტოტენჰემის" დუბლები იყვნენ, რომლებიც პრემიერლიგის რეზერვების ლიგაში „დერბი ქაუნთისთან" ერთად ლიდერობენ.

„მინდორზე 83 წუთი დავყავი, კმაყოფილი ვარ, თუმც უნდა ვაღიარო, რომ ძალიან დავიღალე" — უთხრა რატიმ გუშინ „სარბიელს".

„ჩელსის" დუბლებმა სწორედ ალექსიძის გასვლის შემდეგ წააგეს. მატჩის ბოლო წუთზე გუდიჩინის კარში ბურთი „ტოტენჰემის" საუკეთესო ბომბარდირმა სტეფან კლემენსმა გაიტანა, რომელიც ძირითადის მოთამაშედ ითვლება. 22 წლის კლემენსისთვის, რომელიც 1995 წელს ჩაირიცხა „მამლებში", ეს მეშვიდე გოლი იყო. „ტოტენჰემის" სათადარიგოებს ასევე ჰყავდათ ბებერი ლეს ფერდინანდი და ნორვეგიის ნაკრების მეკარე ბაარდსენი. მე-20 წუთზე პირველი გოლი „ჩელსის" კარში სწორედ ფერდინანდმა შეაგდო, მან კლემენსის კუთხურს თავი დაუხვედრა.

რატიმ შეხვედრა 27-ნომრიანი მაისურით ჩაატარა, რომელიც „ჩელსის" ძირითად გუნდში ემერსონ ტომეს საკუთრებაა. ისე კი ქართველს 32-ნომრიანი მაისურა აქვს, თუმცა, როგორც ჩანს, დუბლებში ამას ყურადღება არ ექცევა. დსთ-ს თასის გათამაშების შემდეგ რატი პირველად გამოჩნდა მოედანზე. რა შთაბეჭდილება დატოვა ალექსიძემ „ჩელსის" სარეზერვო გუნდის თავკაც მიკ მაკგივენზე, ჩვენთვის უცნობია. აი, „ტოტენჰემის" დუბლების დამრიგებელი, ირლანდიელი კრის ჰუგტონი კი გუნდის გალიდერებით კმაყოფილი იყო. „მამლებმა" ამ გამარჯვებით დერბელ „ცხვრებს" ქულით გაუსწრეს. „ჩელსის" დუბლებმა კი მეშვიდე ადგილზე ჩაინაცვლეს.

შეგახსენებთ, რომ ალექსიძის დებიუტი „ჩელსის" რეზერვებში 16 თებერვალს უნდა შემდგარიყო, მაგრამ მაშინ თბილისის „დინამოს" გათავისუფლების უფრცელი დაუგვიანა, 21 თებლერვალს დანიშნული პაექრობა „დერბის" დუბლებთან კი გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ჯან ლუკა ვიალის გადაწყვეტილებით, რატი რეზერვებში მხოლოდ ითამაშებს, ძირითად გუნდთან ერთად კი ივარჯიშებს. არ დადასტურდა ინფორმაცია, თითქოს ალექსიძეს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება ჰქონდეს. ეს ცნობა „ივნინგ სტანდარტმა" გაავრცელა და შემდეგ თავადვე უარყო.

სიმონ მენაბდე

# ისრაელი აშქელონში გველის

## საქართველოს კვიპროსი შეუცვლია

გუშინ ისრაელის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ 29 მარტს ქვეყნის მთავარი გუნდი საქართველოს ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს აშქელონში გამართავს. ფედერაცია ამ გადაწყვეტილებით ხელს უწყობს იმას, რომ ნაკრებმა თამაშები ისრაელის ყველა ქალაქში ჩაატაროს. აშქელონსაც ისრაელის გუნდი პირველად ესტუმრება.

ამასთან, როგორც ებრაელთა ახალმა დანიელმა დამრიგებელმა რიქარდ მიოლერ-ნილსენმა განაცხადა, ნაკრები აშქელონში მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ ამინდი და მინდორი დააკმაყოფილებს. ერთი სიტყვით, ეს საკითხი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. თუ ზღვისპირა ქალაქში ამინდი შეიცვალა (იქ ხშირად წვიმს), მაშინ მატჩი შეიძლება ჰაიფაში ჩატარდეს.

ნილსენმა ასევე თქვა, რომ ნაკრების სტარტით კმაყოფილია. „პროგრესი აშკარაა. გუნდის ზოგიერთ მოთამაშეს ძალიან დიდი მომავალი აქვს." მათ შორის მწვრთნელმა ჰარან და ელი აბარბანელები („ჰაპოელი", ფეთაჰ თიქვა), ალონ ჰალფონი (ჰაიფის „ჰაპოელი") და ეიალ ალმოშნინო („აშდოდი") დაასახელა.

აღსანიშნავია, რომ მარტის ბოლოს ისრაელს კვიპროსის ნაკრებისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ კუნძულელებმა უარი თქვეს და ებრაელებს ისღა დარჩენოდათ, კვიპროსი საქართველოთი შეეცვალათ.

29 მარტის შეხვედრა მიოლერ-ნილსენისთვის მეორეა ისრაელის ეროვნული ნაკრების თავკაცის რანგში. მან ამ პოსტზე შლომო შორფი შეცვალა, რომელიც 8 წელი წვრთნიდა გუნდს და ევროპის ჩემპიონატის პლეიოფში დანიასთან სამარცხვინო წაგებას შეეწირა.

დებიუტი კი ნილსენმა 23 თებერვალს მოიწყო, როცა ჰაიფაში, „კიკრიატ ელიზერის" სტადიონზე, 17 000 ფანის თვალწინ სასტიკად დაამარცხა რუსეთის ნაკრები. ისრაელმა მაშინ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კოენი (კორნფეინი 46), ხარაზი (ხალფონი 46), ტალკერი, შელახი, ბენადო, კეისი, ბანინი, ნიმნი, ტალი (ტელესნიკოვი 46), ბადირი, უდი (ტურდუმანი 66).

გოლები რუსთა კარში ბადირმა (2), უდიმ და გიო ქინქლაძის ყოფილმა თანაგუნდელმა ავი ნიმნიმ გაიტანეს.

სიმონ მენაბდე

# ჯიმ სმიტი:

## ქინქლაძის შესაძენ ფულს ყოველთვის მოვძებნით

გუშინ „დერბი ქაუნთის" მენეჯერი ჯიმ სმიტი იძულებული გახდა, განცხადება გაეკეთებინა ამსტერდამის „აიაქსიდან" გიორგი ქინქლაძის გამოსყიდვის თაობაზე. ეს საკითხი აქტიუალური „უიმბლდონის" ძლევის შემდეგ გახდა, როცა ქართველმა ფეხბურთელმა დაუფარავად განაცხადა: ვგრძნობ, რომ კლუბს, მოთამაშეებსა და ფანებს ვუნდივარო. მიმომხილველთა აზრით, ამით ქინქლაძემ „დერბის" პატრონებს აგრძნობინა, რომ მისი გამოსყიდვის პროცესი დაეჩქარებინათ.

ბუნებრივია, ამის შემდეგ კლუბის ფანების ინეტერსი ერთიორად გაღვივდა და სმიტმაც გუშინ მათი ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა.

„ქინქლაძის შესაძენი ფული ყოველთვის მოიძებნება" — თქვა სმიტმა, რომელსაც ქართველის შესაძენად კიდევ 2 მილიონი გირვანქა არ ენანება. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელის სეზონის ბოლომდე გამოყენებისთვის „დერბიმ" „აიაქსს" ნოემბერში 1,5 მილიონი გირვანქა უკვე ჩაუთვალა.

გუშინ ქინქლაძემ ვარჯიშიც განაახლა. როგორც ცნობილი გახდა, იგი „უიმბლდონთან" არ დაშავებულა, უბრალოდ, ფეხის კუნთის კრუნჩხვები დაემართა, რაც ეგებ იმიდთაცაა გამოწვეული, რომ ფეხბურთელი 90 წუთის სათამაშოდ მზად ჯერ კიდევ არ არის.

ამის მიუხედავად, 11 მარტს „ოლდ ტრეფორდზე" ქართველი კვლავ ძირითადში გამოჩნდება — ამის შესახებ გუშინვე განაცხადა სმიტმა. ოლდ ტრეფორდზე ყველა ბილეთი გაყიდულია.

სიმონ მენაბდე



შოთა ჭეიშვილი

*ქართულ საფეხბურთო კულუარებში ჩახედულ გულშემატკივარს შოთა ჭეიშვილის წარდგენა არ სჭირდება. ერთი რამ კი მეტად მნიშვნელოვანია, ეს მწვრთნელი თავად ნოდარ ახალკაცის ხელდასმულია (ასეთები კი თითებზე ჩამოსათვლელნი არიან ჩვენში) და აგერ უკვე თვრამეტი წელია, ერთგულად ემსახურება თავის პროფესიას. 1994-95 წლებს შორის პერიოდს თუ არ ჩავთვლით (იმ დროს ბატონი შოთა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა), ჭეიშვილის საქმიანობა ძირითადად საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს უკავშირდება. დღეს კი იგი საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებს უდგას სათავეში და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ამზადებს ყმაწვილებს. ჩვენში ნებისმიერი რანგის ნაკრების თავკაცი გარკვეული პრობლემის წინაშე დგას. გამონაკლისი არც ჭეიშვილია, მით უფრო, რომ ამ ასაკის ნაკრებს უფროსებთან შედარებით მომზადების უარესი პირობები აქვს და რაც მთავარია, თვრამეტწლამდელთა მწვრთნელს შეცდომის უფლება არა აქვს — სასელექციო სამუშაოებში მცირე ხარვეზმა შესაძლოა გამოუსწორებელი შედეგი მოიტანოს, რადგან დრო ამ შემთხვევაში ყველაფერზე ძვირფასია. რამდენად შეძლებს თვრამეტწამდელთა მწვრთნელი ღირსეული კანდიდატურის მოძებნას და ფაქტობრივად ახალი ნაკრების შექმნას, ამას ისევ და ისევ დრო გვიჩვენებს, მანამდე კი შოთა ჭეიშვილთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ.*

# ვინც ეძებს, პოულობს

## თვრამეტწლამდელები ზაფხულში ჩამოყალიბდებიან

**— სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს თვრამეტწამდელთა ნაკრები ჩაიბარეთ...**

— თვრამეტწამდელთა ნაკრები ჯერჯერობით არ არსებობს, რადგან ძირითადი ბირთვი ჯერ არ ჩამოყალიბებულა. განვლილი პერიოდი ფეხბურთელთა გაცნობას დავუთმეთ, ვაკვირდებოდით მათ საფეხბურთო განათლებას. ამ ხნის მანძილზე 70 კაცი გამოვცადეთ. თავიდან მათ ერთმანეთში ვათამაშებდით, შემდეგ კი საკონტროლო მატჩებიც გავმართეთ. ცხრა შეხვედრაში მივიღეთ მონაწილეობა, აქედან ხუთში პირველი ლიგის გუნდებს ვეთამაშეთ. შედეგებს, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია ის, რომ სელექციური მუშაობის თვალსაზრისით პირველი ნაბიჯები გადავდგით.

**— დროის სიმცირე მოთამაშეთა ნაყოფიერ შერჩევას, ცოტა არ იყოს, აძნელებს...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამ შემთხვევაში უპირველესად მწვრთნელთა რეკომენდაციებს ვეყრდნობით. გარდა ამისა, სასელექციო პროცესი ეტაპებად დავყავით და ვფიქრობ, ცდომილებასაც მინიმუმამდე გამოვრიცხავთ.

**— არაფერი გითქვამთ იმაზე, თუ როგორ შეისწავლით რეგიონებს. დამეთანხმებით, ჩვენში უმცროსი ასაკის ნაკრებების ჩამოყალიბებისას სასელექციო სამუშაოების გეოგრაფია ხშირად თბილისს არ სცილდება.**

— ამაზეც ვიფიქრეთ. ცხადია, ჩვენი მიზანი სასურველი ფეხბურთელის მოძიებაა და უეჭველია, საქართველოს თითოეულ ქალაქსა და კუთხეს ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. 10 მარტს თბილისში რეგიონალური ფედერაციების ხელმძღვანელები ჩამოვლენ და სფფ-ში შეიკრიბებიან. ჩვენ მათთან შეხვედრასა და მოლაპარაკებას ვგეგმავთ. ნაკრების მწვრთნელების სურვილია, ჩამოყალიბდეს იმერეთის, სამეგრელოს, აჭარის, ფოთის, კახეთის 82-83 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა ნაკრებები, რა თქმა უნდა, იქაურ მწვრთნელთა რეკომენდაციებით. შემდეგ გაიმართოს მატჩები, სადაც ფეხბურთელებს უშუალოდ დავაკვირდებით და ვფიქრობ, ეს გარკვეულ შედეგსაც მოგვცემს, მაგრამ აქ ერთი ფაქტია გასათვალისწინებელი — შესაძლოა, ამა თუ იმ მოთამაშემ ერთ ან ორ შეხვედრაში ვერ შეძლოს შესაძლებლობების სრულად გამოვლენა, ამიტომ შეძლებისდაგვარად მეტი მატჩი უნდა ჩატარდეს. გარდა ამისა, ჩვენ ძირითად აქცენტს მაინც 1982 წელს დაბადებულ ფეხბურთელებზე ვაკეთებთ. უყურადღებოდ არც მათზე ერთი წლით უმცროსებს დავტოვებთ, მაგრამ ამ ეტაპზე ასე სჯობს, რადგან მოზარდებში ერთწლიანი სხვაობა ბევრს ნიშნავს, თანაც 1982 წელს დაბადებულთა უმრავლესობა პირველი ლიგის გუნდებში თამაშობს და მათზე დაკვირვების მეტი შესაძლებლობა გვაქვს. კარგია, რომ აპრილში ჩოხელის თასის გათამაშება იწყება. ეს ტურნირი ორ თვეს გაგრძელდება და ამ პერიოდსაც სასელექციო სამუშაოებისთვის გამოვიყენებთ. რა თქმა უნდა, ეს ერთობ შრომატევადი პროცესია, მაგრამ არ უნდა გამიჭირდეს, რადგან გვერდით ისეთი მწვრთნელები მიდგანან, როგორებიც ზაურ სვანაძე და ნოდარ აკობია არიან. ერთობლივი ძალისხმევით კი, მჯერა, საქმეც წინ წავა.

**— სასელექციო სამუშაოები ერთია და შესარჩევი ციკლისთვის გუნდის მზადებას სხვა პროცესები სჭირდება...**

— სასელექციო სამუშაოები მაისის ბოლომდე დასრულდება. ჩვენ გვაქვს გეგმა, რომლის თანახმადაც ზაფხულის პირველ რიცხვებში ლაგოდეხში გავემგზავრებით მოსამზადებლად. ამის მერე რამდენიმე შეკრებას მოვაწყობთ, თანაც სფფ-დან მოვიდა წინადადება, რომ ეროვნული ნაკრების მიერ გამართული ამხანაგური მატჩების პარალელურად თვრამეტწლამდელებმაც ითამაშონ. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ შევხვდებით სომეხ, აზერბაიჯანელ და ებრაელ თანატოლებს. მოლაპარაკება მიმდინარეობს ბელარუსებთანაც.

**— მინდა, სფფ-ს ერთ გადაწყვეტილებაზეც გკითხოთ. როგორც ცნობილია, ამიერიდან თვრამეტწლამდელები მოყვარულთა ეგიდითაც ითამაშებენ. რას იტყვით ამაზე?**

— აქ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი. ამ შემთხვევაში ახალგაზრდებს თამაში უწევთ „მოყვარულ“ კაცებთან. რამდენად სასარგებლო იქნება მათთან პაექრობა, ეს თავად განსაჯეთ. ისე კი ფაქტია, რომ სფფ ჩვენს დახმარებას ცდილობს და ყველა ღონეს ხმარობს საიმისოდ, რათა გარკვეული პრაქტიკა შევიძინოთ. მაგრამ მე ის მაწუხებს, რომ ბავშვები ზრდასრულებს უნდა ეთამაშნონ. თუმცა ეს არ იქნება ერთადერთი საშუალება ჩვენს დასახმარებლად. სფფ ნამდვილად გვერდში გვიდგას და მისი შეწევნით უცხოურ შეკრებებსაც მოვაწყობთ. ივნისში ამ შეკრებების თარიღებიც დადგინდება.

**— ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებების მწვრთნელების ერთ პრობლემასაც შევეხებით. ჩვენში ხშირად, გადამწყვეტ მომენტში გუნდებს სასურველი ფეხბურთელები აკლდებათ. მაგალითად შარშანდელი თვრამეტწლამდელთა ნაკრებიც გამოდგება. ვახტანგ კოპალეიშვილს შვედეთის ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებამდე ხომ წამყვანი ფეხბურთელების გარეშე მოუხდა მზადება...**

— კოპალეიშვილი მაშინ მართლაც გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მას, ფაქტობრივად, წამყვანი მოთამაშეები დაუკავეს. ნებისმიერი რანგის ნაკრები მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ასეთი რამ არ უნდა განმეორდეს, რადგან მოწინააღმდეგე შენზე ძლიერიც რომ იყოს, თუ მას ერთ ბირთვად, ერთ მუშტად შეკრული დაუპირისპირდები, წარმატებაზე ფიქრიც შესაძლებელი გახდება. იმედი მაქვს, რომ მსგავსი პრობლემა არ შემაწუხებს.

**— ქართველ თვრამეტწლამდელებს შესარჩევ ციკლში მეტოქეებად ესპანეთი და ხორვატია ერგოთ. როგორ გგონიათ, დაძლევთ ამ ბარიერს?**

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

**— იმედი მაქვს, თუ ნაკრები ერთ მუშტად შეიკრება...**

— ძალიან რთული ეტაპი გველის. ესპანეთიც და ხორვატიაც მძლავრი საფეხბურთო ინდუსტრიის მქონე ქვეყნებია. პირველ ეტაპზე მათზე ამომწურავი ინფორმაცია უნდა მოვიპოვოთ. ამას ვცდილობთ კიდეც. ხორვატიაში ამჟამად ჩვენი ახლობელი იმყოფება, მას გარკვეული ცნობების შეგროვება და ვიდეოფირის ჩამოტანა ვთხოვეთ. შეგვიძლია ინტერნეტიც დავიხმაროთ. არის ერთი ვარიანტიც — ესპანელებმა და ხორვატებმა კარგა ხნის წინ დაგეგმეს შესარჩევი ეტაპისთვის მოსამზადებელი საკონტროლო მატჩების გრაფიკი. იქნებ ვილაც გამოგვიჩნდეს, ისეთი, ვინც იმ დროს საზღვარგარეთ იქნება და ერთ-ერთ ასეთ მატჩს დაესწრება — ამ გზითაც შესაძლებელია მეტოქეებზე რაიმეს შეტყობა.

**— კლუბში და ნაკრებში მუშაობა ერთმანეთისგან გვარიანად განსხვავდება. თქვენ კი ჯერაც დაუღვინებელ ფეხბურთელებთან გიწევთ მუშაობა...**

— სწორად გამიგეთ, დღეს ჩვენ არ გვჭირდება პერსპექტიული ფეხბურთელი. დღეს ჩვენ გვინდა ისეთი ახალგაზრდა, რომელიც თავს გაართმევს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რასაც საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრების წევრობა ჰქვია. სწორედ ასეთი ხალხია მოსაძებნი... გუნდში საქმიანობა სულ სხვაა, ნაკრებში მოღვაწეობა კი მაინც დროებითია, იქ მცირე შეცდომაც კი გამოუსწორებელი ხდება, რადგან უბრალოდ დრო არ გრჩება საამისოდ... მთავარი ამ ეტაპზე მაინც სელექციაა და მე მწვრთნელების იმედი მაქვს, მჯერა, რომ ისინი სანაკრებოდ ღირსეულ კანდიდატებს შეგვირჩევენ. დანარჩენს კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი გამოაჩენს.

**პაატა ქვანტალიანი**

# ვახტანგ ხაინდრავა: ფედერაცია ლოზუნგებით მუშაობს

ეროვნული ბიბლიოთეკა



*გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით, „მერანი“ — „კოლხეთის“ სათასო მატჩზე ფოთელებმა შესაძლოა თავდამსხმელი ელდარ გვასალია ვერ ათამაშონო. მიზეზი კი ფეხბურთის ფედერაციიდან სატელეფონო შეტყობინება ყოფილა, გვასალია დისკვალიფიცირებულია და მის საკითხს ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისია განიხილავსო.*

*გუშინვე „სინათლის“ სტადიონზე „კოლხეთის“ აღმასრულებელი დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა მოვინახულეთ. ხელში ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას ხელმოწერილი ფურცელი ეჭირა, სადაც შავით თეთრზე ეწერა:*

*„საფეხბურთო კლუბ ფოთის „კოლხეთი 1913“-ის პრეზიდენტს, ბატონ ჯემალ ინაიშვილს. ბატონო პრეზიდენტო, ჩ/წლის 4 მარტს I ტურის კალენდარულ მატჩში (ტორპედო — კოლხეთი 1913) თამაშის დამთავრების შემდეგ ფეხბურთელმა ელდარ გვასალიამ გასახდელში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯთა ბრიგადას. ფეხბურთელ ელდარ გვასალიას ეკრძალება თამაში სადისციპლინო კომიტეტის დადგენილების გამოტანამდე. პატივისცემით ვალერი ჩოლარია“.*

*„კოლხეთის“ ტექნიკური დირექტორი აღშფოთებას ვერ მალავდა. რას ერჩიან გვასალიას? ეს ქვეყანა მართლა ჩალით ხომ არ არის დახურულიო.*

— რა ხდება არ ვიცი. „ტორპედოსთან“ თამაშის დასრულების შემდეგ მსაჯობასთან დაკავშირებით პირადად ვესაუბრე მატჩის დელეგატ ბატონ შოთა ხინჩაგაშვილს, საუბარში ელდარ გვასალიას მიმართ ხინჩაგაშვილს არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს. თამაშის დასრულებიდან სამი დღის შემდეგ კი ფედერაციიდან მობილურ ტელეფონზე შემატყობინეს, გვასალიამ არბიტრ მეშკოვს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, მისი საკითხი სტკ-ას გადაეცა და „მერანთან“ ვერ ათამაშებთო. გენერალური მდივნის წერილიც მატჩის დაწყებამდე 10 წუთით ადრე გადმომცეს. ისიც სრულიად შემთხვევით. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ წერილი იარსებებდა, თუმცა ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ თავად რომ არ მომეძია, მას არც არავინ მაჩვენებდა. საინტერესო კი ის გახლავთ, რომ გენერალური მდივნის ხელმოწერილი ფურცელი, არა დღევანდელი მატჩის დელეგატმა, არამედ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ინსტრუქტორმა ადიკ დურსუნიშმა გადმომცა.

**— გენერალური მდივნის წერილში აღნიშნულია, რომ გვასალიამ მსაჯს გასახდელში მიაყენა შეურაცხყოფა, ამაზე რას იტყვით?**

— მაინტერესებს რომელ გასახდელში? არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ თავმოყვარე კაცი ასეთ ბრძანებაზე ხელს არ მოაწერს. იქნებ გვასალიამ მსაჯთა გასახდელში მიაყენა შეურაცხყოფა. თუ ეს ასე იყო, მაშინ დელეგატი მითუმეტეს ვალდებული იყო, ფეხბურთელის მონაწილის ბარათი დაეტოვებინა. თუკი შეურაცხყოფის ფაქტი „კოლხეთის“ გასახდელში მოხდა, იქ მსაჯთა ბრიგადას რა უნდოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბატონი შოთა ვარაუდით ლაპარაკობს, რომ წაგებული გუნდის ფეხბურთელი მსაჯს ალბათ მართლაც შეაგინებდა. დაგვისახელოს, როდის მოხდა ეს ფაქტი. თუ მან დარღვევა შენიშნა და ფეხბურთელის საკითხიც სტკ-ს გადასცა, რატომ არ წაიღო გვასალიას ბარათი? ერთიც მიკვირს, რადგან გენერალური მდივანი ხელს აწერს წერილს, ესე იგი წაიკითხა. ნუთუ მას არ გაუჩნდა კითხვა, სად გაიგონა და რა ვითარებაში ხინჩაგაშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა. არ გამოვრიცხავ, რომ მას პირადი ინტერესებიც ჰქონდეს და შესაძლოა მოიგონა კიდეც ეს ყოველივე.

**— ბატონო ვახტანგ, ცოტა ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის, გამოდის შოთა ხინჩაგაშვილს უპირისპირდებით...**

— მე არავის ვუპირისპირდები, მე სიმართლეს დადგენა მსურს. დარღვევის შემთხვევაში მატჩის კომისარი ვალდებულია ფეხბურთის მონაწილის ბარათი წაიღოს. თუ დარღვევა მოხდა, რატომ არ მოიქცა ასე? მოხსენებითი ბარათი, როგორც დებულებაში წერია, თამაშის დასრულებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა დაიწეროს და ეს ყოველივე კლუბს უნდა ეცნობოს. აქ კი რა გამოდის? მაშინ, როცა მწვრთნელს შემადგენლობა და გუნდის ტაქტიკური მონახაზი შედგენილი აქვს თამაშის წინ ეუბნებიან რომ ეს ფეხბურთელი არ ათამაშოო. ეს ხელის შეშლაა და მეტი არაფერი. დალოცვილო, თუ ასეა, მაშინ დროზე ადრე შეეტყობინებინათ და არა მატჩის დაწყებამდე და თუ გინდ ბოლო თამაშიდან სამი დღის მერე. მწვრთნელიც წინასწარ დაიჭერდა თადარიგს და ამ ფეხბურთელს დროზე მოუნახავდა შემცვლელს და შესაბამისად თამაშის დაწყებამდე წუთებით ადრე არ მოუწევდა შემადგენლობის შეცვლა.

**— გამოდის სანამ სპორტულტექნიკური კომისიის სხდომა არ შედგება, გვასალია ვერ ითამაშებს...**

— ასეა. ღმერთმა უწყის როდის ჩატარდება სხდომა. „მერანთან“ ხომ გამოატოვებინეს, ახლა კი „დინამოსთან“ პრინციპულ მატჩსაც ვერ ითამაშებს.

**— თავად გენერალურ მდივანს ან პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ამ საკითხთან დაკავშირებით თუ ესაუბრეთ?**

— თამაშამდე ორი საათით ადრე ფეხბურთის ფედერაციაში ვიყავი, ჩოლარიასთან მსურდა შეხვედრა, მაგრამ საშეჯიბრო კომიტეტის უფროსმა გია ფირცხალავამ მითხრა, აზრი არა აქვს, ვერაფერს შევცვლითო. მაინტერესებს, წერილი რომ არ მომეკითხა, რომლის არსებობაც ვიცოდი და გვეთამაშებინა გვასალია, მაშინ რას იზამდა ფედერაცია? მე, როგორც გენერალურ მდივანს, ისე ფედერაციის პრეზიდენტს აუცილებლად შევხვდები და ყველაფერსაც გავარკვევ. ჩვენ სტკ-ზე აუცილებლად დავამტკიცებთ გვასალიას უდანაშაულობას, რომ მას არბიტრისთვის არავითარი სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

ერთსაც ვიტყვი, საქმისადმი ასეთი მიდგომით, ჩვენში საფეხბურთო დონე არ აიწევა. ფეხბურთის ფედერაცია, როგორც მისი მუშაკები ამბობენ, სერიოზული ორგანიზაციაა, ისინი კი მოწოდებებით და ლოზუნგებით მუშაობენ.

**P.S.** გუშინვე „სარბიელი“ თავად „ტორპედო“ — „კოლხეთის“ ინსპექტორს შოთა ხინჩაგაშვილს დაუკავშირდა: „ჩემი ყურით გავიგონე, გვასალიამ არბიტრს სიტყვიერი შეურაცხყოფა რომ მიაყენა. მოხსენებითი ბარათი თავად მსაჯმა დაწერა, ფეხბურთელის ბარათის დატოვება კი მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ“. ხოლო კითხვაზე, სად მოხდა ფაქტი, გასახდელში თუ გარეთ, ხინჩაგაშვილმა თქვა: „გასახდელი არბიტრს ნამდვილად არ დაუწერია“.

**გიორგი ვაშაკიძე**

# მუხლჩახრილი ლუის ენრიკე



ლუის ენრიკე

ბარსელონელი ლუის ენრიკე, როგორც ჩანს, გაცილებით სერიოზულადაა დაშავებული, ვიდრე თავიდან ეგონათ. კლუბის ექიმის ცნობით, მან არათუ ერთი თვე, შესაძლოა სეზონის ბოლომდეც კი ვერ აღიდგინოს ჯანმრთელობა და მეტიც, ალბათ ევროპის ჩემპიონატსაც გააცდენს.

როგორც გახსოვთ, 29 წლის უნივერსალურ ფეხბურთელს, რომელსაც გასულ კვირაში, „პორტუსთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ შეხვედრაში მარცხენა მუხლი ეტკინა, პირველ დღეებში მხოლოდ სამკვირიან მკურნალობას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სამშაბათს ჩატარებულმა ართოსკოპიულმა ოპერაციამ გამოავლინა, რომ მყესები მოსალოდნელზე გაცილებით უარეს დღეშია.

„ჩემი შეფასებით, ლუის ენრიკე სულ მცირე სამი თვით ჩამორჩება მოვლენებს. სეზონის ბოლომდე კი არა, მან შეიძლება ევროპის ჩემპიონატზეც ვერ ითამაშოს" — ბრძანებს ექიმი ხოსეპ ბორელი.

ასეა თუ ისე, ამ თვეს ლუის ენრიკე თაბაშირით გაატარებს.

„თუ იგი აღდგენის პერიოდს მაქსიმალური სიფრთხილით მოეკიდება, მაშინ მომავალი სეზონის დასაწყისისთვის უეჭველად ჯანმრთელად უნდა იყოს" — დასძენს ბორელი. ლუის ენრიკეს ტრავმა სერიოზულ სირთულეებს უქმნის, როგორც მის კლუბს, ასევე ნაკრებს. მოგეხსენებათ, „ბარსელონა" ესპანეთის პირველობაზე ზედიზედ მესამე ტიტულისთვის იბრძვის. დღეისათვის კატალონიელები პრიმერადივიზიონის ცხრილში მესამე ადგილზე არიან და ლიდერს, „დეპორტივო ლა კორუნიას" ხუთი ქულით ჩამორჩებიან.

გარდა ესპანეთის ჩემპიონატისა „ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგაშიც იბრძვის, ხოლო კიდევ ერთ შეჯიბრებაში, ესპანეთის სამეფო თასზე, ნახევარფინალშია გასული.

ესპანეთის ნაკრებისთვის კი ლუის ენრიკე უცვლელი მოთამაშეა. ეროვნულ გუნდში მან პირველად 1991 წელს, ოცი წლისამ ითამაშა და მას მერე 48 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

იმ შემთხვევაშიც კი, თუკი იგი ექიმი ბორელის ვარაუდთან შედარებით მალე გამოჯანმრთელდება და ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე თამაშს შეძლებს, ლუის ენრიკე ნამდვილად გამოტოვებს ესპანელთა ამხანაგურ შეხვედრას იტალიის ნაკრებთან, რომელიც 29 მარტს არის დანიშნული და მხოლოდ ამ ფაქტმაც შეიძლება ცუდი გავლენა იქონიოს მის ბელგია — ჰოლანდიაში წაყვანაზე.

საქმე ის გახლავთ, რომ ესპანელთა ეროვნული გუნდის მწვრთნელის, ხოსე ანტონიო კამაჩოს თქმით, „სკუადრა აძურასთან" შეხვედრა გადამწყვეტი იქნება და იმ მოთამაშეთა ვინაობას, ვისაც ევროპის ჩემპიონატზე იახლებს, მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ მატჩის მიხედვით განსაზღვრავს.

# მერიდეთ ინფორმატორებს

## ასე თუ გაგრძელდა, „ლიდს იუნაიტედი" ინგლისის საპატიმროთა თასზე ითამაშებს

ამბავი, ახლა რომ გიამბობთ, მხოლოდ აგრძელებს იმ საქმესა, რომელიც ამა წლის 13 იანვარს ინგლისურ ქალაქ ლიდსში დაიწყო. ისტორიას მოკლედ შეგახსენებთ.

აღნიშნულ დღეს დასავლეთ იორკშირის საგრაფოში დანაშაული მოხდა. ორმა მთვრალმა მამაკაცმა ღამით ქუჩაში გამვლელს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ანუ სცემა და აგინა. იმის გათვალისწინებით, რომ დაზარალებული აზიური წარმოშობის ყმაწვილი კაცი გახლდათ, საქმეს რასიზმის სუნი უდიოდა. გამოძიება პოლიციის მილგარტის განყოფილებას დაევალა (ინგლისის გეოგრაფიაში გავერკვეთ და ვთქვათ, რომ მილგარტი უბანია ლიდსში, ეს ქალაქი კი დასავლეთ იორკშირის საგრაფოში მდებარეობს). ამგვარი ან ამის მსგავსი კრიმინალური ამბები ყოველდღიურად ხდება და ეს საქმეც პოლიციის ადგილობრივი უბნის არქივში ჩაიკარგებოდა, რომ არა ერთი გარემოება. ეჭვმიტანილები ფეხბურთელები არიან, თანაც ისეთები, პრემიერლიგაში რომ თამაშობენ და ინგლისის ნაკრებშიც მოუსინჯავთ ძალა. „ლიდს იუნაიტედის" მოთამაშეებზე — ჯონათან ვუდგეიტსა და ლი ბოუერზე მოგახსენებთ. ვუდგეიტს ეროვნულ ნაკრებში ერთი შეხვედრა ჩაუტარებია, ხოლო ბოუერი სულაც ახალგაზრდული გუნდის ყოფილი კაპიტანია.

„ლიდსის" მატჩებს თვალყურს თუ ადევნებთ, შენიშნავდით, ვუდგეიტი და ბოუერი ძლიერად ურტყამენ. ეს ფაქტი აღნიშნულმა კრიმინალურმა ინციდენტმაც დაადასტურა. დაზარალებული (მის ვინაობას არ ამხელენ და საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა არც აქვს) კლინიკაში თავის ტრავმებით მიიყვანეს და დღემდე ვერ გამოჯანმრთელდებულა.

დამნაშავენი, ცხადია, დაუყოვნებლივ დაჰკითხეს და თავდებით გაათავისუფლეს. გამომძიებელმა კი ოქმში შემდეგი სიტყვები ჩაწერა: „ჰყავდათ თუ არა ეჭვმიტანილებს თანამზრახველები, უცნობია".

არ გეგონოთ, ამით ეს ამბავი დასრულდა. პოლიციამ ჩინებულად იმუშავა და დანაშაულის კიდევ ერთ მონაწილეს მიაგნო. ის მავანი ტონი ჰაკვორთი აღმოჩნდა. რა ახსნა უნდა იმას, რომ 19 წლის ჰაკვორთიც ფეხბურთელია და „ლიდსის" სარეზერვო გუნდში თამაშობს. რამდენი წიხლი უთავაზა ჰაკვორთმა მსხვერპლს, გამოძიება დაადგენს. იქამდე კი, ვუდგეიტისა და ბოუერის მსგავსად, ისიც დაჰკითხეს და თავდებით გაუშვეს.

ცხადია, პოლიციას თავისი საიდუმლო მეთოდები აქვს. სამართალდამცავები არ ამხელენ, თუ როგორ მიაგნეს ჰაკვორთის კვალს. დანაშაულის ჩადენის დროს, გვიან ღამით, პატიოსან მოქალაქეებს მშვიდად ეძინათ და საეჭვოა, მათ რაიმე დაენახათ. თავად დაზარალებულს ტვინის მძიმე შერყევა აქვს და არაფერი ახსოვს. რა რჩება? ნუთუ ბოუერმა და ვუდგეიტმა მეგობარი...

„ლიდსის" ხელმძღვანელობა მომხდარის გამო სინანულს გამოთქვამს, თუმცა იხტიბარს არ იტეხს, ვუდგეიტი, ბოუერი და ჰაკვორთი კი დაჰკითხეს, მაგრამ არ დაუპატიმრებიათო.

ჩვენ კი გაფრთხილებთ — ინგლისში თუ ჩახვალთ და ლიდსშიც მოხვდებით, ღამით ქალაქში ნუ გახვალთ! იქ მთვრალი ფეხბურთელები დადიან და ხალხს სცემენ!

გიორგი დარჯანია


რა განსხვავებაა გაზეთ „სარბიელსა" და ჟურნალ „სარბიელს" შორის?

- გაზეთი „სარბიელი" თითქმის ათი წელიწადია რაც გამოდის, ჟურნალ „სარბიელს" კი მკითხველი ორშაბათიდან გაეცნობა.
- გაზეთი „სარბიელი" კვირაში ხუთჯერ მიდის მკითხველთან, ჟურნალი „სარბიელი" თვეში ერთხელ მივა.
- გაზეთი „სარბიელი" შავ-თეთრია, ჟურნალი „სარბიელი" — ფერადი.
- და რა არის საერთო გაზეთ „სარბიელსა" და ჟურნალ „სარბიელს" შორის?

ორივე სარბიელია





## ფეხბურთის რუკაზე



**იტალიურმა** „ფიორენტინამ" არგენტინული „ხიმნასია ლა პლატას" 21 წლის ფეხბურთელ დამიან კუფრეს დაადგა თვალი. ფლორენციული კლუბი მომავალი სეზონისთვის რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის შეძენას აპირებს, ძირითადი ყურადღება გუნდმა სამხრეთამერიკელ მოთამაშეებს მიაპყრო. ახალგაზრდა კუფრე „ხიმნასიაში" საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს. იტალიური პრესის ცნობით, აპენინელებმა არგენტინელებს 7 მილიონი დოლარი შესთავაზეს.

**ფრანგული** მარსელის „ოლიმპიკის" ფორვარდმა ფლორიან მორისმა მუხლის საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და დაახლოებით რვა კვირას ვერ ითამაშებს. 26 წლის თავდამსხმელი, რომელმაც სეზონის დასაწყისი კოჭის ტრავმის გამო გამოტოვა, გუნდის ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დაშავდა, როცა „ოლიმპიკი" ჩემპიონთა ლიგის მორიგი ტურისთვის ემზადებოდა. ბოლო ხანს ფრანგულ გუნდს ამავე მიზეზით კიდევ ორი ფეხბურთელი გამოაკლდა — მეკარე სტეფან პორატო და მცველი უილიამ გალასი, რომელიც მინდორზე ალბათ კარგა ხანს ვერ გამოჩნდება.

**ამერიკის** ნაკრებისა და ესპანური „რაიო ვალეკანოს" მეკარე კეისი კელერი დაშავდა და გუნდს დაახლოებით ერთი თვე დააკლდება. მან ტრავმა პრიმერადივიზიონის უკანასკნელ ტურში, „ალავესის" წინააღმდეგ მატჩში მიიღო. ამერიკის ნაკრებს 25 აპრილს რუსებთან ამხანაგური შეხვედრა ელის. თუ კელერის მკურნალობის კურსი წარმატებით ჩაივლის, მეკარე თავის ნაკრებს ალბათ დაეხმარება. თუმცა გუნდის თავკაც ბრიუს არენას ეს დიდად არ ანაღვლებს და აცხადებს, რომ მთავარია, კელერი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის გამოჯანმრთელდეს.

**ესპანური** „სევილიას" ახალ თავკაცად სარეზერვო გუნდის მწვრთნელი ხუან ანტონიო ალვარესი დაინიშნა. შეგახსენებთ, რომ წარუმატებელი მოღვაწეობის გამო სამშაბათს პოსტი მარკოს ალონსომ დატოვა. სევილიური გუნდი აშკარა კრიზისს განიცდის, პრიმერადივიზიონის გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზეა და მეორე ლიგაში დაქვეითება ემუქრება. უკანასკნელ ტურში გუნდი შინ „ვალიადოლიდთან" დამარცხდა 0:1. მარკოს ალონსოც სწორედ ამ წაგების შემდეგ გაათავისუფლეს.

**უკრაინული** ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი ოლეგ ბლოხინი ბერძნული ათენის „იონიკოსის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა. 1976 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ერთი ხანობა „ოლიმპიაკოსს", პაოკ-სა და აეკ-ს წვრთნიდა. „იონიკოსის" ხელმძღვანელობამ ეს ფაქტი გაითვალისწინა და 48 წლის ბლოხინს გუნდის თავკაცობა შესთავაზა.

**შოტლანდიური** „ჰიბერნიანის" ხელმძღვანელებმა უარყვეს მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს გუნდის ფორვარდის, კენი მილერის შეძენით ინგლისური „ლიდს იუნაიტედი" დაინტერესდა და მათ 5 მილიონი დოლარი შესთავაზა. 21 წლის ფეხბურთელში „ჰიბერნიანი" მინიმუმ 6 მილიონ დოლარს ითხოვს. ახალგაზრდა, სწრაფი მოთამაშის ყიდვის სურვილი პრემიერლიგელმა „ვესტ ჰემმა" უკვე გამოთქვა. „ლიდსის" თავმჯდომარეს, პიტერ რიდსდეილის კი ნორვეგიული „რუსენბორგის" თავდამსხმელ იონ კარეუსთვის დაუდგამს თვალი და იმედოვნებს, რომ მას კვირის ბოლომდე ინგლისში გადაიბირებს.

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ „ვულვერჰემპტონის" ფორვარდი აბე აკინბი დასაჯა. თებერვალში „ნოტინგემ ფორესტის" წინააღმდეგ გამართულ მატჩში ფეხბურთელი უმსგავსოდ მოიქცა, მე-5 წუთზე ნოტინგემელ ტონი ვაუგანს ეუხეშა და მოედნიდანაც გააძევეს, თუმც მან მინდვრის დატოვება არ ისურვა და ჩხუბი ატეხა. აკინბი ჯერ „ვულვერჰემპტონმა" დააჯარიმა, ერთი თვის შემდეგ კი ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამაც.

**ისრაელის** თასის მერვედფინალი. ჰაპოელი (ჰაიფა) 2:2 (პენ. 5:6) *მაკაბი (ჰაიფა)*; *ჰაპოელი (თელ ავივი)* 2:0 მაკაბი (თელ ავივი); *მაკაბი (ნეთანია)* 3:0 მაკაბი (ჰერცლია); მაკაბი (კაფრ კანა) (III) 1:3 *ჰაპოელი (ქვარ სავა)*; *ბეითარი (თელ ავივი) (III)* 2:1 მაკაბი (ნაზარეთი) (II); ჰაპოელი (აშკელონი) (II) 1:2; *ჰაპოელი (ბეერშევა) (II)*; *მაკაბი (ფეთაჰ თიკვა)* 2:1 ცაფრირიმი (II); ბეითარი (ბეერშევა) — ბეითარი (იერუსალიმი) 14 მარტს გაიმართება. მეოთხედფინალის წილისყრა დღეს გაიმართება, მატჩები კი 21 მარტს.

## ლიბერტადორესის თასი

III ჯგუფი

მეორე ტური

**კორინთიანსი (ბრაზილია) 6:0 ლიგა დე კიტო (ეკვადორი)**

1:0 მარსელინიო (13), 2:0, 3:0 ლუიზაო (21, 50), 4:0 კაპურო (52 ს.კ.), 5:0 ლუიზაო (70), 6:0 დინეი (72)

V ჯგუფი

მესამე ტური

**სან ლორენსო (არგენტინა) 2:2 სერო პორტენო (პარაგვაი)**

1:0 ბერნარდო რომეო (8), 1:1 სტრუვაი (68), 2:1 პუსინერი (73), 2:2 კოენერი (88)

VI ჯგუფი

მესამე ტური

**სპორტინგ კრისტალი (პერუ) 3:0 ატლეტ. კოლეგიალესი (პარაგვაი)**

1:0 ჰოლსენი (45), 2:0 კარლოს ხუარესი (56), 3:0 ოლკესი (65)

**ამერიკა (კოლუმბია) 5:3 როსარიო სენტრ. (არგენტინა)**

0:1 კანალესი (6), 0:2 დიეგო ლატორე (27), 1:2, 2:2 მორენო (44, 45), 3:2 სალასარი (47), 4:2 ოვიედო (68), 4:3 დიეგო ლატორე (77), 5:3 მორენო (90)

## აფრიკის სუპერთასი

ფინალი

**რაჯა კასაბლანკა (მაროკო) 2:0 აფრიკა სპორტსი (კოტ დივუარი)**

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

XXXV ტური

**ბირმინგემი 1:0 პორტსმუთი**

1:0 მარსელო (49)

**ქრიუ 2:1 პორტვეილი**

1:0 კრამბი (15), 1:1 ვილიანენი (82), 2:1 ლანტი (87)

**კრ. პალასი 0:0 ბოლტონი**

**ფულემი 4:1 სტოკპორტი**

1:0 ჰეილსი (10), 2:0 გოლდბეკი (52), 2:1 დინინგი (61პ), 3:1 ჰეილსი (64), 4:1 ფინანი (69)

**გრიმსბი 1:0 ვულვერჰემპტონი**

1:0 კლერი (17)

**იფსვიჩი 0:0 ბლექბერნი**

**შეფილდ იუნ. 3:3 ბარნსლი**

0:1 ხრისტოვი (18), 1:1 ნოტმანი (22), 1:2 ბარნარდი (36პ), 2:2 ბრაუნი (49), 2:3 შიპერლი (68), 3:3 ბენტი (90)

**სუინდონი 2:0 ჰადერსფილდი**

1:0 კოლინზი (11), 2:0 ჰეი (89პ)

**უოლსოლი 2:4 ჩარლტონი**

1:0 რობინსი (24პ), 1:1, 1:2 ჰანტი (25, 33), 1:3 კინსელა (45), 2:3 ვლახოსი (65), 2:4 კინსელა (66)

**ვესტ ბრომვიჩი 2:0 ტრანმერი**

1:0 ფლინი (39), 2:0 მ. ჰიუზი (49)

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. A ჯგუფი

### პორტუ 0:2 ბარსელონა

0:1 აბელარდო (38), 0:2 რივალდო (59)
პორტუ: ილარიო, სეკრეტარიუ, პაულინიუ სანტუში (კლეიტონი 65), ალოიზიო, ესკერდინია, პეიშე (ჩაინიო 46), რუბენს ჟუნიორი (ოლივეირა 45), რიკარდუ სილვა, ნუნო კაპუჩო, დრულოვიჩი, ჟარდელი
მწვრთნელი: ფერნანდო სანტოსი
ბარსელონა: ჰესპი, პუიოლი, აბელარდო, ფ. დე ბური, ბოგარდი, გვარდიოლა, კოკუ (გაბრი 46), ფიგუ (ხავი 91), რ. დე ბური, კლუივერტი, რივალდო (დანი 76)
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: ფიგუ, ალოიზიო, პაულინიუ სანტუში
მსაჯი: სტეფანო ბრაში (იტალია)
45 000 მაყურებელი

„ბედნიერებაა გყავდეს ფეხბურთელი, რომელსაც შეხვედრის ბედის გადაწყვეტა ძალუძს" — ხარობდა ლუის ვან გაალი გასულ კვირაში, როცა „ბარსამ" შინ დაამარცხა „პორტუ". მწვრთნელი გულისხმობდა რივალდოს, ვისი თამაში ახლაც საეჭვო იყო, მაგრამ ბრაზილიელმა ითამაშა, ერთი საჯარიმოც შეაგდო და მოედანი, თუმც დროზე ადრე, მაინც ვალმოხდილმა დატოვა.

არადა, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელსა და მის თანაგუნდელებს თავიც არ აუტკივებიათ, ისე მოიგეს და მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალისტის სახელიც დაიგდეს. „ეს ჩინებულია. ჩვენს გარდა ჯერ არავის გაუნაღდებია შემდეგ ეტაპზე გასვლა, თუმცა დარჩენილ მატჩებშიც სათანადოდ ვითამაშებთ — პირველი ადგილი ხომ წილისყრისას უპირატესობას მოგვცემს" — ესეც ვან გაალის სიტყვებია, ოღონდ უკვე გუშინწინ ნათქვამი.

სტუმრებს, ამ გუნდების პირველი მატჩისგან განსხვავებით, ტრავმირებული ზენდენი და ლუის ენრიკე აკლდათ, თუმცა „ბარსელონასა" და მისი დარი ბობოლებისთვის მსგავსი რამ პრობლემას, კარგა ხანია, აღარ წარმოადგენს. რა, რონალდ დე ბურია ვინმეზე ნაკლები? ჰოდა, რა შედეგიც ერთი კვირის წინ „კამპ ნოუზე" დაფიქსირდა (ორბურთიანი უპირატესობა), პორტუშიც იგივე განმეორდა. თან, ვიმეორებთ, ეს მოგება კატალონიურ კლუბს პირველზე გაცილებით ნაკლებ ოფლისღვრად დაუჯდა. რაც მთავარია, სტუმართა მცველებმა უპირველესად მისახედი საქმე — გათამაშების მანამდე საუკეთესო ბომბარდირის, მარიო ჟარდელის (8 გოლი) ამოკეტვა — იოლად მოაგვარეს, რივალდომ კი თავის მხრივ პორტუელ თანამემამულეს ერთპიროვნული ლიდერობა ჩამოართვა: 59-ე წუთზე საჯარიმოდან ჯერ მაღალი ბურთი აფრინა, მაგრამ მეტოქის კედლიდან უდროოდ გამოვარდნის გამო მსაჯმა დარტყმა გაამეორებინა. ახლაც იგივეს იზამსო, იფიქრეს პორტუელთა კედელში და ახტნენ, დამხტართ კი საკუთარი მეკარის ლანძღვა და რივალდოს ყიჟინა შემოესმათ.

ეს მეორე გოლი იყო. პირველი პირველ ტაიმში გავიდა: კუთხურიდან ფიგუსგან ჩაწოდებული ბურთი აბელარდოს ფეხზე მოჯდა და მყის კარის ხაზიც გადაკვეთა.

მასპინძლები? ამათ ოდენ მატჩის შემდეგ გაიხარეს, როცა პრაღელთა წამატებულ დროში გატანილი გოლის ამბავი შეიტყვეს — კვირის თავზე „სპარტას" შინ დამარცხებით „პორტუც" პრაქტიკულად მეოთხედფინალისტი გახდება.



REUTERS პორტფელიდან

პორტუ — ბარსელონა 0:2. პორტუელი ნუნო კაპუჩო (მარცხნივ) და ბარსელონელი ფრანკ დე ბური ბურთისთვის იბრძვიან

### სპარტა 1:0 ჰერტა

1:0 ფუკალი (90)
სპარტა: ბლაჟეკი, გაბრიელი, ნოვოტნი, ბოლფი, ფუკალი, იაროშიკი, სიონკო (სვობოდა 74), როსიცკი, ჰაპალი (ზიგლი 65), ბარანეკი, ლოკვენცი
მწვრთნელი: ივან ჰაშეკი
ჰერტა: ფიდლერი, ჰ. ჰერცოგი, კონსტანტინიდისი, რეკდალი (სანე 90), მიხალკე (ვაიტი 21), რემერი, შმიდტი, ჰარტმანი, როი (პრეეცი 79), დაეი, ალექს ალვეში
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: როი, ბოლფი, კონსტანტინიდისი, ჰაპალი, ალექს ალვეში
მსაჯი: ანდრეას ფრისკი (შვედეთი)
9 101 მაყურებელი

ამ შეხვედრაში ორივე გუნდს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსიღა რჩებოდათ.

მე-18 წუთზე სპარტელი ლიბორ სიონკო მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა, მეკარე კრისტიან ფიდლერიც მოატყუა და კარში დაარტყა, მაგრამ ბურთს ჰენდრიკ ჰერცოგი დაუხვდა და კარის ხაზიდან გამოიტანა. ჩეხებს შეტევა არ შეუწყვეტიათ, თუმცა გერმანელ მცველთა ზუსტ ქმედებებს ვერაფერი მოუხერხეს. აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში სტუმრებს ერთი სახიფათო მომენტიც არ შეუქმნიათ.

შესვენების შემდეგ თამაში რამდენადმე გათანაბრდა. გოლის გატანის შესაძლებლობა ვერ გამოიყენა ალექს ალვეშმა — მან ახლო მანძილიდან ააცილა. ერთი წუთის შემდეგ უკვე კოსტას კონსტანტინიდისმა დაჰკრა მძლავრად, ცოტაოდენი სიზუსტეც და ბურთი ბლაჟეკის კარის მარცხენა ცხრიანში შეფრინდებოდა.

თამაშისთვის განკუთვნილი დრო იწურებოდა. სადაცაა მსაჯს საფინალოდ უნდა დაესტვინა, რომ მილან ფუკალმა ოცდაათიოდე მეტრიდან ბურთი ძელს გაარტყა და ასხლეტით სტუმართა კარის ბადეში აღმოჩნდა.

მატჩის შემდეგ ივან ჰაშეკმა, პრაღელთა მწვრთნელმა თქვა: „უკვე მერამდენედ გააქვს ფუკალს ბოლო წამებზე გამარჯვების გოლი. ის ამის სპეციალისტია. ამ სეზონში ფუკალმა ოთხი თამაში მოგვაგებინა, რადგან არასდროს ნებდება. ახლა ჩინებულ განწყობაზე ვართ. მეოთხედფინალში გასვლა შეგვიძლია და „პორტუს" უშეღავათო ბრძოლას გავუმართავთ".

თავად მილან ფუკალი გატანილ გოლს ასე აღწერს: „ზდენეკ სვობოდასგან პასი რომ მივიღე, ერთი წამითაც არ დავფიქრებულვარ, კარში ისე დავარტყი".

გერმანელთა მწვრთნელმა იურგენ რიობერმა კი განაცხადა, კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ დღეს თამაში არ გამოგვივიდაო.

*V ტური. 15 მარტი. ბარსელონა — ჰერტა; პორტუ — სპარტა*

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 4:2 | 5:0 | 15.III | 12:3 | 10 |
| 2 | პორტუ | 0:2 | | 15.III | 1:0 | 5:6 | 6 |
| 3 | სპარტა | 21.III | 0:2 | | 1:0 | 2:8 | 4 |
| 4 | ჰერტა | 1:1 | 21.III | 1:1 | | 2:4 | 2 |

## ჩემპიონთა ლიგა. IV ტური. B ჯგუფი

### ვალენსია 2:0 ფიორენტინა

1:0 ილიე (34), 2:0 მენდიეტა (90პ)
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, კილი გონსალესი (ანგულო 90), ფარინოსი, მენდიეტა, ხერარდი, კლაუდიო ლოპესი, ილიე (ოსკარ გარსია 78)
მწვრთნელი: ექტორ კუპერი
ფიორენტინა: ტალიალატელა, რეპკა, ადანი, პიერინი, ტორიჩელი (ტორიზი 77), დი ლივიო, კოისი, ჰაინრიხი (ნ. ამორუზო 53), რუი კოშტა, მიატოვიჩი (ბალბო 57), ბატისტუტა
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
გაფრთხილება: კლაუდიო ლოპესი, კოისი, ამორუზო, ილიე, პელეგრინო, ტორიზი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
50 000 მაყურებელი

გამოცდილი იტალიელი თავკაცის, ჯოვანი ტრაპატონის მეათასე სამწვრთნელო მატჩი აშკარად უიღბლო გამოდგა. „ფიორენტინამ" „ვალენსიასთან" 0:2 წააგო და მეოთხედფინალში მოხვედრის შანსი საეჭვო გახადა.

„ვალენსია" 34-ე წუთზე დაწინაურდა, რუმინელმა ადრიან ილიემ ამადეო კარბონის გარღვევა გოლით დაასრულა და „მესტალას" სტადიონზე შეკრებილი 50 ათასი ქომაგი აღაფრთოვანა. ესპანელები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა მეორე ბურთის გატანა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მოახერხეს. გაისკა მენდიეტამ პენალტი ზუსტად შეასრულა და საბოლოო შედეგი — 2:0 დააფიქსირა. თერთმეტმეტრიანამდე რამდენიმე წუთით ადრე გოლი „ფიორენტინამაც" გაიტანა, ანჯელო დი ლივიომ საჯარიმო დარტყმით „ვალენსიას" მეკარე სანტიაგო კანისარესის კარი დალაშქრა, თუმცა მსაჯმა ფლორენციელთა შემტევი გაბრიელ ბატისტუტა პასიურ თამაშგარეში შენიშნა და გოლი გააუქმა.

წარმატებით გაიხარა ესპანელთა თავკაცმა ექტორ კუპერმა: „რაც „ვალენსიაში" მოვედი, ეს, ალბათ, საუკეთესო მატჩი იყო — ამბობს „მალიორკას" ყოფილი მწვრთნელი, რომელმაც „ვალენსია" მიმდინარე სეზონში ჩაიბარა — ბევრი ვიწვალე, სანამ გუნდს ფეხზე დავაყენებდი. მართალია, მიღწეული გამარჯვება მეოთხედფინალში მოხვედრის გარანტიას არ იძლევა, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს ნამდვილად საჭირო გახლდათ. ნერვიულობა და ძალების ხარჯვა დარჩენილ ორ ტურშიც მოგვიწევს" — დასძინა კუპერმა.

ჯოვანი ტრაპატონი, დაღონებული ჩანდა, მაგრამ გუნდის მეორე მეკარე ჯუზეპე ტალიალატელა ერთობ აქო; ეს გოლკიპერი დისკვალიფიცირებული ფრანჩესკო ტოლდოს ნაცვლად იცავდა კარს: „მან ნამდვილად იყოჩაღა და რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია" — განაცხადა გამოცდილმა მწვრთნელმა

ტრაპატონის არც იუგოსლაველი თავდამსხმელი პრედრაგ მიატოვიჩი გაუკრიტიკებია: „მას თითქმის ოთხი თვე არ უთამაშია, ბოლო დღეებში კი რამდენიმე პრინციპული მატჩის ჩატარება მოუხდა. არა მგონია, დღეს იგი გაკიცხვის ღირსი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვერ ითამაშა და შევცვალე კიდეც".

ცნობილია, რომ რამდენიმე წლის წინ მიატოვიჩი სწორედ „ვალენსიას" ღირსებას იცავდა, „მესტალაზე" შეკრებილი მაყურებელი მოედანზე მის გამოჩენას დიდი სიხარულით არ შეხვედრია. ის კი არა, იუგოსლაველმა ფეხბურთელმა არაერთხელ მოისმინა მაყურებლის სტვენა.

### ბორდო 1:2 მანჩესტერი

1:0 პავონი (9), 1:1 კინი (33), 1:2 სოლსკიაერი (84)
ბორდო: რამე, გრენე, საველიჩი, ზიანი (რუვიე 60), აფანუ, ბონისელი, ბატლე (დიაბატე 10), პავონი, მიკუ, ლასლანდი, ვილტორდი (ფეინდუონო 82)
მწვრთნელი: ელი ბოპი
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ირვინი (სოლსკიაერი 83), ბექემი, კინი, ბათი, გიგზი, შერინგემი (იორკი 77), კოული (ჰ.ბერგი 86)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ლასლანდი, სტამი, პავონი, გრენე, გიგზი, დიაბატე
გაძევება: ლასლანდი (23)
მსაჯი: იან ვილემ ვეგერეფი (ჰოლანდია)
35 000 მაყურებელი

შეხვედრის მიწურულს შეცვლაზე შესული ოლე გუნარ სოლსკიაერის გოლმა „მანჩესტერ იუნაიტედს" „ბორდოსთან" გამარჯვება მოუპოვა და B ჯგუფის ლიდერად აღაზევა. ფრანგებმა ანგარიში მე-9 წუთზე გახსნეს, მიშელ პავონმა ზუსტი დარტყმით „მანჩესტერის" კარი დალაშქრა, მაგრამ 23-ე წუთის შემდეგ 10 კაცით დარჩენილმა „ბორდომ" უპირატესობა ვერ შეინარჩუნა, ორი გოლი გაუშვა და დამარცხდა.

გამარჯვების მიუხედავად, სერ ალექს ფერგიუსონი თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილო დარჩა. მატჩის შემდეგ მან განაცხადა: „ურთულესი ბრძოლა გადაგვხდა, დებიუტში აშკარად მოვისუსტეთ, განსაკუთრებით მცველებმა ვერ იყოჩაღეს, შეხვედრის მე-9 წუთზე გოლითაც კი დავისაჯეთ. მართალია, 23-ზე ლილიან ლასლანდის გაძევებამ „ბორდო" ფსიქოლოგიურად გატეხა, მაგრამ ფრანგთა სიმამაცემ ნამდვილად მომხიბლა. რომ არა გაძევება, გამარჯვება უდავოდ გაგვიჭირდებოდა".

23-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათის გამო ლილიან ლასლანდი გააძევეს, იგი დევიდ ბექემს ეუხეშა. მერე „პოშ სფაიზ" ვიქტორიას ქმარი ბურთს შეეხებოდა თუ არა, ბორდოელი გულშემატკივარი სტვენითა და აუგი შეძახილებით ხვდებოდა.

მსაჯის გადაწყვეტილებას „ბორდოს" კაპიტანი პავონი არ დაეთანხმა: „ბექემი — ლასლანდის ორთაბრძოლის ადგილიდან დაახლოებით 10 მეტრში ვიდექი, არა მგონია, ჯარიმა ყოფილიყო. ბარაქალა დევიდ ბექემს, მან თავისი არტისტიზმით არბიტრზე აშკარად იმოქმედა".

„შეხვედრის დროს ჯგუფის მეორე მატჩის შედეგს ხშირად ვკითხულობდი — განაცხადა სერ ალექსმა და დასძინა — როცა გავიგე, რომ „ვალენსია" „ფიორენტინას" ამარცხებდა, მივხვდი, რომ აუცილებლად უნდა მოგვეგო. სამი ფეხბურთელიც ამიტომ შევცვალე. 84-ე წუთზე სოლსკიაერმა გამიმართლა და გოლი გაიტანა, ძალიან გავიხარე. მეოთხედფინალში გასასვლელად გამარჯვება გვჭირდება, რასაც ყოველნაირად შევეცდებით".

„ბორდოს" თავკაცი ელი ბოპი მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა: „მიმაჩნია, რომ როი კინმა გოლი თამაშგარედან გაიტანა, საერთოდ, მსაჯებმა გამაოცეს. არც ის მეგონა, თუ „მანჩესტერს" ჩვენს დასამარცხებლად ერთკაციანი უპირატესობა დასჭირდებოდა".



ვალენსია — ფიორენტინა 2:0. ვალენსიელი ხავიერ ფარინოსი (მარცხნივ) და ფლორენციელი რუი კოშტა

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 15.III | 3:0 | 2:0 | 7:3 | 9 |
| 2 | ფიორენტინა | 2:0 | | 1:0 | 21.III | 3:2 | 7 |
| 3 | ვალენსია | 21.III | 2:0 | | 3:0 | 5:4 | 6 |
| 4 | ბორდო | 1:2 | 0:0 | 15.III | | 1:7 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაიმონდ ვან დერ გოუ: პიტერ შმაიხელი ვერასდროს გავხდები




რაიმონდ ვან დერ გოუ (მარჯვნივ)

*რაიმონდ ვან დერ გოუმ სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში, „ბორდოსთან“ ერთობ იოლად მოსაგერიებელი ბურთი გაუშვა, მაგრამ ამით მისი ოსტატობა არ კნინდება. თუნდაც ის ფაქტი, რომ ის „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარს იცავს მრავლისმეტყველია, ხოლო დანარჩენს თავად მოგვითხრობს.*

**— წლეულსაც შეძლებს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია. ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანა მეორე ეტაპზე ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა გახლავთ. თუ მიზანს მივაღწევთ და პლეი-ოფის საფეხურზე გავალთ, მერე ყველაფერს ის გადაწყვეტს თამაშის დღეს როგორ ფორმაში ვიქნებით. შეჯიბრებაში რამდენიმე ძალიან ძლიერი გუნდი მონაწილეობს, მაგალითად, „ბარსელონა“, „ლაციო“, „რეალი“ და „ჩელსი“, მაგრამ ჩვენ მათთან დიდი მატჩებისთვის მზად ვართ.

**— თქვენ გუნდის კარს ბოლო სამი თამაშია იცავთ. „ბორდოსთან“ პირველი მატჩის წინ ელოდით, რომ ფურგიუსონი ძირითადში ადგილს განდობდათ?**

— „ბორდოსთან“ მე რომ უნდა მეთამაშა, წინა დღეს გავიგე. ალექს ფერგიუსონმა მითხრა, რომ მას ძალიან მოსწონს, როგორ ვთამაშობ ბოლო წლებში საერთაშორისო შეხვედრებს და ამიტომაც გადაწყვიტა არჩევანი ჩემზე შეეჩერებინა. მართალი გითხრათ, გამიხარდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ სათადარიგოთა სკამზე კარგა ხნის ჯდომის შემდეგ გამიჭირდებოდა. საბედნიეროდ, იმ დღეს კარგად ვითამაშე და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან გუნდის მთავარ მეკარედ მარკ ბოსნიჩი ითვლება, ვგრძნობდი, რომ შაბათს, „ლივერპულთანაც“ მე მომიხდებოდა კარის დაცვა. ბედნიერი გახლავართ, რომ იმ დღესაც ერთი-ორჯერ ვიხსენი თანაგუნდელები. ამბობდნენ, თითქოს პატრიკ ბერგერის დარტყმაც უნდა ამელო, მაგრამ მინდა მოაგხსენოთ, რომ ეს იყო დიდებული დარტყმა, რომელსაც ვერაფერი მოვუხერხე.

**— პრემიერლიგაში გამარჯვება გარანტირებული გაქვთ?**

— „ოლდ ტრეფორდს“ გარეთ ხალხი ამბობს, რომ ჩვენი ჩემპიონობის ამბავი გადაწყვეტილია, მაგრამ თავად კარგად მოგვეხსენება, რომ გადაწყვეტილი სეზონის სულ ბოლო მატჩამდე არაფერი იქნება. „ლიდსმა“ ბოლო ტურში მოიგო და კუდში მოგვდევს, არ ნებდებიან „ჩელსი“ და „ლივერპული“. მოკლედ, ამიერიდან ყოველი თამაში გადამწყვეტი იქნება იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ არის მეტოქე, ლიდერი თუ აუტსაიდერი.

**— თქვენ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელებს, ალექს ფერგიუსონის გეშინიათ?**

— ჩვენ ვიცით, რომ ის ბოსია. ალექსს პატივს ვცემთ. ასე განსაჯეთ, ბევრი ფეხბურთელი სკოლის დღეებიდან მისი შეგირდია. გარდა ამისა, მან როგორც ინგლისური, ასევე საერთაშორისო ფეხბურთი, იმდენად კარგად იცის, რომ მოთამაშეებისთვის მისი რჩევები უმნიშვნელოვანესია.

**— და ამ დროს „მანჩესტერ იუნაიტედი“ უმრავლესობას ეზიზღება.**

— დაგენიძლავებით, ძალიან ბევრს უყვარს კიდეც. ჩვენი სტადიონი ყოველ კვირას სავსეა. ასევეა, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში ჩავდივართ. უამრავი ხალხი მოდის და გვეუბნება, რომ ჩვენი კლუბი უდიდესია. ამასთან, ინგლისის ნებისმიერ სტადიონზე გულთბილად გვიღებენ.

**— რამდენად ძნელი იყო პიტერ შმაიხელის წასვლის შემდეგ მის ჩრდილში თავის ამოყოფა?**

— ჩემთვის ეს პრობლემა სულაც არ გახლდათ. როდესაც ჰოლანდიაში, „ვიტესში“, ვთამაშობდი, პირველი მეკარე გახლდით, მაგრამ „იუნაიტედში“ გადასვლა და პიტერისგან რალაცის სწავლა გაცილებით დიდ პატივად მივილე. ვიცოდი, რომ სამი წლის განმავლობაში ძირითადში ხშირად ვერ მოვხვდებოდი და მიუხედავად ასაკისა — 37 წლის გახლავართ — ამ დროში ძალიან ბევრი ვისწავლე. ახლაც ვიცი, რომ პიტერ შმაიხელი ვერასდროს გავხდები, მაგრამ ფანები ხომ ხედავენ, რა მონდომებულიც ვარ.

**— და რამდენ ხანს აპირებთ თამაშს?**

— მეკარისთვის 40 წლამდე თამაში უცნაური არაფერია. „ოლდ ტრეფორდზე“ ხანდახან ახალგაზრდა გოლკიპერთა მწვრთნელებსაც ვეხმარებოდი და ისიც მიფიქრია, კარიერას რომ დავასრულებ, ამ საქმეს უნდა შევეჭიდო-მეთქი. იცით, ფეხბურთისგან ბევრი მიმილია და მინდა მეც გავცე.

**თარგმნა
პაპუნა ძედიამ**




დევიდ ბექემი და ალექს ფერგიუსონი

# დიდი შერიგება და არც ერთი სიტყვა კონტრაქტზე

**„მანჩესტერ** იუნაიტედში“ ურთიერთობებს არკვევენ. დევიდ ბექემმა და გუნდის მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა პრობლემების მოსაგვარებლად ნაბიჯი გადადგეს.

მოგეხსენებათ, ბექემის მომავალს ჩემპიონთა თასის მფლობელ კლუბში ჩრდილი მას მერე მიადგა, რაც მან ვარჯიში გააცდინა და ამის გამო მწვრთნელმა დაიფრინა, მაგრამ „იუნაიტედის“ პრეზიდენტმა, მარტინ ედუარსმა განაცხადა, რომ უსიამოვნება წარსულს ჩაბარდა და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა „ოლდ ტრეფორდზე“ დარჩენის უფლება მიიღო.

„დანარჩენი კი მწვრთნელზეა დამოკიდებული — განუცხადა ედუარდსმა SKY SPORT-ის ახალ ამბებს — ვიცი, რომ გასულ უქმეებზე იგი შეხვდა ბექემს და თუ დევიდი კარგ ფორმაში იქნება — არადა მწამს, რომ იქნება, მაშინ ჩვენს კლუბში კიდევ დიდხანს დარჩება“.

ედუარდსმა დასძინა, რომ იმ მწარე სიტყვებს, კონფლიქტის დროს ფერგიუსონმა და ბექემმა რომ გაცვალეს, მნიშვნელობა დაეკარგება: ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად იქნება. ფაქტია, მწარე სიტყვები ითქვა, მაგრამ არა მგონია ამ სიტყვებმა პრემიერლიგის ტიტულისა და ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლაში ხელი შეგვიშალოს“.

პრეზიდენტმა გააბათილა ხმები, თითქოს ბექემთან „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეფები ახალი კონტრაქტის თაობაზე აწარმოებენ მოლაპარაკებას:

„დევიდთან კონტრაქტზე არავინ ლაპარაკობს. დღეისათვის მისი არსებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე სამი წელიწადი და ექვსი თვეა დარჩენილი. ჩვენ, კლუბის ხელმძღვანელები, რამდენიმე მოთამაშესთან მართლაც ვაპირებთ ახალი კონტრაქტების შესახებ საუბარს, მაგრამ ამ სეზონის კი არა, შემდეგი სეზონის ბოლოს. ამ ფეხბურთელთა შორისაა დევიდ ბექემიც, თუმცა ერთი კაცის გულისთვის კი დათქმული ვადების გადასინჯვას არ ვაპირებთ. ერთისთვის ხომ გამონაკლისს ვერ დავუშვებთ და მაშინ ყველასთან ახლავე უნდა გველაპარაკა“.

ამასობაში ბექემმა ლოთარ მათეუსის გამოსათხოვარ შეხვედრაში მონაწილეობის მიწვევა მიიღო. დიდმა გერმანელმა ფეხბურთელმა საკუთარ ბენეფისზე „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ვარსკვლავის გარდა ბრაზილიელები, რივალდო და რონალდოც მიიწვია. მათ მხარდამხარ იქნება იტალიელი რობერტო ბაჯოც.

ლოთარ მათეუსის ბენეფისი 26 მაისს მიუნხენში შედგება. მსოფლიოს ვარსკვლავთა გუნდი გერმანიის ნაკრებს უნდა დაუპირისპირდეს.

# დავიწყებულნი

1966 წლის 30 ივლისს ინგლისის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გერმანიას მოუგო. ფეხბურთელები უმალ გმირებად იქცნენ და ჯილდოებმაც არ დააყოვნა. ბობი და ჯეკი ჩარლტონები, ჯეფ ჰერსტი, გორდონ ბენქსი, მარტინ პიტერსი, ბობი მური და მათი ლეგენდარული მწვრთნელი ალფ რამსეი ინგლისის დედოფალმა ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დააჯილდოვა.

და აი, გავიდა 34 წელი და ინგლისის ხელისუფლებმა ორდენოსანთა სიაში (რომელსაც ბეკინგემის სასახლეში ყოველწლიურად საშობაოდ აქვეყნებენ) იმ დასამახსოვრებელი სალამოს კიდევ ხუთი მონაწილის გვარები შეიტანა. დაჯილდოვების ცერემონიალი კი გუშინ შედგა. დედოფალმა ელისაბედმა ბრიტანეთის იმპერიის ორდენები ჯორჯ კოენს, რეი უილსონს, ნობი სტილზს, როჯერ ჰანტს და ალან ბოლს უბოძა.

როგორც ცნობილი გახდა, „გამორჩენილი“ ფეხბურთელები გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს გახსენებია, რასაც ინგლისელ ვეტერან ფეხბურთელთა ჯგუფის წერილი უძღოდა, სამართლიანი იქნება, მათაც თუ დააჯილდოვებთო. თუმცა ბეკინგემის სასახლეში გამართულ ცერემონიალზე ელისაბედ მეორემ განაცხადა, რომ 1966 წლის გმირები მედამ ახსოვდა და მათი ღვაწლი შეუფასებელია.

სამადლობელ სიტყვაში ნობი სტაილზმა თქვა: „დიდებული შეხვედრა ჩატარდა. მაშინ „უემბლიზე“ ჩემი ოჯახიც იყო. ჩემი შვილი შვიდი კვირისა გახლდათ, ახლა კი 34 წლისაა. მართლაც დიდი დრო გასულა, მაგრამ იმ თამაშის ყოველი დეტალი დღემდე მახსოვს.“



ალან ბოლი, როჯერ ჰანტი, ნობი სტაილზი, ჯორჯ კოენი და რეი უილსონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანეკდოტი გინდათ? როდმანი წესიერად მოიქცა

7 მარტი

**სიეტლი 101:86 დალასი**

სიეტლი: პეიტონი (19 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), ბერი (16), პატერსონი (32 ქულა, 8 მოხსნა, 5 პასი, 5 ჩაჭრა), ბეიკერი (6), გრანტი (6); დევისი (18), ფოსტერი (6), ლუისი (4)

დალასი: სტრიკლენდი (12 ქულა, 7 ჩაჭრა), ფინლი (31 ქულა, 5 ჩაჭრა), ნოვიცკი (22), როდმანი (2 ქულა, 15 მოხსნა), ბრედლი (7); სებალოსი (6), ნეში (4), დევისი (2), პეკი, ბაკნერი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციაში მოხვედრილი პირველი ქართველის, ვლადიმერ სტეფანიას ოკეანისგამოღმელი ქომაგები თანდათან მივეჩვიეთ მის იშვიათ გამოჩენას მოედანზე. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ახალი აღარაა ის, რომ ვოვა „სიეტლ სუპერსონიქსის“ სათადარიგოთა სკამზე მყარად დამკვიდრდა. 12-კაციან შემადგენლობაში მისი მუდმივად ყოფნაც დიდი ვერაფერი ნუგეშია. ვოვა ახლა ლამის ამ თორმეტი კაციდანაც ამოვარდა, ყოველ შემთხვევაში, „სიეტლის“ შედარებით ნაკლებად შესამჩნევ სათადარიგოებს ნამდვილად ელოდათ ეს საფრთხე, რადგან „ზებგერითთა“ „მეექვსე“ კაცი, გამოცდილი ვერნონ მაქსველი საბოლოოდ მომჯობინდა, მოიშუშა მუხლის ტრავმა, რომელმაც მას ორი თვე გამოატოვებინა. „სიეტლის“ მწვრთნელი პოლ ვესტფოლი არჩევნის წინაშე დადგა, თუ ვინ ამოეგდო შემადგენლობიდან. კანდიდატთა შორის ვოვა სტეფანიაც იყო, მაგრამ ვესტფოლმა არ გაწირა ქართველი ცენტრი და ისევ ბებერი ფრთა, ვესლი პერსონი გაიმეტა.

თვითონ მაქსველს ამ თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. მასპინძლებმა „დალასს“ რვა კაცით მოუგეს. საერთოდ, მატჩი საკმაოდ დაძაბული გამოდგა. სუსტი მეტოქე მძლავრ წინააღმდეგობას უწევდა „სუპერსონიქსს“. იყო ბევრი ვნებათაღელვაც, მაგრამ არა სტუმართა გადარეული თავდამსხმელის დენის როდმანის მხრიდან, როგორც ეს საერთოდ ხდება-ხოლმე. როდმანს საკმაოდ ღირსეულად ეჭირა თავი და თავისი ჯენტლმენური ქცევებით კიდეც განაცვიფრა 14 ათასი გულშემატკივარი, რომელთაგან ბევრი სწორედ მის სანახავად მივიდა თამაშზე. სამაგიეროდ, როდმანის თანაგუნდელები შფოთავდნენ და სამმა მათგანმა — ნოვიცკიმ, ბრედლიმ და სტრიკლენდმა მსაჯებს ტექნიკური ჯარიმებიც დასტყუეს. ტექნიკურის გარეშე არც მასპინძლები დარჩნენ და ამან ლამის დაღუპა ისინი, რადგან თვით გერი პეიტონმა მიიღო ორი ტექნიკური და „სიეტლი“ ულიდეროდ დარჩა. პეიტონმა საკმაოდ კარგად დაიწყო, პირველ ნახევარში ერთბაშად 17 ქულაც მოაგროვა და ბლომად მოხსნა-პასებიც მიითვალა. აი, მესამე მეოთხედი კი აშკარად ჩააფლავა გერიმ, სულ ორ ქულას დასჯერდა და ბევრჯერაც ხელი მოეცარა. ამ მეოთხედის ბოლო წუთებში პეიტონმა მსაჯთან კამათის გამო ორ ტექნიკურს გამოჰკრა ხელი და გინებ-გინებით სკამზე გადაინაცვლა. „სიეტლი“ ამ დროს მხოლოდ რვა ქულის სხვაობით იგებდა — 72:64. მასპინძლები სერიოზული საფრთხის წინაშე დადგნენ, რადგან იმ დღეს არც მეორე ლიდერს ვინ ბეიკერს წაუვიდა თამაში. მან 12 სროლიდან მხოლოდ ორის ჩაგდება მოახერხა და ექვსი ქულით დაასრულა თამაში. მასპინძლებს, საბედნიეროდ, ლამის ციდან მოევლინათ მშველელი. მოულოდნელად ლიდერობა ფრთა რუბენ პატერსონმა ითავა და მეტოქე გუნდს სულ მარტომ ადინა ბდღვირი. ბოლო მეოთხედი რუბენის ბენეფისად იქცა. ამ ძალისმიერ ფრთას თითქმის ბურთი არ აუცილებია. გუნდის ბოლო 16 ქულიდან 14 თავის ანგარიშზე ჩაიწერა და საბოლოოდ კარიერაში სარეკორდოდ ბევრ, 32 ქულას მოუყარა თავი.

**გოლდენ სტეიტი 99:102 შარლოტი**

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (21), მარშალი (19)

შარლოტი: კოულმენი (34 ქულა, 17 მოხსნა), ჯონსი (19)

**ინდიანა 90:89 დენვერი**

ინდიანა: როუზი (19 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა)

დენვერი: მაკდაიესი (23), ლაფრენცი (17 ქულა, 11 მოხსნა)

**იუტა 113:95 კლივლენდი**

იუტა: მელოუნიი (30), ჰორნაჩეკი (18)

კლივლენდი: მილერი (15)

**ჩიკაგო 89:82 ატლანტა**

ჩიკაგო: ბრენდი (31)

ატლანტა: ჰენდერსონი (15 ქულა, 11 მოხსნა), მუტომბო (12 ქულა, 21 მოხსნა, 5 დაფარება)

**მინესოტა 86:90 ვაშინგტონი**

მინესოტა: გარნეტი (26 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), შჩერბიაკი (26)

ვაშინგტონი: მიურეი (17)

**ჰიუსტონი 101:108 ფინიქსი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (32), ანდერსონი (20)

ფინიქსი: ჰარდევეი (24 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), გულიოტა (23), რობინსონი (19)

**ნიუ იორკი 111:86 ვანკუვერი**

ნიუ იორკი: სპრიუელი (22), ჰიუსტონი (22), იუინგი (21)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (18)




ჰიუსტონი — ფინიქსი. ჰიუსტონელი მუჩი ნორისი (№12) და შონ მარიონი

ყოველმხრივ კარგი გუნდია „ინდიანა პეისერზი“, მხოლოდ ერთი უდიდესი ნაკლი აქვს — ძალიან სუსტია მოხსნებში. სწორედ აქ აჯობა (60:43) „დენვერმა“ აღმოსავლეთის ლიდერს. ფარზე ცუდად თამაშს პირველ მეოთხედში ლარი ბერდის ბიჭების არაზუსტობაც დაერთო და „ინდიანამ“ „დენვერს“ პირველი თორმეტწუთეული 32:19 მოუგო. „პეისერზის“ 23-მატჩიანი შინ მოგებების სერიას, რომელიც საუკეთესოა კლუბის ისტორიაში, შეწყვეტის საფრთხე დაემუქრა. მართალია, შემდეგ გაისწორეს მასპინძლებმა მიზანი, მაგრამ 13-ქულიანი სხვაობის დაძლევა იოლი არ აღმოჩნდა. მთელი დარჩენილი დრო ამას მოხმარდა და „დენვერის“ ცენტრს რიფ ლაფრენცს ბოლო წამებზე მეტი ყურადღება რომ გამოეჩინა და ბურთი ხელიდან არ გავარდნოდა, მასპინძლები ამ ორ-ნახევარი თვის მანძილზე პირველად შერცხვებოდნენ საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ.

„ჩიკაგო ბულზს“ გამარჯვებები იოლად არ ეძლევა (ამ შემადგენლობით ან საერთოდ როგორ იგებს, გასაკვირი ეგაა), ამიტომაც თუ თავისი წონის მეტოქე დაიგულა თავს შეაკლავს და არ გაახარებს. წლეულს „ატლანტა“ არნახულად დასუსტდა, იმდენად რომ ახლა „ჩიკაგოსთანაც“ წააგო. „ხარები“ ერთობ მობილიზებულები დახვდნენ ჯორჯიელებს და იქაურ „ქორებს“ თავი არ დააკორტნინეს. პირდაპირ სასწაულია, ერთ დროს ზემძლავრი, ახლა კი აგრერიგ დაბეჩავებული გუნდი მაინც ამყარებს კლუბის ყველა დროის რეკორდს — „ატლანტასთან“ „ჩიკაგომ“ თავისი არსებობის მანძილზე ერთ თამაშში ყველაზე ცოტა, სულ სამი ბურთი დაკარგა. „ჩიკაგოს“ ერთადერთმა ხეირიანმა მოთამაშემ, ელტონ ბრენდმა 31 ქულაც გააკეთა და „ატლანტა“ დიდად ნაწყენი გაისტუმრა.

თუ „ჩიკაგოს“ მიერ „ატლანტას“ დამარცხება მაინც ასე თუ ისე მოსალოდნელი იყო, მინეაპოლისში „ვაშინგტონის“ გამარჯვებამ ბევრი გააოცა. დედაქალაქელები შინ ვერ უგებენ უხეირო გუნდებს და სტუმრად „მინესოტა“ შეიწირეს. მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ, გულები დაიარხეინეს და ამისთვის მწარედ დაისაჯნენ. ბოლო მეოთხედში დედაქალაქელთა სათადარიგო ტრეისი მიურეიმ ათი ქულა გაახერხა და გუნდს მეოთხედი ერთბაშად 12 ქულით მოაგებინა, რაც საკმარისი აღმოჩნდა „მგლების“ შესარცხვენად. „ვაშინგტონმა“ ზედიზედ მეორედ იმარჯვა სტუმრად. არადა, მანამდე „ჯადოქრებს“ ბოლო 15 გასვლა წაეგოთ.

უაღრესად დაძაბული გამოდგა „ჰიუსტონ“ — „ფინიქსის“ შეხვედრა. ჰიუსტონელთა ლიდერს, ახლაბედა სტივ ფრენსისს იმ დღეს მიზანი არ ღალატობდა. იგი წარმატებით ებრძოდა ფინიქსელთა გამთამაშებელ ჯეისონ კიდს (15 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი) და საბოლოოდ კარიერაში სარეკორდო — 32 ქულა დააგროვა. მისი თავგამოდების წყალობით „როკიტსი“ წარმატებით უმკლავდებოდა „ფინიქსს“, მაგრამ ჭაბუკ ფრენსისს ბოლომდე არ ეყო ძალა. თამაშის ბედი საბოლოოდ ფინიქსელთა სათადარიგომ, როდნი როჯერსმა (15 ქულა) გადაწყვიტა მას შემდეგ, რაც ბოლო ორ წუთში ერთბაშად ექვსი ქულა შეაშველა თავისიანებს.

**ირაკლი ფირაშვილი**




სიეტლი — დალასი. წაქცეულ სიეტლელ ბრენტ ბერის თავს წამოსდგომიან მეტოქე მაიკლ ფინლი და თავისიანი გერი პეიტონი

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| მაიამი | 37 | 23 | 61,6 |
| ნიუ იორკი | 36 | 23 | 61,0 |
| ფილადელფია | 33 | 25 | 56,8 |
| ორლანდო | 28 | 32 | 46,6 |
| ბოსტონი | 24 | 35 | 40,6 |
| ნიუ ჯერსი | 24 | 36 | 40,0 |
| ვაშინგტონი | 19 | 42 | 31,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 41 | 19 | 68,3 |
| ტორონტო | 34 | 25 | 57,6 |
| შარლოტი | 33 | 27 | 55,0 |
| მილუოკი | 29 | 31 | 48,3 |
| დეტროიტი | 28 | 30 | 48,2 |
| კლივლენდი | 25 | 35 | 41,7 |
| ატლანტა | 23 | 36 | 39,0 |
| ჩიკაგო | 13 | 46 | 22,0 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 39 | 20 | 66,1 |
| სან ანტონიო | 38 | 22 | 63,3 |
| მინესოტა | 35 | 25 | 58,3 |
| დენვერი | 26 | 33 | 44,1 |
| ჰიუსტონი | 24 | 36 | 40,0 |
| დალასი | 24 | 36 | 40,0 |
| ვანკუვერი | 18 | 42 | 30,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| ლეიკერსი | 50 | 11 | 81,9 |
| პორტლენდი | 46 | 13 | 77,9 |
| ფინიქსი | 39 | 21 | 65,0 |
| სიეტლი | 37 | 25 | 59,7 |
| საკრამენტო | 34 | 25 | 57,6 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 43 | 27,1 |
| კლიპერსი | 12 | 48 | 20,0 |

# ჯენტრის მოგება-წაგება და ბოლო ხელფასი დაუთვალეს

ძველთაგანვე ასეა — როცა გუნდი იგებს, სახელსა და დიდებას მოთამაშეები, უფრო კი გუნდის ლიდერი იხვეჭს, წაგება კი, როგორც წესი, უფრო მწვრთნელს ბრალდება და განტევების ვაცადაც იგი გამოდის. სწორედ გუნდის წარუმატებელ თამაშს შეეწირა „დეტროიტ პისტონზის“ თავკაცი ელვინ ჯენტრი.

„დეტროიტი“ ამ ბოლო დროს ხშირად მარცხდებოდა. გუნდმა მიმდინარე სეზონში 28 თამაში მოიგო და 30 წააგო, აღმოსავლეთში მერვე ადგილზე იმყოფება და კვლავ აგრძელებს პლეი ოფისთვის ბრძოლას, მაგრამ, როგორც ჩანს, გუნდის მამებს ეს არ აკმაყოფილებთ. „როცა ამ ორი წლის წინ ჯენტრიმ კოლინზი შეცვალა, მას ისე შევხვდით, როგორც გუნდის აღმავლობის წინა პირობას, მაგრამ წლები გადის და ჩვენ ერთ ადგილს ვტკეპნით. ახლა გუნდს წაგება მეტი აქვს, ვიდრე მოგება. ყოველთვის ვცდილობდით, რომ ცოტა მეტი დრო მიგვეცა მისთვის, მაგრამ ამ მოლოდინმა უკვე ყოველგვარი აზრი დაკარგა“ — თქვა კლუბის გენერალურმა მენეჯერმა რიკ სანდიმ.

წლების განმავლობაში „პისტონზის“ ერთგული ჯო დუმარსი, რომელიც ახლა კლუბის ვიცე-პრეზიდენტია, აშკარად სიმპათიურადაა განწყობილი ჯენტრის მიმართ, მაგრამ... „ელვინი კარგი ბიჭია, იგი თავისი საქმის მცოდნე და გამრჯე კაცია. დიახ, მან აღმოაჩინა რამდენიმე მოთამაშე და ხელი შეუწყო მათ ფრთები გაეშალათ, საერთოდაც ძალიან სასიამოვნოა მასთან მუშაობა, მაგრამ როცა გუნდი უამრავ ისეთ თამაშს აგებს, რომლებშიც ბოლო მეოთხედში წინ იყო, ბუნებრივია, ეს ნებისმიერს ჩააფიქრებს“.

„დეტროიტი“ იშვიათად იგებდა სტუმრად. 29 შეხვედრიდან 21 წააგო სხვის მოედანზე და როცა „პისტონზი“ ბოლოს თვით უსუსურ „ვაშინგტონთან“ 97:110 დამარცხდა, ამით მწვრთნელმა თვითონ მოჭრა ის ტოტი, რომელზეც იჯდა.

დადიოდა ხმები, თითქოს ჯენტრის უთანხმოება ჰქონდა გუნდის ლიდერ გრანტ ჰილთან და თითქოს ამიტომაც დაატოვებინეს სავარძელი, მაგრამ ეს ნაკლებად უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. თვითონ გრანტ ჰილმა გამოთქვა სინანული დამრიგებლის წასვლის გამო — ელვინს უბრალოდ არ გაუმართლაო.

რაც შეეხება „პისტონზის“ მთავარი მწვრთნელის სავარძელს, იგი ორი დღის წინ ჯენტრის ასისტენტმა, ჯორჯ ირვინმა დაიკავა. ირვინს საერთოდ ისეთი კაცის სახელი აქვს, რომელიც დიდხანს ვერ ჩერდება ერთ ადგილზე. იგი მთელი სიცოცხლე კალათბურთში საქმიანობს და მოთამაშიდან დაწყებული ადმინისტრატორით დამთავრებული ლამის ყველა ადგილი მოუსინჯავს ამ სფეროში. ამ ათი წლის წინ „ინდიანას“ წვრთნიდა ორი სეზონის განმავლობაში, შემდეგ ამ კლუბის ვიცე-პრეზიდენტი იყო რვა წლის მანძილზე. ყოფილა რამდენიმე გუნდში მწვრთნელის ასისტენტად, ჯენტრის დამხმარედ კი 1999 წელს დაინიშნა და ახლა ეს მხცოვანი კაცი მთავარი მწვრთნელის რთულ საქმიანობას მეორედ შეუდგა.

აღსანიშნავია, რომ ჯენტრი ამ სეზონში მეექვსე გათავისუფლებული თავკაცია. მანამდე დამრიგებლები გაუშვეს „ვაშინგტონმა“, „გოლდენ სტეიტმა“, „კლიპერსმა“, „ვანკუვერმა“ და „ფინიქსმა“. ამათგან მხოლოდ ამ უკანასკნელის მწვრთნელი, დენი ეინჯი გადადგა თანამდებობიდან თავისი ნებით, აქაოდა, სამუშაო ბევრ დროს მართმევს და ოჯახს მოვწყდიო.

**ივანე კობიაშვილი**

20 ტური
საქართველოს ჩემპიონატი

# საუკეთესო მოთამაშე

## ამროსი ორმოცაძე
·სტუ·



*საქართველოს შვიდგზის ჩემპიონ ამროსი ორმოცაძეს „ვითადან“ წამოსვლის შემდეგ სულაც არ გასჭირვებია თავის ახალ კლუბ სტუ-სთან შეგუება და სულ მალე გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა. ასე იყო ამჯერადაც, ბათუმის „ბასკოსთან“ შეხვედრაში დაცვაში საუკეთესო თამაშით ცნობილმა „ორმოცამ“ წინა ხაზზეც გამოიჩინა თავი და მისი აქტიურობის შედეგად სტუ-მ ანვარიშის გათანაბრება შეძლო. უპირატესობის მოსაპოვებლად კი გუნდს ძალა არ ეყო, რადგან სტუმრებისგან განსხვავებით სტუ-მ კოლექტიურ თამაშში მოისუსტა.*

**— ამროსი, თქვენი აზრით, რა იყო სტუ-ს დამარცხების მიზეზი?**

— დაცვაში სუსტი თამაში და ერთმანეთთან შეუთამაშებლობა. მე იმ კალათბურთელებს მივეკუთვნები, რომლებიც თავდასხმაზე მეტ ყურადღებას დაცვაზე ამახვილებენ. თუ გუნდი თავს ვერ იცავს, როგორაც არ უნდა უტევდეს, წარმატებაზე ფიქრი შეუძლებელია.

**— სტუ-ს პროგრამა-მინიმუმი ფინალში თამაშია. მაშინ როგორღა აპირებს დასახული მიზნის განხორციელებას?**

— სისტემატური და გეგმაზომიერი ვარჯიშით. სტუ-ს საკმაოდ გრძელი სკამი აქვს და მე მგონი, პლეი ოფამდე უნდა შევძლოთ ყველა ხარვეზის აღმოფხვრა.

**— დაცვის პრობლემების მოგვარება აქამდე რატომ ვერ მოხერხდა? გუნდს, რომელიც ფინალში გასვლას ისახავს მიზნად, ძირითად კონკურენტებზე („ბასკო“, „აზოტი“) რომ აღარაფერი ვთქვათ, ექვსეულში მოსახვედრად მებრძოლ კლუბებთან (თსუ, „მაკაბი“) თამაში მაინც არ უნდა უჭირდეს.**

— გუნდის ბირთვი ახალშექმნილია და მათ შესათამაშებლად დროა საჭირო. თსუ-სთან, ჩემი აზრით, შემთხვევით წავაგეთ, ხოლო „მაკაბისთან“ ცოტა კი გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ.

**— „ბასკოც“ ხომ ახალშექმნილია და ჯერჯერობით ერთი მატჩიც კი არ წაუგია.**

— „ბასკოსთანა“ პირობებს საქართველოში ვერავინ დაიკვეხნის. ამ გუნდს შეკრებების მოწყობა არ უჭირს.

**— სტუ-ში როგორი პირობებია?**

— რასაც დამპირდნენ, მაძლევენ, თუმც შეკრებების მოწყობა ამ ეტაპზე გუნდის შესაძლებლობებს აღემატება.

**— რადგან პირველად გახდით ტურის საუკეთესო მოთამაშე, თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ თქვენი ბიოგრაფიის შესახებ.**

— დავიბადე ვანში 1970 წლის 1 მაისს. კალათბურთში ვარჯიში იქვე, 1983 წელს დავიწყე ავთო აბრამიძის ხელმძღვანელობით. იმავე წელს გადმოვედი თბილისში და სწავლა გავაგრძელე 53-ე სკოლაში, იმავდროულად კი ჩავირიცხე თბილისის „მართვეში“, რომელსაც ბატონები, გია მიქაძე და თამაზ ოქრუაშვილი ავარჯიშებდნენ. 1986 წელს ამიყვანეს თბილისის „დინამოში“, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი სტუ-ს გუნდში. საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში ვიასპარეზე თელავის „ბურჯის“ სახელით, რომელსაც დიდებული პიროვნება ნოდარ იანქოშვილი ავარჯიშებდა. ნახევარფინალში დაძაბული ბრძოლის შემდეგ მომავალ ჩემპიონ „დინამოსთან“ წავაგეთ, ხოლო მესამე ადგილისთვის დავაში თბილისის „სინათლე“ დავამარცხეთ. ასეთი წარმატების მიუხედავად, „ბურჯი“ ფინანსური პრობლემების გამო მაინც დაიშალა. შემდეგ ჩავირიცხე თბილისის „ვითაში“, სადაც 7 წელი გავატარე და ამდენჯერვე გავხდი ქვეყნის ჩემპიონი. წლეულს კი პირველ სეზონს ვატარებ სტუ-ში.

**— შვიდი წლის შემდეგ „ვითასთან“ განშორება არ გაგიჭირდათ?**

— გამიჭირდა, მაგრამ გუნდს ფინანსური პრობლემები შეექმნა, მე კი ოჯახი მყავს სარჩენი.

**— თბილისის „დინამოში“ ყოფნისას, თუ გახსოვთ, პირველად ვის ეთამაშეთ?**

— 1986 წელს თბილისში ტარდებოდა იური გაგარინის სახელობის ტურნირი, სადაც თბილისის „დინამოს“ მოსკოვის „დინამო“, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის გუნდები ეჯიბრებოდნენ. ჩემთვის პირველი უცხოური გუნდი, რომლის წინააღმდეგაც ვითამაშე, მოსკოვის „დინამო“ იყო.

**— თქვენს საკალათბურთო კარიერას თუ გადახედავთ, ყველაზე მეტად რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ?**

— მეექვსე ეროვნული ჩემპიონატის ფინალის გარდა, სხვა გადამწყვეტი მატჩები ძალიან დაძაბული და საინტერესო იყო. განსაკუთრებით „მერანისა“ და „თბილისის“ წინააღმდეგ ჩატარებული შეხვედრები დამამახსოვრდა. ტრიბუნები გულშემატკივრებს ვერ იტევდა და ისინი კიბეებზე ისხდნენ.

**— თქვენი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე, წარმატების მიღწევის კარგი შანსი გქონდათ ხელბურთში, მძლეოსნობაში... მაინცდამაინც კალათბურთი რატომ აირჩიეთ?**

— კალათბურთი ბავშვობიდან მომწონდა, თან სიმაღლეც ხელს მიწყობდა და სიამოვნებით დავიწყე ვარჯიში ჩემთვის სასურველ და საყვარელ სახეობაში.

**— თქვენი ძირითადი სპეციალობა რა არის?**

— განათლებით იურისტი ვარ, მაგრამ ამ პროფესიით არასოდეს მიმუშავია.

**— სულ მალე 30 წელი შეგისრულდებათ. ეს სპორტსმენისთვის არცთუ ბევრია, მაგრამ არც ცოტაა. ჯერ ხომ არ გადაგიწყვეტიათ, რას აირჩევთ სპორტიდან წასვლის შემდეგ?**

— ჯერ მხოლოდ კალათბურთს ვთამაშობ, სხვაზე არც მიფიქრია.

**— ხომ არ ნანობთ, რომ ასეთი არჩევანი გააკეთეთ?**

— როგორც უკვე აღვნიშნე, იურისტად ჯერ არ მიმუშავია და არც ის ვიცი, მომავალში რა იქნება. რაც შეეხება კალათბურთს, ეს ჩემი უსაყვარლესი საქმეა და ჯერჯერობით მას თავს არ დავანებებ. კალათბურთის წყალობით ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის რამდენიმე ქვეყანა შემოვიარე და რაც ჩემთვის ყველაზე სასიამოვნოა, თითქმის ყველა თაობის უამრავი მეგობარი შევიძინე.

**— თქვენი აზრით, რატომ გასახელებთ ტურის საუკეთესო კალათბურთელად?**

— არ ვიცი. საკუთარ თავზე საუბარი მიჭირს. რადგან თქვენ ასე გადაწყვიტეთ, გამოდის, რომ სხვებზე უკეთ მითამაშია.

**როლანდ ლაგუჩიძე**

# ქართველები საშოვარზე
## ევროპაში ბევრ ადგილას თავს იწონებს ლიცენზია

თებერვალში ქართველ ოლიმპიელთა რიგები მოჭიდავეთა ხარჯზე რამდენიმე კაცით გაიზარდა. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა — კობა გულიაშვილმა (58) და მირიან გიორგაძემ (მძიმე) სალიცენზიო ტურნირები წარმატებით განვლეს და სიდნეის საგზურებიც, ფაქტობრივად, მოიპოვეს. ასეთსავე სიტუაციაშია თავისუფალი სტილით მოჭიდავე ალექსანდრე მოდებაძეც (მძიმე). მართალია, ორი ანალოგიური რანგის შეჯიბრი ჯერაც გასამართია, მაგრამ მათი შედეგები იმხელა ცვლილებებს ვერ გამოიწვევს, რეიტინგის სათავეში მოქცეული ჩვენებურები იმ რვა კაცს ჩამოაშოროს, ლიცენზიებს რომ მიიღებენ. მით უფრო, უკვე ძირითადად ცნობილია ის გუნდები, რომლებმაც გაინაღდეს საგზურები და დარჩენილ ტურნირებში მონაწილეთა რაოდენობა შემცირდება. ამ დროს კი მაღალი ქულები აღარ გაიცემა. ლიცენზიის მიღების რეალურ კანდიდატად ისევ რჩებიან „ბერძენ-რომაელთაგან“ აკაკი ჩაჩუა (63), ხოლო „თავისუფალთაგან“ ოთარ თუშიშვილი (58) და დავით პოღოსიანი (63).

რაც შეეხებათ უკვე ლიცენზირებულ მოჭიდავეებს, „ბერძენ-რომაელები“ ალექსანდრე ცერცვაძე (54), ტარიელ მელელაშვილი (76) და გენადი ჩხაიძე (97) ჯერ ფალავანთა კლუბში ემზადებოდნენ, მერე ბაკურიანში იყვნენ შეკრებაზე, რამდენიმე დღეში კი ბულგარეთში წავლენ საერთაშორისო ტურნირზე. ცოტა მოგვიანებით, შუა აპრილში ცერცვაძე და ჩხაიძე მოსკოვში ევროპის ჩემპიონატზეც იჭიდავებენ, რათა ოლიმპიადამდე არასაკმარისი პრაქტიკა როგორმე შეივსონ. მელელაშვილი და გულიაშვილი კი ინდივიდუალური გეგმით მოემზადებიან ოლიმპიადისთვის. ისინი მოსკოვში არ გამოვლენ.

კიევის უმაღლეს, „ა“ კატეგორიის ტურნირში იასპარეზეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ემზარ ბედინეიშვილმა (69) და ელდარ კურტანიძემ (97) და მესამე ადგილზე გავიდნენ. ისინიც თბილისში ემზადებიან ევროპის ჩემპიონატისთვის.

ევროპის ჩემპიონატზე, მიუნხენში ისროლა ნინო სალუქვაძემ. იანვრის ბოლოს მან ამ ქალაქში უკვე იასპარეზა, ოღონდ საერთაშორისო ტურნირში და მეოთხე ადგილი დაიკავა. თუმცა გრიპშეყრილმა და შეკრების ჩაშლით ნანერვიულებმა ჩვეული შედეგი ვერ აჩვენა. თებერვლის პირველი ნახევარი ნინომ თბილისში ივარჯიშა, 16-დან კი დორტმუნდში გაიარა ორკვირიანი შეკრება. მიუნხენშივე გაირკვევა კიდევ ერთი ოლიმპიელის ვინაობა. სწორედ აქ უნდა შეირჩეს ის მსროლელი, რომელიც სალუქვაძეს სიდნეიში პარტნიორობას გაუწევს. ნინოს ორი ლიცენზია ხომ დამატებითი მონაწილის გამოყვანის უფლებას გვაძლევს. არჩევანი ნინო უჩაძესა და დარეჯან დუმბაძეს შორის უნდა გაკეთდეს.


გიორგი ასანიძე

ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზა მშვილდოსანმა ხათუნა ფუტკარაძემაც. მან ვარშავის დარბაზში ზამთრის პირველობის მედლებისთვის მოზიდა მშვილდი, მაგრამ მეექვსე ადგილზე მეტს ვერ შეწვდა. ხათუნა ამ შეჯიბრებისთვის მშობლიურ ბათუმში ემზადებოდა და წლეულს ტურნირზე არსად გამოსულა. რაც შეეხება ხათუნა ქრივიშვილს, მასზე ბევრი არაფერი ვიცით. ის კვლავინდებურად ცხოვრობს აშშ-ში, ქალაქ ნიუ ჯერსიში, სავარჯიშო პირობებს არასოდეს უჩიოდა. როცა ფედერაციაში მისი ამბავი ვიკითხეთ, გვითხრეს, ფაქსით გვაცნობა, ოლიმპიადისთვის ინდივიდუალური გეგმით ვემზადები და აპრილამდე ტურნირებში ვერ გამოვალო. მანამდე ევროპაში ქრივიშვილის ჩამოსვლა მოსალოდნელი არ არის, ფედერაცია კი ვერც ლიცენზიის მოპოვების მერე აფინანსებს მას. თუმცა თბილისიდან ვერც ფუტკარაძე ფინანსდება და ის მთლიანად


ნანა ნებიერიძე

აჭარის სპორტის დეპარტამენტის ხარჯზე ემზადება. ვარშავაშიც მან გაუშვა, თორემ სატურნირო პრაქტიკას კიდევ რამდენიმე თვე ვერ ეღირსებოდა. ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ შარშანდელ რეიტინგში ქრივიშვილი მეთორმეტე ადგილზეა და რამდენიმე ქულით უსწრებს მომდევნო ადგილზე მყოფ თურქეთის სახელით მოასპარეზე ნატო ნასარიძეს.

გერმანიას მიაშურა მოსამზადებლად წყალში მხტომელმა ნანა ნებიერიძემაც. მან იქ ერთკვირიანი შეკრება გაიარა, მერე კი მოსკოვში დაბრუნდა და რუსეთის ღია პირველობაში გამოვიდა. მალე იქვე ახლოს, ქალაქ ელექტროსტალში დიდი პრიზის ერთ-ერთი ეტაპია, „გაზაფხულის მერცხლები“, სადაც ჩვენებურიც იასპარეზებს. ეს სწორედ ის ტურნირია, რომელშიც მან ზუსტად ერთი წლის წინ ლიცენზია მოიპოვა.

გერმანიაშივე წავიდა შეკრებაზე ბატუტისტი რუსუდან ხოფერიაც. აქამდე ისიც თბილისში ემზადებოდა, თუმცა გაყინულ დარბაზში სრულყოფილად რომ ვერ ივარჯიშებდა, ცხადია. ის კვლავაც ფრანკფურტის ტანვარჯიშის დარბაზში, ანა დოლონაძის კონტრაქტის სანაცვლოდ უფასოდ გაივლის შეკრებას. თებერვლის დასაწყისში თბილისის სპეციალიზებული სატანვარჯიშო სკოლა ქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ ინახულა და მასპინძლებს მის კეთილმოსაწყობად სარე-


ნინო სალუქვაძე

მონტო სამუშაოების დაფინანსებაც აღუთქვა. თუ სიტყვას საქმეც თან მოჰყვება, მაშინ ეგებ აქაურ სპორტსმენთა გასაჭირსაც ეშველოს. ახლა კი, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო და ხოფერიაც გერმანიაში წავიდა. მას ეს შეკრება იანვრის შუა რიცხვებში უნდა გაევლო, მაგრამ მაშინ ჯიბის ფულიც კი ვერ უშოვა დეპარტამენტმა, არათუ გზისა და ამიტომ ჩაეშალა. რუსუდანს თან გააყოლეს ორი ახალგაზრდა — სოფიკო გულიაშვილი და თენგიზ კოშკაძე. ესენი ჯერ პატარები არიან, მაგრამ მომავალი ოლიმპიადის კანდიდატებად ითვლებიან. ამიტომ ფედერაციამ აქედანვე დაიჭირა თადარიგი. მით უფრო, დოლონაძის კონტრაქტი ამოიწურება და მერე გერმანიაში ჩვენებურებს უფასოდ არავინ ავარჯიშებს. შეკრებაზე არიან ამ ფედერაციის სხვა ლიცენზიანტებიც — სპორტულად ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე მოსკოვშია, მხატვრულად ტანმოვარჯიშე ინგა თავლიშვილი კი ამ დღეებში დაბრუნდება იტალიიდან. გიორგაძეც მალე დაამთავრებს შეკრებას და მერე მოსკოვში მსოფლიოს ვარსკვლავების სახელით ცნობილ ტურნირში გამოვა.

პოლონეთში, ვანო გრიქუროვთან გაემგზავრნენ შეკრებაზე ძალოსნები გიორგი ასანიძე და მუხრან გოგია, რომლებიც იქ აპრილის ბოლომდე დარჩებიან. სიდნეიში წასვლის სხვა კანდიდატები თბილისში ვარჯიშობენ. მათგან ერთ-ერთ ყველაზე რეალურს — გიორგი კობალაძეს ერთი ხანობა წელი სტკიოდა. ფედერაციამ დასახმარებლად სპორტული მედიცინის ასოციაციას მიმართა. მან სპორტსმენის გასაჭირი გულთან კი მიიტანა, მაგრამ უფულოდ მკურნალობაზე ვერც ერთი სამედიცინო დაწესებულება ვერ დაითანხმა. მერე გიორგის მხარიც ასტკივდა, თუმცა როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა და იმავდროულად ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რამაზ გურგენიძემ გვითხრა, კობალაძე ახლა გამოჯანმრთელდა და სრული დატვირთვით ვარჯიშობს. თბილისში დარჩენილებს 7 მარტს ბაზალეთში ძალოსნობის ბაზაზე შეკრება უნდა დაეწყოთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ დააფინანსეს. არადა, მწვრთნელმა აპრილამდე უნდა დაასახელოს სიდნეიში წამსვლელი სამეული.

გერმანიაში, სალიცენზიო ტურნირზე იმყოფებიან მოკრივეებიც. მათ შორის არიან პაატა გვასალიაც და დავით ადამაშვილიც, რომლებიც კინაღამ აზერბაიჯანში გაგვექცნენ. წასვლამდე გუნდმა ასკ-ს დარბაზში გაიარა შეკრება, რომელზეც არ გამოუძახიათ ბათუმელი გოჩა აბაშიძე და გარდაბნელი მურად სულთანოვი. მათ წონებში ახლა ლიცენზიები არ თამაშდება და იმიტომო, თქვა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ გუნიამ. სამაგიეროდ, იყო ერთადერთი ლიცენზირებული ქართველი მოკრივე ვლადიმერ ჭანტურია, რომელმაც მანამდე ბულგარეთში გაიარა შეკრება.

მინსკში აგრძელებს შეკრებას ხუთჭიდელი დავით ჭულუხაძეც, რომელიც ასევე ლიცენზიას უმიზნებს. მან ჯერ ბელარუსის ღია პირველობა მოიგო, მაგრამ ამას არ დასჯერდა და ახლა ამ ქვეყნის თასიც ზედ მიაყოლა.

**ირაკლი თავაძე**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე (კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში) $11^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე მუშაობს**

### ინგლისი. პირველი დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 34 | 24 | 5 | 5 | 65:31 | 77 | 13 | 2 | 2 | 29:11 | 11 | 3 | 3 | 36:20 |
| იფსვიჩი | 35 | 18 | 11 | 6 | 55:33 | 65 | 12 | 3 | 3 | 32:15 | 6 | 8 | 3 | 23:18 |
| სიტი | 33 | 19 | 7 | 7 | 53:27 | 64 | 12 | 1 | 3 | 35:12 | 7 | 6 | 4 | 18:15 |
| ბირმინგემი | 35 | 17 | 9 | 9 | 54:37 | 60 | 12 | 4 | 2 | 31:14 | 5 | 5 | 7 | 23:23 |
| ბარნსლი | 34 | 17 | 8 | 9 | 66:51 | 59 | 11 | 3 | 3 | 38:18 | 6 | 5 | 6 | 28:33 |
| ჰადერსფილდი | 35 | 16 | 8 | 11 | 52:38 | 56 | 12 | 3 | 2 | 37:14 | 4 | 5 | 9 | 15:24 |
| ფულემი | 35 | 14 | 13 | 8 | 36:28 | 55 | 10 | 5 | 3 | 22:10 | 4 | 8 | 5 | 14:18 |
| ვულვზი | 35 | 14 | 10 | 11 | 47:39 | 52 | 10 | 4 | 3 | 32:16 | 4 | 6 | 8 | 15:23 |
| ბლექბერნი | 35 | 12 | 13 | 10 | 41:38 | 49 | 8 | 7 | 2 | 24:13 | 4 | 6 | 8 | 17:25 |
| ბოლტონი | 34 | 12 | 11 | 11 | 44:37 | 47 | 8 | 5 | 4 | 29:20 | 4 | 6 | 7 | 15:17 |
| გრიმსბი | 35 | 13 | 7 | 15 | 38:53 | 46 | 10 | 5 | 3 | 25:21 | 3 | 2 | 12 | 13:32 |
| ქუინზ პარკი | 34 | 10 | 15 | 9 | 42:39 | 45 | 6 | 10 | 1 | 22:15 | 4 | 5 | 8 | 20:24 |
| შეფილდ იუნ. | 35 | 11 | 11 | 13 | 50:51 | 44 | 9 | 5 | 4 | 33:19 | 2 | 6 | 9 | 17:32 |
| ნორვიჩი | 34 | 11 | 11 | 12 | 34:37 | 44 | 9 | 4 | 4 | 22:17 | 2 | 7 | 8 | 12:20 |
| სტოკპორტი | 34 | 11 | 11 | 12 | 38:48 | 44 | 7 | 6 | 3 | 25:21 | 4 | 5 | 9 | 13:27 |
| ტრანმერი | 33 | 11 | 7 | 15 | 42:50 | 40 | 8 | 5 | 3 | 27:18 | 3 | 2 | 12 | 15:32 |
| ნოტინგემი | 34 | 10 | 9 | 15 | 38:44 | 39 | 8 | 6 | 3 | 24:14 | 2 | 3 | 12 | 14:30 |
| კრ. პალასი | 35 | 9 | 12 | 14 | 45:54 | 39 | 6 | 9 | 3 | 27:18 | 3 | 3 | 11 | 18:36 |
| კრიუ | 35 | 10 | 8 | 17 | 38:46 | 38 | 7 | 5 | 6 | 20:19 | 3 | 3 | 11 | 15:26 |
| ვესტ ბრომი | 35 | 7 | 15 | 13 | 29:45 | 36 | 5 | 9 | 5 | 18:20 | 2 | 6 | 8 | 11:25 |
| უოლსოლი | 35 | 8 | 10 | 17 | 37:56 | 34 | 5 | 5 | 8 | 18:24 | 3 | 5 | 9 | 19:32 |
| პორტსმუთი | 34 | 8 | 9 | 17 | 36:50 | 33 | 5 | 5 | 6 | 22:17 | 3 | 4 | 11 | 14:33 |
| პორტველი | 33 | 6 | 11 | 16 | 35:47 | 29 | 5 | 4 | 7 | 17:18 | 1 | 7 | 9 | 18:29 |
| სუინდონი | 35 | 4 | 11 | 20 | 25:59 | 23 | 3 | 6 | 9 | 17:30 | 1 | 5 | 11 | 8:29 |

### ინგლისი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| როვერსი | 34 | 21 | 7 | 6 | 57:27 | 70 | 11 | 5 | 1 | 24:10 | 10 | 2 | 5 | 33:17 |
| პრესტონი | 33 | 19 | 9 | 5 | 59:31 | 66 | 10 | 3 | 4 | 28:20 | 9 | 6 | 1 | 31:11 |
| მილუოლი | 35 | 18 | 9 | 8 | 54:37 | 63 | 11 | 5 | 2 | 31:15 | 7 | 4 | 6 | 23:22 |
| უიგანი | 33 | 16 | 14 | 3 | 56:28 | 62 | 11 | 3 | 3 | 31:12 | 5 | 11 | 0 | 25:16 |
| ბარნლი | 33 | 16 | 10 | 7 | 43:30 | 58 | 12 | 2 | 3 | 29:14 | 4 | 8 | 4 | 14:16 |
| სტოკი | 34 | 16 | 9 | 9 | 49:34 | 57 | 8 | 6 | 3 | 26:16 | 8 | 3 | 6 | 23:18 |
| ნოტსი | 35 | 16 | 8 | 11 | 51:39 | 56 | 8 | 3 | 6 | 27:21 | 8 | 5 | 5 | 24:18 |
| ჯილინგემი | 31 | 16 | 7 | 8 | 53:35 | 55 | 10 | 2 | 4 | 30:16 | 6 | 5 | 4 | 23:19 |
| ბრენტფორდი | 35 | 13 | 10 | 12 | 43:45 | 49 | 8 | 5 | 5 | 24:21 | 5 | 5 | 7 | 19:24 |
| ბრისტოლი | 35 | 10 | 16 | 9 | 41:42 | 46 | 5 | 12 | 0 | 22:11 | 5 | 4 | 9 | 19:31 |
| ლუთონი | 35 | 13 | 7 | 15 | 47:50 | 46 | 9 | 4 | 4 | 33:25 | 4 | 3 | 11 | 14:25 |
| ბორნმუთი | 35 | 13 | 6 | 16 | 47:52 | 45 | 9 | 4 | 4 | 29:14 | 4 | 2 | 12 | 18:38 |
| უიკომბი | 34 | 11 | 11 | 12 | 43:41 | 44 | 8 | 3 | 5 | 25:19 | 3 | 8 | 7 | 18:22 |
| კოლჩესტერი | 35 | 12 | 8 | 15 | 45:62 | 44 | 8 | 3 | 6 | 26:30 | 5 | 5 | 8 | 19:32 |
| ოლდემი | 33 | 11 | 8 | 14 | 38:42 | 41 | 6 | 3 | 7 | 20:20 | 5 | 5 | 7 | 18:22 |
| ბერი | 32 | 9 | 13 | 10 | 45:44 | 40 | 6 | 7 | 4 | 29:27 | 3 | 6 | 6 | 16:17 |
| რექსჰემი | 34 | 10 | 10 | 14 | 36:49 | 40 | 5 | 5 | 6 | 16:20 | 5 | 5 | 8 | 21:29 |
| რედინგი | 34 | 9 | 12 | 13 | 42:53 | 39 | 6 | 8 | 3 | 20:14 | 3 | 4 | 10 | 24:39 |
| სკანთორპი | 34 | 8 | 11 | 15 | 33:51 | 35 | 4 | 5 | 8 | 13:23 | 4 | 6 | 7 | 20:28 |
| კემბრიჯი | 34 | 7 | 10 | 17 | 42:50 | 31 | 5 | 5 | 7 | 26:26 | 2 | 5 | 10 | 16:24 |
| ბლექპული | 35 | 7 | 10 | 18 | 37:60 | 31 | 3 | 6 | 8 | 19:29 | 4 | 4 | 10 | 18:31 |
| ოქსფორდი | 34 | 8 | 7 | 19 | 29:55 | 31 | 4 | 4 | 10 | 17:32 | 4 | 3 | 9 | 12:23 |
| კარდიფი | 34 | 5 | 14 | 15 | 32:47 | 29 | 3 | 10 | 5 | 18:24 | 2 | 4 | 10 | 14:23 |
| ჩესტერფილდი | 33 | 5 | 10 | 18 | 21:42 | 25 | 4 | 5 | 7 | 11:13 | 1 | 5 | 11 | 10:29 |

### ინგლისი. მესამე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| როტერჰემი | 35 | 21 | 7 | 7 | 59:24 | 70 | 12 | 2 | 4 | 37:12 | 9 | 5 | 3 | 22:12 |
| სუონსი | 34 | 20 | 7 | 7 | 37:21 | 67 | 12 | 3 | 2 | 22:8 | 8 | 4 | 5 | 15:13 |
| დარლინგტონი | 34 | 19 | 9 | 6 | 55:25 | 66 | 12 | 5 | 0 | 35:8 | 7 | 4 | 6 | 20:17 |
| პიტერბრო | 34 | 18 | 6 | 10 | 48:40 | 60 | 12 | 2 | 3 | 29:19 | 6 | 4 | 7 | 19:21 |
| ნორთჰემპტონი | 34 | 17 | 7 | 10 | 44:31 | 58 | 12 | 2 | 4 | 27:13 | 5 | 5 | 6 | 17:18 |
| ბარნეტი | 35 | 16 | 8 | 11 | 45:42 | 56 | 10 | 3 | 4 | 30:19 | 6 | 5 | 7 | 15:23 |
| ჰარტლპული | 35 | 17 | 6 | 12 | 46:38 | 54 | 12 | 1 | 5 | 24:14 | 4 | 5 | 8 | 21:25 |
| პლიმუთი | 34 | 12 | 14 | 8 | 41:36 | 50 | 9 | 8 | 0 | 32:14 | 3 | 6 | 8 | 9:22 |
| მაკლსფილდი | 35 | 14 | 8 | 13 | 49:45 | 50 | 7 | 5 | 6 | 25:23 | 7 | 3 | 7 | 24:22 |
| როჩდეილი | 33 | 14 | 8 | 11 | 36:32 | 50 | 6 | 5 | 5 | 12:12 | 8 | 3 | 6 | 24:20 |
| ტორკი | 33 | 13 | 10 | 10 | 44:35 | 49 | 8 | 5 | 3 | 23:10 | 5 | 5 | 7 | 21:25 |
| ლინკოლნი | 34 | 13 | 10 | 11 | 58:50 | 49 | 10 | 4 | 4 | 34:17 | 3 | 6 | 7 | 24:33 |
| ჩელტენემი | 33 | 14 | 7 | 12 | 35:31 | 49 | 9 | 3 | 5 | 20:15 | 5 | 4 | 7 | 15:16 |
| მენსფილდი | 35 | 14 | 6 | 15 | 44:47 | 48 | 8 | 4 | 5 | 30:21 | 6 | 2 | 10 | 14:26 |
| ჰალიფაქსი | 35 | 13 | 8 | 14 | 35:40 | 47 | 6 | 5 | 7 | 19:18 | 7 | 3 | 7 | 16:22 |
| ბრაიტონი | 34 | 11 | 11 | 13 | 49:40 | 44 | 7 | 4 | 6 | 29:21 | 4 | 7 | 7 | 20:19 |
| საუთენდი | 35 | 12 | 8 | 15 | 45:51 | 44 | 8 | 4 | 6 | 30:27 | 4 | 4 | 9 | 15:24 |
| ჰალი | 35 | 10 | 12 | 13 | 31:33 | 42 | 6 | 6 | 5 | 21:14 | 4 | 6 | 8 | 10:19 |
| ლეიტონი | 35 | 10 | 8 | 17 | 33:43 | 38 | 5 | 5 | 7 | 16:18 | 5 | 3 | 10 | 19:25 |
| ექსეტერი | 35 | 9 | 8 | 18 | 36:57 | 35 | 6 | 4 | 7 | 20:25 | 3 | 4 | 11 | 16:32 |
| იორკი | 35 | 7 | 11 | 17 | 30:49 | 32 | 4 | 7 | 6 | 14:19 | 3 | 4 | 11 | 16:30 |
| შრიუსბერი | 34 | 7 | 9 | 18 | 25:46 | 30 | 4 | 6 | 8 | 14:17 | 3 | 3 | 10 | 11:29 |
| ჩესტერი | 35 | 6 | 6 | 23 | 31:70 | 24 | 3 | 3 | 11 | 12:33 | 3 | 3 | 12 | 19:37 |
| კარლაისლი | 32 | 5 | 8 | 19 | 29:59 | 23 | 4 | 5 | 6 | 16:18 | 1 | 3 | 13 | 13:41 |

### საბერძნეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 22 | 20 | 0 | 2 | 62:14 | 60 | 11 | 0 | 0 | 39:6 | 9 | 0 | 2 | 23:8 |
| პანათინაიკოსი | 22 | 18 | 3 | 1 | 56:14 | 57 | 10 | 1 | 0 | 33:3 | 8 | 2 | 1 | 23:11 |
| ოფი | 22 | 13 | 6 | 3 | 37:25 | 45 | 8 | 2 | 2 | 24:17 | 5 | 4 | 1 | 13:8 |
| არისი | 22 | 11 | 5 | 6 | 33:24 | 38 | 7 | 3 | 1 | 22:8 | 4 | 2 | 5 | 11:16 |
| აეკ | 22 | 11 | 4 | 7 | 38:27 | 37 | 7 | 0 | 4 | 18:10 | 4 | 4 | 3 | 20:17 |
| ირაკლისი | 22 | 11 | 3 | 8 | 39:35 | 36 | 9 | 0 | 2 | 26:12 | 2 | 3 | 6 | 13:23 |
| პაოკ | 22 | 8 | 8 | 6 | 36:28 | 32 | 7 | 2 | 2 | 27:11 | 1 | 6 | 4 | 9:17 |
| ქსანტი | 22 | 8 | 8 | 6 | 24:24 | 32 | 7 | 4 | 1 | 17:8 | 1 | 4 | 5 | 7:16 |
| პანიონიოსი | 22 | 10 | 1 | 11 | 33:42 | 31 | 5 | 1 | 4 | 16:14 | 5 | 0 | 7 | 17:28 |
| პანილიაკოსი | 22 | 8 | 4 | 10 | 28:26 | 28 | 6 | 1 | 4 | 19:12 | 2 | 3 | 6 | 9:14 |
| იონიკოსი | 22 | 6 | 10 | 6 | 24:25 | 28 | 4 | 5 | 2 | 13:8 | 2 | 5 | 4 | 11:17 |
| ეთნიკოსი | 22 | 7 | 3 | 12 | 19:33 | 24 | 6 | 1 | 4 | 15:11 | 1 | 2 | 8 | 4:22 |
| პანაჰაიკი | 22 | 4 | 7 | 11 | 21:32 | 19 | 4 | 2 | 6 | 16:14 | 0 | 5 | 5 | 5:18 |
| კავალა | 22 | 5 | 4 | 13 | 21:41 | 19 | 4 | 3 | 3 | 15:17 | 1 | 1 | 10 | 6:24 |
| კალამატა | 22 | 4 | 7 | 11 | 21:41 | 19 | 2 | 7 | 2 | 10:10 | 2 | 0 | 9 | 11:31 |
| ტრიკალა | 22 | 4 | 4 | 14 | 19:42 | 16 | 2 | 4 | 5 | 11:16 | 2 | 0 | 9 | 8:26 |
| პროუდეფტიკი | 22 | 3 | 6 | 13 | 14:33 | 15 | 2 | 5 | 4 | 7:13 | 1 | 1 | 9 | 7:20 |
| აპოლონი | 22 | 3 | 5 | 14 | 15:34 | 14 | 2 | 3 | 5 | 7:15 | 1 | 2 | 9 | 8:19 |

### იტალია. სერია B

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 25 | 13 | 6 | 6 | 46:27 | 45 | 9 | 2 | 1 | 29:10 | 4 | 4 | 5 | 17:17 |
| სამპდორია | 25 | 12 | 9 | 4 | 26:16 | 45 | 6 | 6 | 0 | 15:7 | 6 | 3 | 4 | 11:9 |
| ბრეშა | 25 | 11 | 9 | 5 | 32:20 | 42 | 6 | 4 | 3 | 19:8 | 5 | 5 | 2 | 12:11 |
| ატალანტა | 25 | 12 | 5 | 8 | 32:23 | 41 | 9 | 1 | 2 | 21:9 | 3 | 4 | 6 | 11:14 |
| ნაპოლი | 25 | 10 | 9 | 6 | 33:28 | 39 | 7 | 5 | 0 | 20:9 | 3 | 4 | 6 | 13:19 |
| ტრევიზო | 25 | 10 | 5 | 10 | 33:30 | 35 | 10 | 1 | 1 | 27:10 | 0 | 4 | 9 | 6:20 |
| სალერნიტანა | 25 | 9 | 8 | 8 | 34:33 | 35 | 8 | 4 | 0 | 23:7 | 1 | 4 | 8 | 11:26 |
| კიევო | 25 | 9 | 7 | 9 | 29:30 | 34 | 6 | 6 | 1 | 17:10 | 3 | 1 | 8 | 12:20 |
| ჩეზენა | 25 | 7 | 12 | 6 | 33:29 | 33 | 6 | 7 | 0 | 21:9 | 1 | 5 | 6 | 12:20 |
| რავენა | 25 | 8 | 9 | 8 | 25:24 | 33 | 6 | 4 | 2 | 13:5 | 2 | 5 | 6 | 12:19 |
| კოზენცა | 25 | 7 | 12 | 6 | 21:21 | 33 | 6 | 4 | 3 | 13:9 | 1 | 8 | 3 | 8:12 |
| ალძანო | 25 | 8 | 8 | 9 | 22:29 | 32 | 7 | 2 | 4 | 16:16 | 1 | 6 | 5 | 6:13 |
| პესკარა | 25 | 6 | 13 | 6 | 34:28 | 31 | 4 | 4 | 4 | 20:15 | 2 | 9 | 2 | 14:13 |
| ემპოლი | 25 | 8 | 7 | 10 | 21:32 | 31 | 8 | 3 | 1 | 14:8 | 0 | 4 | 9 | 7:24 |
| ჯენოა | 25 | 8 | 6 | 11 | 30:29 | 30 | 7 | 4 | 2 | 23:11 | 1 | 2 | 9 | 7:18 |
| ტერნანა | 25 | 6 | 11 | 8 | 25:32 | 29 | 3 | 7 | 2 | 14:14 | 3 | 4 | 6 | 11:18 |
| მონცა | 25 | 4 | 15 | 6 | 24:28 | 27 | 3 | 10 | 0 | 11:8 | 1 | 5 | 6 | 13:20 |
| პისტოიეზე | 25 | 7 | 7 | 11 | 18:26 | 24 | 7 | 3 | 3 | 14:9 | 0 | 4 | 8 | 4:17 |
| ფერმანა | 25 | 4 | 8 | 13 | 23:39 | 20 | 4 | 4 | 5 | 13:16 | 0 | 4 | 8 | 9:22 |
| სავოია | 25 | 4 | 8 | 13 | 20:37 | 20 | 4 | 6 | 3 | 14:12 | 0 | 2 | 10 | 6:25 |

### იტალია. სერია C1/a

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 25 | 13 | 9 | 3 | 31:14 | 48 | 9 | 2 | 2 | 20:7 | 4 | 7 | 1 | 11:7 |
| ვარეზე | 25 | 9 | 12 | 4 | 29:20 | 39 | 6 | 5 | 2 | 17:10 | 3 | 7 | 2 | 12:10 |
| პიზა | 25 | 10 | 9 | 6 | 26:19 | 39 | 5 | 4 | 3 | 15:12 | 5 | 5 | 3 | 11:7 |
| ლუკეზე | 25 | 10 | 9 | 6 | 31:26 | 39 | 8 | 3 | 2 | 18:10 | 2 | 6 | 4 | 13:116 |
| ალბინოლეფე | 25 | 9 | 10 | 6 | 25:23 | 37 | 6 | 4 | 2 | 16:10 | 3 | 6 | 4 | 9:13 |
| სპალ | 25 | 9 | 8 | 8 | 26:24 | 35 | 5 | 4 | 3 | 11:7 | 4 | 4 | 5 | 15:17 |
| კარარეზე | 25 | 8 | 10 | 7 | 25:23 | 34 | 4 | 7 | 1 | 15:10 | 4 | 3 | 6 | 10:13 |
| ჩიტადელა | 25 | 7 | 12 | 6 | 21:21 | 32 | 5 | 5 | 3 | 12:9 | 2 | 7 | 3 | 9:12 |
| ლივორნო | 25 | 6 | 13 | 6 | 26:25 | 31 | 4 | 6 | 3 | 16:13 | 2 | 7 | 3 | 10:12 |
| ბრეშელო | 25 | 7 | 10 | 8 | 23:26 | 31 | 4 | 6 | 3 | 13:12 | 3 | 4 | 5 | 10:14 |
| მოდენა | 25 | 7 | 10 | 8 | 20:25 | 31 | 3 | 7 | 3 | 9:11 | 4 | 3 | 5 | 11:14 |
| რეჯანა | 25 | 7 | 8 | 10 | 24:26 | 29 | 5 | 3 | 4 | 14:13 | 2 | 5 | 6 | 10:13 |
| ლუმეცანე | 25 | 5 | 12 | 8 | 20:23 | 27 | 3 | 5 | 5 | 11:12 | 2 | 7 | 3 | 9:11 |
| კომო | 25 | 4 | 15 | 6 | 15:19 | 27 | 1 | 10 | 2 | 5:9 | 3 | 5 | 4 | 10:10 |
| კრემონეზე | 25 | 3 | 15 | 7 | 20:25 | 24 | 1 | 9 | 2 | 11:12 | 2 | 6 | 5 | 9:13 |
| სანდონა | 25 | 3 | 15 | 7 | 18:24 | 24 | 2 | 7 | 3 | 10:11 | 1 | 8 | 4 | 8:13 |
| ლეკო | 25 | 4 | 12 | 9 | 18:28 | 24 | 1 | 8 | 3 | 5:8 | 3 | 4 | 6 | 13:20 |
| მონტევარკი | 25 | 4 | 11 | 10 | 18:25 | 23 | 3 | 5 | 4 | 10:12 | 1 | 6 | 6 | 8:13 |

### იტალია. სერია C1/b

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კროტონე | 25 | 16 | 8 | 1 | 49:16 | 56 | 10 | 2 | 0 | 30:6 | 7 | 5 | 1 | 19:9 |
| ანკონა | 24 | 14 | 6 | 4 | 36:15 | 48 | 8 | 4 | 0 | 24:8 | 6 | 2 | 4 | 12:7 |
| ასკოლი | 25 | 10 | 12 | 3 | 38:19 | 42 | 4 | 6 | 2 | 20:9 | 6 | 6 | 1 | 18:10 |
| არეცო | 25 | 11 | 8 | 6 | 39:30 | 41 | 7 | 4 | 1 | 25:14 | 5 | 3 | 5 | 14:15 |
| ვიტერბეზე | 24 | 11 | 8 | 5 | 36:28 | 41 | 6 | 6 | 1 | 22:12 | 5 | 2 | 4 | 14:16 |
| პალერმო | 25 | 10 | 9 | 6 | 22:19 | 39 | 6 | 5 | 2 | 14:7 | 4 | 4 | 4 | 8:12 |
| კატანია | 25 | 9 | 11 | 5 | 28:18 | 38 | 6 | 5 | 1 | 16:6 | 3 | 5 | 5 | 11:12 |
| სტაბია | 25 | 8 | 11 | 6 | 31:24 | 35 | 7 | 3 | 3 | 21:11 | 1 | 8 | 3 | 10:13 |
| ნოჩერინა | 25 | 7 | 12 | 6 | 22:18 | 33 | 6 | 6 | 1 | 15:6 | 1 | 6 | 5 | 7:12 |
| აველინო | 25 | 8 | 5 | 12 | 24:29 | 29 | 7 | 1 | 4 | 17:10 | 1 | 3 | 9 | 6:19 |
| ჯულიანოვა | 25 | 7 | 7 | 11 | 26:35 | 28 | 5 | 3 | 4 | 13:11 | 2 | 4 | 7 | 13:24 |
| ბენევენტო | 25 | 5 | 11 | 9 | 17:27 | 26 | 5 | 4 | 3 | 12:9 | 0 | 7 | 6 | 5:18 |
| დი სანგრო | 25 | 6 | 8 | 11 | 21:32 | 26 | 4 | 3 | 6 | 12:16 | 2 | 5 | 5 | 9:16 |
| გუალდო | 25 | 5 | 10 | 10 | 22:32 | 25 | 4 | 7 | 2 | 13:11 | 1 | 3 | 8 | 9:21 |
| ლოდიჯანი | 25 | 5 | 10 | 10 | 23:37 | 25 | 4 | 4 | 4 | 12:15 | 1 | 6 | 6 | 11:22 |
| ფ. ანდრია | 25 | 3 | 11 | 11 | 17:29 | 20 | 2 | 8 | 3 | 8:10 | 1 | 3 | 8 | 9:19 |
| ატლეტიკო | 25 | 4 | 8 | 13 | 18:33 | 20 | 3 | 4 | 6 | 11:17 | 1 | 4 | 7 | 7:16 |
| მარსალა | 25 | 5 | 5 | 15 | 19:47 | 20 | 2 | 3 | 7 | 8:15 | 3 | 2 | 8 | 11:32 |

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 21 | 14 | 5 | 2 | 46:16 | 47 | 9 | 2 | 0 | 34:7 | 5 | 3 | 2 | 12:9 |
| ბოხუმი | 21 | 11 | 3 | 7 | 35:30 | 36 | 7 | 0 | 4 | 25:18 | 4 | 3 | 3 | 10:12 |
| კოტბუსი | 21 | 11 | 1 | 9 | 41:27 | 34 | 8 | 0 | 2 | 26:10 | 3 | 1 | 7 | 15:17 |
| ნიურნბერგი | 21 | 9 | 5 | 7 | 32:35 | 32 | 8 | 2 | 0 | 22:10 | 1 | 3 | 7 | 10:25 |
| გლადბახი | 21 | 8 | 7 | 6 | 32:25 | 31 | 6 | 2 | 3 | 21:10 | 2 | 5 | 3 | 11:15 |
| ბერლინი | 21 | 7 | 10 | 4 | 28:23 | 31 | 5 | 4 | 2 | 15:11 | 2 | 6 | 2 | 13:12 |
| ალემანია | 21 | 8 | 7 | 6 | 31:35 | 31 | 4 | 4 | 2 | 17:11 | 4 | 3 | 4 | 14:24 |
| ვალდჰოფი | 21 | 7 | 8 | 6 | 30:29 | 29 | 6 | 3 | 1 | 20:12 | 1 | 5 | 5 | 10:17 |
| ქემნიცი | 21 | 7 | 7 | 7 | 29:26 | 28 | 5 | 4 | 1 | 21:11 | 2 | 3 | 6 | 8:15 |
| მაინცი | 21 | 6 | 9 | 6 | 23:25 | 27 | 4 | 5 | 1 | 9:5 | 2 | 4 | 5 | 14:20 |
| ობერჰაუზენი | 21 | 6 | 9 | 6 | 20:22 | 27 | 4 | 5 | 2 | 14:13 | 2 | 4 | 4 | 6:9 |
| ფიურტი | 21 | 5 | 10 | 6 | 16:22 | 25 | 2 | 8 | 1 | 5:3 | 3 | 2 | 5 | 11:19 |
| ჰანოვერი | 21 | 6 | 6 | 9 | 30:31 | 24 | 3 | 4 | 3 | 17:15 | 3 | 2 | 6 | 13:16 |
| ზტ. პაული | 21 | 5 | 9 | 7 | 22:27 | 24 | 3 | 6 | 2 | 11:10 | 2 | 3 | 5 | 11:17 |
| კიკერსი | 21 | 5 | 6 | 10 | 31:40 | 21 | 5 | 3 | 3 | 19:16 | 0 | 3 | 7 | 12:24 |
| ოფენბახი | 21 | 4 | 9 | 8 | 21:32 | 21 | 4 | 3 | 4 | 15:16 | 0 | 6 | 4 | 6:16 |
| ფორტუნა | 21 | 4 | 8 | 9 | 19:31 | 20 | 4 | 4 | 2 | 12:11 | 0 | 4 | 7 | 7:20 |
| კარლსრუე | 21 | 2 | 9 | 10 | 24:34 | 15 | 1 | 5 | 4 | 8:10 | 1 | 4 | 6 | 16:24 |

### ჩეხეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 19 | 15 | 4 | 0 | 33:8 | 49 | 8 | 1 | 0 | 20:3 | 7 | 3 | 0 | 13:5 |
| სპარტა | 19 | 13 | 4 | 2 | 48:17 | 43 | 8 | 2 | 0 | 32:6 | 5 | 2 | 2 | 16:11 |
| დრნოვიცე | 19 | 10 | 3 | 6 | 27:19 | 33 | 6 | 1 | 2 | 13:3 | 4 | 2 | 4 | 14:16 |
| ბოჰემიანსი | 19 | 7 | 7 | 5 | 18:17 | 28 | 5 | 2 | 3 | 10:6 | 2 | 5 | 2 | 8:11 |
| ბუდეიოვიცე | 19 | 8 | 3 | 8 | 25:25 | 27 | 7 | 1 | 2 | 17:5 | 1 | 2 | 6 | 8:20 |
| ბლშანი | 19 | 7 | 4 | 8 | 20:31 | 25 | 6 | 1 | 3 | 12:11 | 1 | 3 | 5 | 8:20 |
| ბან[illegible] | 19 | 6 | 6 | 7 | 27:27 | 24 | 4 | 4 | 2 | 19:14 | 2 | 2 | 5 | 8:13 |
| ტეპლიცე | 19 | 6 | 6 | 7 | 25:29 | 24 | 5 | 3 | 1 | 15:9 | 1 | 3 | 6 | 10:20 |
| დუკლა | 19 | 6 | 6 | 7 | 20:24 | 24 | 5 | 3 | 1 | 15:8 | 1 | 3 | 6 | 5:16 |
| ბრნო | 19 | 6 | 4 | 9 | 21:23 | 22 | 5 | 3 | 2 | 16:9 | 1 | 1 | 7 | 5:14 |
| სიგმა | 19 | 4 | 10 | 5 | 23:26 | 22 | 2 | 5 | 2 | 13:11 | 2 | 5 | 3 | 10:15 |
| ლიბერეცი | 19 | 5 | 7 | 7 | 12:15 | 22 | 3 | 4 | 3 | 5:5 | 2 | 3 | 4 | 7:10 |
| ოპავა | 19 | 5 | 5 | 9 | 24:26 | 20 | 5 | 3 | 1 | 18:9 | 0 | 2 | 8 | 6:17 |
| ვიქტორია | 19 | 4 | 6 | 9 | 25:35 | 18 | 4 | 4 | 1 | 18:14 | 0 | 2 | 8 | 7:21 |
| ჰ. კრალოვე | 19 | 3 | 7 | 9 | 17:27 | 16 | 2 | 4 | 4 | 9:12 | 1 | 3 | 5 | 8:15 |
| იაბლონეცი | 19 | 4 | 4 | 11 | 15:31 | 16 | 4 | 2 | 3 | 13:10 | 0 | 2 | 8 | 2:21 |

### ესპანეთი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სალამანკა | 29 | 14 | 8 | 7 | 42:30 | 50 | 8 | 3 | 3 | 23:11 | 6 | 5 | 4 | 19:19 |
| ესტრემადურა | 29 | 13 | 8 | 8 | 34:29 | 47 | 11 | 4 | 0 | 26:6 | 2 | 4 | 8 | 8:23 |
| ლევანტე | 29 | 12 | 10 | 7 | 42:37 | 46 | 9 | 5 | 1 | 27:11 | 3 | 5 | 6 | 15:26 |
| ლას პალმასი | 29 | 12 | 9 | 8 | 39:30 | 45 | 6 | 5 | 3 | 20:12 | 6 | 4 | 5 | 19:18 |
| სპორტინგი | 29 | 13 | 5 | 11 | 38:34 | 44 | 8 | 2 | 5 | 22:15 | 5 | 3 | 6 | 16:19 |
| ლეიდა | 29 | 12 | 7 | 10 | 48:38 | 43 | 7 | 4 | 3 | 26:13 | 5 | 3 | 7 | 22:25 |
| ვილიარეალი | 29 | 12 | 7 | 10 | 41:34 | 43 | 8 | 3 | 4 | 22:16 | 4 | 4 | 6 | 19:18 |
| ტენერიფე | 29 | 12 | 7 | 10 | 40:35 | 43 | 8 | 5 | 2 | 28:14 | 4 | 2 | 8 | 12:21 |
| ოსასუნა | 29 | 13 | 4 | 12 | 29:27 | 43 | 7 | 2 | 5 | 16:10 | 6 | 2 | 7 | 13:17 |
| კორდობა | 29 | 11 | 9 | 9 | 35:30 | 42 | 8 | 1 | 5 | 21:17 | 3 | 8 | 4 | 14:13 |
| ბადახოსი | 29 | 8 | 17 | 4 | 26:21 | 41 | 4 | 8 | 3 | 15:14 | 4 | 9 | 1 | 11:7 |
| ეიბარი | 29 | 10 | 9 | 10 | 36:39 | 39 | 7 | 4 | 4 | 21:16 | 3 | 5 | 6 | 15:23 |
| მერიდა | 29 | 9 | 10 | 10 | 27:30 | 37 | 5 | 5 | 4 | 16:12 | 4 | 5 | 6 | 11:18 |
| ალბასეტე | 29 | 9 | 10 | 10 | 34:40 | 37 | 4 | 6 | 4 | 16:16 | 5 | 4 | 6 | 18:24 |
| ლეგანესი | 29 | 10 | 9 | 10 | 33:36 | 36 | 6 | 5 | 3 | 16:8 | 4 | 4 | 7 | 17:28 |
| კომპოსტელა | 29 | 8 | 11 | 10 | 35:37 | 35 | 5 | 5 | 4 | 19:14 | 3 | 6 | 6 | 16:23 |
| ელჩე | 29 | 7 | 13 | 9 | 32:38 | 34 | 4 | 8 | 3 | 18:19 | 3 | 5 | 6 | 14:19 |
| ატლეტიკო B | 29 | 9 | 7 | 13 | 32:40 | 34 | 4 | 3 | 7 | 19:21 | 5 | 4 | 6 | 13:19 |
| ხეტაფე | 29 | 9 | 6 | 14 | 25:34 | 33 | 6 | 3 | 6 | 17:17 | 3 | 3 | 8 | 8:17 |
| ლოგრონიესი | 29 | 8 | 8 | 13 | 39:42 | 32 | 5 | 5 | 4 | 22:20 | 3 | 3 | 9 | 17:22 |
| უელვა | 29 | 8 | 7 | 14 | 29:38 | 31 | 4 | 5 | 6 | 18:18 | 4 | 2 | 8 | 11:20 |
| ტოლედო | 29 | 6 | 7 | 16 | 22:39 | 25 | 5 | 3 | 7 | 14:16 | 1 | 4 | 9 | 8:23 |

### პორტუგალია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 24 | 16 | 6 | 2 | 47:13 | 54 | 11 | 1 | 0 | 29:4 | 5 | 5 | 2 | 18:9 |
| სპორტინგი | 24 | 15 | 7 | 2 | 40:19 | 52 | 10 | 3 | 0 | 27:9 | 5 | 4 | 2 | 13:10 |
| ბენფიკა | 24 | 15 | 5 | 4 | 38:19 | 50 | 10 | 2 | 0 | 25:6 | 5 | 3 | 4 | 13:13 |
| გიმარაეში | 24 | 13 | 4 | 7 | 37:24 | 43 | 11 | 1 | 1 | 25:8 | 2 | 3 | 6 | 12:16 |
| მარიტიმუ | 24 | 9 | 8 | 7 | 27:24 | 35 | 5 | 6 | 1 | 14:6 | 4 | 2 | 6 | 13:18 |
| ბოავიშტა | 24 | 10 | 5 | 9 | 23:21 | 35 | 6 | 1 | 4 | 12:9 | 4 | 4 | 5 | 11:12 |
| ჟილ ვისენტე | 24 | 9 | 7 | 8 | 31:27 | 34 | 6 | 3 | 2 | 21:9 | 3 | 4 | 6 | 10:18 |
| ამადორა | 24 | 7 | 11 | 6 | 27:24 | 32 | 4 | 4 | 3 | 14:10 | 3 | 7 | 3 | 13:14 |
| ბელენენსეში | 24 | 6 | 12 | 6 | 27:25 | 30 | 4 | 7 | 2 | 16:14 | 2 | 5 | 4 | 11:11 |
| ალვერკა | 24 | 8 | 6 | 10 | 26:33 | 30 | 7 | 3 | 2 | 20:12 | 1 | 3 | 8 | 6:21 |
| ბრაგა | 24 | 8 | 3 | 13 | 29:33 | 27 | 5 | 1 | 6 | 16:13 | 3 | 2 | 7 | 13:20 |
| ლეირია | 24 | 6 | 8 | 10 | 23:26 | 26 | 4 | 5 | 4 | 13:10 | 2 | 3 | 6 | 10:16 |
| სალგეირუში | 24 | 7 | 5 | 12 | 20:30 | 26 | 3 | 4 | 5 | 8:13 | 4 | 1 | 7 | 12:17 |
| რიუ ავე | 24 | 6 | 7 | 11 | 25:35 | 25 | 5 | 4 | 3 | 17:16 | 1 | 3 | 8 | 8:19 |
| კამპომაიორ. | 24 | 6 | 7 | 11 | 21:33 | 25 | 5 | 4 | 3 | 11:10 | 1 | 3 | 8 | 10:23 |
| სანტა კლარა | 24 | 5 | 8 | 11 | 24:33 | 23 | 3 | 6 | 3 | 12:14 | 2 | 2 | 8 | 12:19 |
| ფარენსე | 24 | 5 | 8 | 11 | 22:47 | 23 | 4 | 4 | 3 | 14:16 | 1 | 4 | 8 | 8:31 |
| სეტუბალი | 24 | 4 | 5 | 15 | 17:38 | 17 | 4 | 2 | 6 | 14:17 | 0 | 3 | 9 | 3:21 |

### ბელგია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 25 | 18 | 6 | 1 | 67:24 | 60 | 9 | 3 | 1 | 36:14 | 9 | 3 | 0 | 31:10 |
| სტანდარდი | 25 | 16 | 2 | 7 | 57:36 | 50 | 9 | 1 | 2 | 27:10 | 7 | 1 | 5 | 30:26 |
| ბრიუგე | 25 | 14 | 4 | 7 | 54:25 | 46 | 9 | 0 | 4 | 36:12 | 5 | 4 | 3 | 18:13 |
| გენტი | 25 | 15 | 1 | 9 | 61:45 | 46 | 6 | 1 | 5 | 30:25 | 9 | 0 | 4 | 31:20 |
| ლიერსი | 25 | 13 | 5 | 7 | 53:31 | 44 | 10 | 1 | 1 | 35:8 | 3 | 4 | 6 | 18:23 |
| მუსკრონი | 25 | 13 | 4 | 8 | 53:37 | 43 | 8 | 2 | 2 | 28:13 | 5 | 2 | 6 | 25:24 |
| გენკი | 25 | 12 | 6 | 7 | 51:42 | 42 | 7 | 4 | 2 | 27:14 | 5 | 2 | 5 | 24:28 |
| ბეერსხოტი | 25 | 12 | 6 | 7 | 43:36 | 42 | 9 | 2 | 1 | 29:14 | 3 | 4 | 6 | 14:22 |
| ვესტერლო | 25 | 10 | 6 | 9 | 45:55 | 36 | 8 | 3 | 1 | 31:20 | 2 | 3 | 8 | 14:35 |
| ლოკერენი | 25 | 9 | 6 | 10 | 44:50 | 33 | 7 | 2 | 4 | 30:23 | 2 | 4 | 6 | 14:27 |
| მეხელენი | 25 | 10 | 3 | 12 | 40:56 | 33 | 7 | 3 | 3 | 25:22 | 3 | 0 | 9 | 15:34 |
| აალსტი | 25 | 10 | 2 | 13 | 45:51 | 32 | 6 | 0 | 7 | 23:24 | 4 | 2 | 6 | 22:27 |
| ჰარელბეკე | 25 | 8 | 4 | 13 | 48:50 | 28 | 6 | 3 | 4 | 35:24 | 2 | 1 | 9 | 13:26 |
| სტ. ტრუიდენი | 25 | 6 | 4 | 15 | 27:53 | 22 | 5 | 3 | 5 | 16:23 | 1 | 1 | 10 | 11:30 |
| ბევერენი | 25 | 5 | 6 | 14 | 33:54 | 21 | 3 | 4 | 5 | 15:18 | 2 | 2 | 9 | 18:36 |
| შარლერუა | 25 | 5 | 6 | 14 | 29:50 | 21 | 3 | 1 | 8 | 14:26 | 2 | 5 | 6 | 15:24 |
| გეელი | 25 | 3 | 9 | 13 | 20:45 | 18 | 2 | 5 | 6 | 13:21 | 1 | 4 | 7 | 7:24 |
| ლომელი | 25 | 1 | 10 | 14 | 23:53 | 13 | 1 | 7 | 4 | 13:19 | 0 | 3 | 10 | 10:34 |

### ჰოლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 24 | 18 | 2 | 4 | 73:20 | 56 | 8 | 1 | 2 | 37:9 | 10 | 1 | 2 | 36:11 |
| აიაქსი | 23 | 14 | 5 | 4 | 56:32 | 47 | 8 | 1 | 3 | 31:17 | 6 | 4 | 1 | 25:15 |
| ტვენტე | 24 | 12 | 10 | 2 | 40:21 | 46 | 9 | 3 | 0 | 27:11 | 3 | 7 | 2 | 13:10 |
| ფეიენოორდი | 24 | 13 | 7 | 4 | 46:29 | 46 | 8 | 2 | 1 | 18:5 | 5 | 5 | 3 | 28:24 |
| ჰერენვენი | 24 | 14 | 3 | 7 | 44:27 | 45 | 7 | 2 | 3 | 24:14 | 7 | 1 | 4 | 20:13 |
| ვიტესი | 25 | 12 | 8 | 5 | 48:36 | 44 | 10 | 1 | 2 | 32:19 | 2 | 7 | 3 | 16:17 |
| ალკმარი | 25 | 13 | 4 | 8 | 52:41 | 43 | 4 | 3 | 5 | 17:13 | 9 | 1 | 3 | 35:28 |
| ტილბურგი | 24 | 11 | 5 | 8 | 39:43 | 38 | 7 | 4 | 1 | 25:19 | 4 | 1 | 7 | 14:24 |
| როდა | 24 | 11 | 4 | 9 | 39:34 | 37 | 7 | 0 | 5 | 25:18 | 4 | 4 | 4 | 14:16 |
| უტრეხტი | 24 | 10 | 3 | 11 | 40:44 | 33 | 7 | 3 | 2 | 24:16 | 3 | 0 | 9 | 16:28 |
| ვალვაიკი | 24 | 10 | 3 | 11 | 34:46 | 33 | 5 | 3 | 4 | 17:24 | 5 | 0 | 7 | 17:22 |
| სპარტა | 24 | 9 | 3 | 12 | 35:47 | 30 | 7 | 1 | 5 | 24:21 | 2 | 2 | 7 | 11:26 |
| გრააფსხაპი | 24 | 5 | 8 | 11 | 30:38 | 23 | 3 | 5 | 4 | 17:18 | 2 | 3 | 7 | 13:20 |
| სიტარდი | 23 | 4 | 7 | 12 | 29:38 | 19 | 3 | 5 | 4 | 21:20 | 1 | 2 | 8 | 8:18 |
| ნაიმეგენი | 24 | 5 | 4 | 15 | 28:46 | 19 | 5 | 0 | 7 | 13:17 | 0 | 4 | 8 | 15:29 |
| მაასტრიხტი | 24 | 4 | 6 | 14 | 31:52 | 18 | 3 | 4 | 5 | 19:24 | 1 | 2 | 9 | 12:28 |
| კამბური | 24 | 2 | 6 | 16 | 20:51 | 12 | 2 | 4 | 6 | 11:19 | 0 | 2 | 10 | 9:32 |
| დენ ბოსხი | 24 | 2 | 6 | 16 | 22:61 | 12 | 2 | 5 | 5 | 14:26 | 0 | 1 | 11 | 8:35 |

### საფრანგეთი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 28 | 20 | 4 | 4 | 40:16 | 64 | 12 | 0 | 1 | 19:3 | 8 | 4 | 3 | 21:13 |
| გენგამი | 28 | 14 | 8 | 6 | 50:34 | 50 | 8 | 3 | 3 | 30:17 | 6 | 5 | 3 | 20:17 |
| ტულუზი | 28 | 14 | 6 | 8 | 41:21 | 48 | 8 | 2 | 5 | 25:12 | 6 | 4 | 3 | 16:9 |
| ლავალი | 28 | 11 | 10 | 7 | 32:27 | 43 | 8 | 3 | 3 | 19:13 | 3 | 7 | 4 | 13:14 |
| ლე მანი | 28 | 10 | 12 | 6 | 35:30 | 42 | 6 | 8 | 0 | 20:10 | 4 | 4 | 6 | 15:20 |
| აიაჩო | 28 | 12 | 5 | 11 | 28:29 | 41 | 8 | 1 | 5 | 14:10 | 4 | 4 | 6 | 14:19 |
| კაენი | 27 | 9 | 13 | 5 | 33:21 | 40 | 5 | 6 | 3 | 22:15 | 4 | 7 | 2 | 11:6 |
| სოშო | 28 | 11 | 6 | 11 | 34:34 | 39 | 6 | 1 | 6 | 17:17 | 5 | 5 | 5 | 17:17 |
| ლორიანი | 28 | 10 | 7 | 11 | 25:28 | 37 | 4 | 7 | 2 | 16:8 | 6 | 0 | 9 | 9:20 |
| ნიმი | 28 | 9 | 9 | 10 | 33:32 | 36 | 5 | 6 | 3 | 20:17 | 4 | 3 | 7 | 13:15 |
| გენიონი | 27 | 7 | 14 | 6 | 31:26 | 35 | 3 | 7 | 2 | 16:12 | 4 | 7 | 4 | 15:14 |
| კანი | 28 | 8 | 11 | 9 | 22:25 | 35 | 6 | 4 | 4 | 10:10 | 2 | 7 | 5 | 12:15 |
| შატორუ | 28 | 8 | 10 | 10 | 29:33 | 34 | 5 | 4 | 5 | 14:14 | 3 | 5 | 5 | 12:16 |
| კრეტეი | 28 | 8 | 9 | 11 | 26:33 | 33 | 6 | 7 | 3 | 21:19 | 2 | 3 | 8 | 8:17 |
| ამიენი | 28 | 6 | 13 | 9 | 26:30 | 31 | 3 | 7 | 3 | 13:12 | 3 | 6 | 6 | 13:18 |
| ნიცა | 28 | 5 | 16 | 7 | 18:26 | 31 | 3 | 10 | 1 | 10:6 | 2 | 6 | 6 | 8:20 |
| ნიორი | 28 | 6 | 12 | 10 | 25:33 | 30 | 6 | 5 | 3 | 16:15 | 0 | 7 | 7 | 9:18 |
| ვასკეალი | 28 | 5 | 11 | 12 | 22:34 | 26 | 4 | 6 | 5 | 14:17 | 1 | 5 | 7 | 8:17 |
| ლუანი | 28 | 5 | 8 | 15 | 22:44 | 23 | 4 | 5 | 6 | 14:16 | 1 | 3 | 9 | 8:28 |
| ვალანსი | 28 | 3 | 12 | 13 | 24:40 | 21 | 3 | 6 | 5 | 11:12 | 0 | 6 | 8 | 13:28 |

### ავსტრია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 23 | 13 | 4 | 6 | 36:19 | 43 | 9 | 2 | 1 | 24:6 | 4 | 2 | 5 | 12:13 |
| ტიროლი | 22 | 13 | 4 | 5 | 33:19 | 43 | 8 | 2 | 1 | 19:4 | 5 | 2 | 4 | 14:15 |
| შტურმი | 23 | 11 | 7 | 5 | 39:19 | 40 | 7 | 2 | 2 | 25:9 | 4 | 5 | 3 | 14:10 |
| რიდი | 23 | 10 | 6 | 7 | 35:23 | 36 | 7 | 2 | 2 | 23:7 | 3 | 4 | 5 | 12:16 |
| გრაცერი | 23 | 10 | 4 | 9 | 29:27 | 34 | 6 | 3 | 3 | 16:8 | 4 | 1 | 6 | 13:19 |
| აუსტრია | 23 | 9 | 6 | 8 | 30:28 | 33 | 6 | 1 | 4 | 20:17 | 3 | 5 | 4 | 10:11 |
| ზალცბურგი | 23 | 8 | 8 | 7 | 23:22 | 32 | 6 | 4 | 2 | 15:9 | 2 | 4 | 5 | 8:13 |
| ლინცერი | 23 | 5 | 5 | 13 | 23:35 | 20 | 4 | 3 | 5 | 16:14 | 1 | 2 | 8 | 7:21 |
| ლუსტენაუ | 22 | 4 | 5 | 13 | 16:39 | 17 | 3 | 3 | 5 | 10:13 | 1 | 2 | 8 | 6:26 |
| ბრეგენცი | 23 | 4 | 5 | 14 | 16:49 | 17 | 2 | 5 | 4 | 10:15 | 2 | 0 | 10 | 6:34 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შეყვარებული მამაკაცი

ანდრე აგასის სახელი მათაც კი სმენიათ, ვინც ჩოგბურთით არასოდეს დაინტერესებულა. მსოფლიოს პირველ ჩოგანსა და ბოლო 10 თვის განმავლობაში 3 დიდი სლემის ტურნირის მომგებ ამერიკელს ამ რამდენიმე დღის წინ სტტ-ის ჟურნალისტები ესაუბრნენ. ხოტორა სუპერვარსკვლავმა მათ რამდენიმე საინტერესო კითხვაზე უპასუხა, მათ შორის ტაბუდადებულ თემაზე — თავის გელფრენდთან, ლეგენდარულ გერმანელ შტეფი გრაფთან ურთიერთობის შესახებაც



ანდრე აგასი

## ჩოგბურთი

ჩოგბურთისადმი ისეთი დამოკიდებულება, როგორც ახლა მაქვს, არასოდეს მქონია. წარმატებებს ყოველთვის სხვადასხვა მიზეზის გამო ვაღწევდი. თავიდან იმიტომ, რომ (ნიკ ბოლეტიერის) აკადემიიდან ახალგამოსული ახალგაზრდა დამოუკიდებელ ცხოვრებას ვიწყებდი, მერე კი ვცდილობდი, სხვათა იმედები არ გამეცრუებინა და ყველასთვის დამემტკიცებინა, რა მაგარი ვიყავი. მოკლედ, სინამდვილეში თამაში არც მიყვარდა, უბრალოდ, ეს ის პროფესია იყო, რომლის ნიჭიც აღმომაჩნდა. ახლა კი ჩოგბურთს მართლა ვაფასებ.

## დაბრუნება

ისე მოხდა, რომ კორტის გარეთ სხვა რამეებმა უფრო დამაინტერესა, რამაც ჩემზე დამღუპველი ზეგავლენა მოახდინა. როდესაც თამაშის სურვილს და სტიმულს კარგავ, შედეგი ზვავივით წაგლეკავს — თუ წინ არ მიიწევ, იგივე ადგილზეც ვერ ჩერდები და უკან-უკან იხევ.

ასე რომ, საბოლოოდ არჩევანის წინაშე დავდექი — ან ისევ მთელი ძალღონითა და მონდომებით უნდა მევარჯიშა, ან საერთოდ წავსულიყავი სპორტიდან. „არას“ სათქმელად მზად არ აღმოვჩნდი. არა, პენსიაზე გასვლა სერიოზულად არ მიფიქრია, მაგრამ მართლაც ბევრი რამ უნდა გამერკვია. ასე გაგრძელება ნამდვილად აღარ შეიძლებოდა.

1998-ში კლასიფიკაციაში 140-ე ადგილიდან მეექვსეზე ავინაცვლე, მაგრამ ამ წინსვლისთვის იმდენი უნდა მევარჯიშა, რომ დიდი ტურნირებისთვის მომზადებას ვერ ვასწრებდი. მნიშვნელოვან მატჩებში, რომლისთვისაც ამდენ ოფლს ვღვრიდი, თავდაჯერება მაკლდა. მხოლოდ შარშან, როლან გაროსის მოგების შემდეგ მივხვდი, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა.

## ვარდი უეკლოდ...

ყველაფერი, რასაც ბოლო ერთი სეზონის განმავლობაში მივაღწიე, მძიმე შრომის შედეგია, რადგან ჩემი თამაშის სტილი მეტად ძალისმიერია. 29 წლის ასაკში ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია — ტრავმების შემდეგ ისე იოლად ველარ იბრუნებ ფორმას და სწრაფადაც ველარ მიიწევ წინ. გარჯა, მეტი გარჯაა საჭირო. როდესაც ვარჯიშისას ამდენ ენერგიას ვხარჯავ, ზოგჯერ მგონია, რომ რამდენი წლით ვახალგაზრდავდები.

## შტეფი ვინ?

გენიოსი არ ვარ, მაგრამ თავიდანვე მივხვდი, რომ ჩვენი ურთიერთობა უდიდეს ინტერესს გამოიწვევდა. მეცინებოდა კიდეც, რა ადვილი ყოფილა რომანის ისე გაჩაღება, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგოს-მეთქი (აგასი და გრაფი ორი თვე ხვდებოდნენ ერთმანეთს, სანამ მასმედია რაიმეს იყნოსავდა).

## ა, ის შტეფი?

შტეფი შესანიშნავი ქალია. მასთან ყოფნა მსიამოვნებს, ის ჩემთვის ყველაფერია და მხოლოდ ბედნიერებას ვუსურვებ. მისგან, როგორც პროფესიონალისა და პიროვნებისგან, ბევრი რამ ვისწავლე. თავს უკეთ თუნდაც იმიტომ ვგრძნობ, რომ ასეთი ადამიანის გვერდით ვიმყოფები. მან იცის, რა არის მწვერვალების დაპყრობა და რას მოითხოვს ეს ადამიანისგან.

## უკან, მომავალში.

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ამ სიმაღლეებს დავუბრუნდებოდი. ნამდვილად არ მეგონა. არ ვიცი, მოვიგებ თუ არა მთელი დარჩენილი კარიერის მანძილზე თუნდაც კიდევ ერთ ტურნირს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრს ვიშრომებ, რათა უფრო უკეთესი გავხდე. ვფიქრობ, ეს შემიძლია, მე ხომ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმისთვის ჯერაც არ მიმიღწევია. თუმცა ისე არ გაიგოთ, რომ მომავალში ყველაფერს მოვიგებ — ეგებ სხვების მაქსიმუმი ჩემსას აღემატებოდეს. ყოველ შემთხვევაში, მიღწეულით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ.

# შტეფი უარზეა

ამასობაში კი შტეფი გრაფმა უარყო ხმები, რომ თავის 31-ე დაბადების დღეს ლას ვეგასში აგასისთან ქორწინებას დაამთხვევს.

მილოცვებით წალეკილმა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა თავის საინტერნეტო საითზე (თუ არ ვცდები, WWW.STEFANIE-GRAF.COM) ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, 14 ივნისს ქორწილს არ ვგეგმავთო. გერმანელმა არც ახალი თარიღი მიუთითა და ზემოაღნიშნულ თემაზე საუბარი საერთოდ არ ისურვა.

„გთხოვთ, ნუღარ გვიგზავნით წერილებს და ფაქსებს — ნათქვამია განცხადებაში — ყველაფერი ეს პრესის მოგონილია. მათ სურთ, თავიანთი ტირაჟი გაზარდონ“.

შეგახსენებთ, რომ ორიოდ კვირის წინ ჯერ გერმანულმა ბულვარულმა პრესამ აუწყა თავის მკითხველებს მოსალოდნელი ქორწილის შესახებ, მერე კი ინგლისურმა ყვითელმა გაზეთებმაც გამოიღეს ხელი.

„შტეფიმ იმდენი მილოცვა და შეკითხვა მიიღო, რომ ჩვენი ინტერნეტის საითი უსაშველოდ გადაიტვირთა. სწორედ ამიტომ მოისურვა მან, ამ საკითხვისთვის ნათელი მოეფინა“ — განუცხადა გაზეთ „ბილდს“ გრაფის მენეჯერმა ჰანს ენგერტმა.

სხვათა შორის, შტეფი მარტის დასაწყისში გერმანიაში გამოსათხოვარი ტურნეს მოწყობასაც გეგმავდა. სხვადასხვა ქალაქში — ჰანოვერში, ჰაიდელბერგსა და ჰამბურგში იგი იანა ნოვოტნას, ამანდა კუტცერსა და სამი წლის წინ გაპენსიონერებულ არგენტინელ გაბრიელა საბატინისაც უნდა გაჯიბრებოდა (ამ უკანასკნელზე ამბობენ, დიდ სპორტში დაბრუნება განიზრახაო)

მაგრამ თანამემამულეები გრაფს ჯერჯერობით ვერ იხილავენ — ჩოგბურთელმა თებერვალში იაპონიაში მუხლის ტრავმა მიიღო და რამდენიმე კვირით დასვენება ურჩიეს. შტეფი გამოჯანსალებას ლას ვეგასში, მავანი ხოტორა ჩოგბურთელის სახლში ელოდება.

**ავთანდილ სვანიძე**



შტეფი გრაფი






ფაბიო ბალტადო

# ზემოურები სახლში მიდიან

შუა საფრანგეთის ფიზიკური რუკის თვალის გადავლებაც კი კმარა იმის დასადგენად, რომ პარიზის სამხრეთ-აღმოსავლეთით ორასიოდე კილომეტრში მთავრდება დაბლობი და იწყება მოზრდილი სისტემა იმ მაღლობ-ზეგან-მთაგრეხილებისა, საფრანგეთის ცენტრალური მასივი რომ ეწოდება. ჰოდა, „პარიზი-ნიცის“ ტურის მონაწილეებმა უკვე მესამე ეტაპზე სწორედ ამ მასივში შეაბიჯეს და ახლა ლაჟვარდოვან სანაპირომდე ფეხბურთის სტადიონისხელა მოსწორებული ადგილის დანახვაც კი ძნელად თუ მოუწევთ. მესამე ეტაპი ველომრბოლებმა ნევერსა და ბელევილს შორის 209,3 კილომეტრზე დაფარეს და ფინიშზეც ბევრად უფრო მისავათებულნი ჩანდნენ წინა ეტაპთან შედარებით. ოღროჩოღროებში რბოლისას მარტო წინ გავარდნა უფრო ძნელია (სწორ ტრასასთან შედარებით) და მეტწილად ფინიშს ველომრბოლთა ჯგუფი უწევს ხოლმე. ბელევილშიც ასე მოხდა. ქალაქში ყველაზე უწინ, ერთბაშად 20 ველომრბოლისგან შემდგარი ჯგუფი შეგრიალდა და თამადობისთვის საბოლოო ბრძოლაც ამ ოცეულს შორის გაჩაღდა. გამარჯვება ფიცხელმა იტალიელმა, ფაბიო ბალდატომ იგრუნა და მართალია, ამან საერთო ჩათვლაში მეათე ადგილზე მაღლა ვერ აწია, სიხარულით ნამდვილად ალავსო. ვგრძნობ, როგორ უცებ ავმაღლდი მორალურადო — უთხრა ბალდატომ მასმედიას და იმედიანად დაუმატა: მილანი — სან რემოს ან ფლანდრიის ტურებიდან რომელიმეც რომ მომაგებინა, უბედნიერესი კაცი ვიქნებოდი, ამ უკანასკნელზე მაინც დიდი უილბლობა ამეკვიატა, ორჯერ ვიყავი მეორე, 95-ში და 96-შიო. „პარიზი — ნიცის“ მესამე ეტაპით კი ყველაზე მეტად ფრანგმა ლორან ბროშარმა იხეირა, ფინიშთან მესამე მივიდა და საერთო ჩათვლაშიც პირველი ადგილიდან ესტონელი იაან კირსიპუუ გააძევა. ესტონეთის ველებში ლაღად გაზრდილმა ბალტიელმა, ეტყობა, მთა იუცხოვა და მოწინავეებს 36 წამით ჩამორჩა. ეს კი საერთო ჩათვლაში პირველი ათეულის დასატოვებლადაც აღმოჩნდა საკმარისი.

**დავით გულუა**

### საერთო ჩათვლა

1. ლორან ბროშარი (საფრანგეთი, „ჟან დელატური“) — 9,54.50;
2. ანდრეას კლოედენი (გერმანია, „დოიჩე ტელეკომი“) — +10;
3. ფრენკი ენდრიუ (აშშ, „იუ-ეს პოსტალი“) — +12



# არ ვარ, ბატონო, მე ის კაცი!

რამდენიმე წრფელი წინადადება ერია გუშინწინ მიხაელ შუმახერის ფრანგული „ეკიპისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ამათგან უმთავრესი ეს გახლდათ: „არ მინდა, ისტორიაში შევიდე, როგორც ცივი და ანგარიშიანი გერმანელი, რომელსაც გამარჯვების მიღწევა ნებისმიერ ფასად სურს“, ხოლო უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო, შუმიმ კიდევ ორი ამგვარი რამ თქვა: „ფორმულა 1-ში რბოლა ისეთი მურტალი საქმეა, კაცმა ძნელად რომ ნერვები მოთოკოს“. და კიდევ: „არავინ იცის, როგორია ნამდვილი მიხაელ შუმახერი და ეს სხვა მრბოლებსაც შეეხებათ.“ დაგვირგვინება კი უბრალოდ დიდებული იყო, რადგან გერმანელი ფილოსოფიაში გადავარდა და თითქმის ძველი რომაული გამოთქმა გაიმეორა, მე ისეთივე ადამიანი ვარ, როგორც დანარჩენი მსოფლიო და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არისო. რა ხდება? რა და კვირას ფორმულა 1-ის პირველი, ავსტრალიური გრან პრი თამაშდება და ეტყობა, შუმახერს მოუნდა, არამარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც აღორძინებული შეხვდეს ამ მნიშვნელოვან ამბავს, გული ხინჯებისგან გაისუფთაოს და ხალხი თუ ცოტა უკეთესი თვალითაც შეხედავს, ხომ მთლად უკეთესი. ისე, ფორმულა 1-ის ორგზის ჩემპიონს ხინჯები ცოტათი კი უნდა აწუხებდეს. პრინციპი — „მიზანი ამართლებს საშუალებას“ ერთხელ 1994 წელს ბრიტი დეიმონ ჰილის წინააღმდეგ გამოიყენა, როცა თავისი ბოლიდი მისას დაატაკა, ცხვირი მოუნგრია, ჩემპიონიც გახდა და



მიხაელ შუმახერი

დანაშაულიც ხახვივით შერჩა. მეორედ შუმიმ სამი წლის შემდეგ მიჰქარა, ახლა კანადელ ჟაკ ვილნევს რომ აძგერა თავისი ბოლიდი და ამჯერად ყურიც აუწიეს: საერთო ჩათვლაში დაკავებული მეორე ადგილი წაართვეს.

და კიდევ ერთი. „ეკიპთან“ პათეტიკური საუბრისას შუმახერს ის როგორ გამორჩებოდა, თავი რომ უკვე „ფერარის“ ღვიძლი შვილი ჰგონია. „ფერარის“ 21 წელია, ჩემპიონი არ ჰყოლია არ და მათი იმედებით სავსე მზერა უპირველესად სწორედ შუმისკენაა მიმართული. ეს უკანასკნელიც გულმოლდგინედ აჯერებს აპენინელებს, ტყუილად არ გიჭმევიათ ჩემთვის სპაგეტი, მე უკვე თქვენი გუნდის ნამდვილი წევრი ვარ და თქვენთან თავს ბედნიერად ვგრძნობო. „დანარჩენი ჩემზე იყოს“ — ასე მაჟორულ ნოტაზე დაასრულა გერმანელმა „ეკიპთან“ საუბარი.

**დავით გულუა**

რაგბი

# მან-რიდის საქმე



სტიუარტ რიდმა (მარცხნივ) ოლივიე მანის ჩაფხუტი რომ წაამრო, ამას ფრანგის თავური მოჰყვა

**დღეს** ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში ექვსი ერის პირველობის სადისციპლინო კომისიის სხდომა გაიმართება. წესრიგის დამცველთა წინაშე საფრანგეთის ნაკრების შერკინების მესამეხაზელი და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ოლივიე მანი წარდგება. მას ბრალად ედება ის, რომ შოტლანდია-საფრანგეთის მატჩში (16:28) მეტოქეს თავი ჩაარტყა.

მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მესამეხაზელს, ექვსი ერის პირველობის დებულების თანახმად, 7-დან 36 კვირამდე დისკვალიფიკაცია ემუქრება. „ასეთი დარღვევისთვის ეს სასჯელია გათვალისწინებული, მაგრამ მანი შეიძლება ნაკლები დროით მოიკვეთოს, ანდა სულაც გამართლდეს“ — განაცხადა სადისციპლინო კომისიის წევრმა კენ რიდმა. თუ „მონფერანის“ წევრი მაინც დასაჯეს, მაშინ მას თავის კლუბში თამაშიც აეკრძალება.

ოლივიე მანი კომისიასთან შოტლანდია — საფრანგეთის შეხვედრის დამკვირვებელმა ჯონ ვესტმა დააბეზღა. „სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი, მთელი მატჩის ვიდეოჩანაწერი რამდენჯერმე ვნახე“ — განუცხადა სააგენტო ფრანს-პრესს წარსულში საერთაშორისო კატეგორიის ირლანდიელმა მსაჯმა.

დამკვირვებელს თამაშის დაწყებიდან 48 საათი ეძლევა საიმისოდ, რომ რომელიმე მორაგბის უდისციპლინობის შესახებ მის ფედერაციას შეატყობინოს. ოლივიე მანის სადისციპლინო კომისიაზე გამოძახების შესახებ ფაქსი საფრანგეთის რაგბის ფედერაციაში ორშაბათს, იქაური დროით 13 საათსა და 14 წუთზე მივიდა, ანუ ვადის გასვლამდე 1 საათითა და 46 წუთით ადრე, თორემ მანს ვერავინ დასჯიდა.

რა დააშავა ოლივიე მანმა? მხოლოდ ის, რომ სკოტ სტიუარტ რიდს ოდნავ თავი მოუქნია, თუმცა ვიდეოჩანაწერში დარტყმის მომენტი არ ჩანს. მანამდე რიდმა მანს მოურიდებლად მოგლიჯა დამცავი ჩაფხუტი და მეტად უხეშადაც დაეჯაჯგურა წასაქცევად. რიდს, რომელიც ფრანგული „ნარბონის“ ღირსებას იცავს, არანაირი ტრავმა არ მიუღია და არც შეხვედრის მსაჯსა და მის დამხმარეებს აღუნიშნავთ წესების დარღვევა. თუმცა ვესტმა სხვაგვარად განსაჯა...

ოლივიე მანს, ვისაც 26 წლისას უკვე 33 კეპი მოუხვეჭია, სადისციპლინო კომისიის სხდომაზე საფრანგეთის რაგბის ფედერაციის წარმომადგენელი პიერ კამუ და ადვოკატი პოლ მორიაკი დაიცავენ.

„ჩემი ქმედება, რა თქმა უნდა, არასწორი იყო, მაგრამ ამის გაკეთება თავად რიდმა მაიძულა. მეტოქის დაშავება არც მიფიქრია. თუ ჩემი ჟესტი აგრესიაა, მაშინ სკოტთაგანაც ბევრი უნდა დასაჯონ, რადგან სახიფათოდ გვბოჭავდნენ და ზედახორებშიც ხშირად გვირტყამდნენ წიხლებს“ — თქვა მონფერანელმა.

„მამლების“ მთავარმა მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა მომხდარის კომენტირებაზე უარი განაცხადა და თქვა, რომ ჟურნალისტებს განაჩენის გამოტანის შემდეგ, ანუ დღეს საღამოს დაელაპარაკება...

**გაგი გურული**

ჭადრაკი




# ვიში და შიში?

## ხალიფმანის მანია: არ წაგაგო გარისთან

**ლინარესში** ყაიმთა მოლხენის ჟამიც დადგა. თუ პირველად აქა-იქ რამდენიმე შედეგიანი პარტია მაინც გაკრთა, მეექვსე და მეშვიდე ტურნებში უკლებლივ ყველა მოჭადრაკემ ყაიმები მიითვალა და მათი უმრავლესობაც საკმაოდ მოსაწყენსა და მთქნარებისმომგვრელ სიტუაციაში გაილია. საწყენია, არადა, მეშვიდე ტურის სამივე პარტიაში ჩანდა იმის პერსპექტივა, რომ ფინალი ეფექტური გამოსულიყო და სატურნირო ცხრილიც ოდნავ მაინც შეცვლილიყო. ვიშვანათან ანანდმა და ვლადიმერ კრამნიკმა მხოლოდ 25 სვლა გააკეთეს და აქ ვიშიმ ერთხელაც დაამტკიცა, რომ ფრიადი კრიზისი აქვს. ადრე არავის შეუნიშნავს მასში ის თვისებები, გუშინწინ რომ აღმოაჩნდა: შიში გართულებების წინაშე და მშვიდობიანი სვლების დიდი სურვილი. საჭადრაკო მიმომხილველები გაოგნებულნი ჩანდნენ, როცა ინდოელი ყაიმს დაჰყაბულდა. პირწმინდად მოიგო დებიუტი, მეტოქეს პაიკში ხარისხი წაჰგლიჯო და ცენტრალურ ვერტიკალზე გაორებული ეტლები გყავდეს — ალბათ სავსებით საკმარისი მარაგია ენდშპილში მოსაგებად ბრძოლისთვის. რიგითმა ექსპერტებმაც კი ძალიან მალე თეთრებისთვის ორი-სამი პერსპექტიული გაგრძელება აღმოაჩინეს და დავიჯეროთ, ვიში ერთს მაინც ვერ ხედავდა? ანანდის თემაზე კომენტარს მკითხველს ვუთმობთ, ჩვენ კი ტურის ცენტრალურ პარტიას გავარჩევთ. პარასკევს მოგითხრეთ გარი კასპაროვისა და ალექსანდრ ხალიფმანის ერთ სწრაფ ყაიმზე და დავძინეთ, მე-7 ტურში საბჭოს ჩემპიონის მძვინვარებაა მოსალოდნელიო. კასპაროვმა გუშინწინ მართლაც ბევრი იბობოქრა, თუმცა ხალიფმანს ერთი გასაღებიც ვერ მოარგო. ფიდეს ჩემპიონმა ლინარესში შავებით ოპტიმალურ დებიუტს მიაგნო და ეფექტურად იყენებს. ფრანგულ დაცვაში კასპაროვმა დებიუტი მცირე უპირატესობით დატოვა, შემდეგ ისე მოახერხა, რომ ხალიფმანის მეფე ცენტრში მოაყუჩა და თავისივე ეტლი ჩააკეტინა. ამგვარი უწესრიგობა სუფევდა შავების ბანაკში, როცა ლაზიერები გაიცვალა და კასპაროვის სამი პაიკი ჯიქურ მიადგა ხალიფმანის მეფის თავდაცვის მისადგომებს, თუმცა საკმარისი გახდა ერთი მათგანი მე-5 ჰორიზონტალზე გადასულიყო, რომ შავი პაიკებიც წამოიქაჩნენ, თეთრებში აირივნენ და ისე ჩაკეტეს და ჩაგმანეს იქაურობა, ჭიანჭველა ვერ გაეპარებოდათ. არ იფიქროთ, რომ ამით მდგომარეობა გათანაბრდა. კასპაროვმა მაინც ნახა ხეირი: მისი თეთრუჯრიანი კუ შავებისაზე ბევრად ღონიერი ჩანდა და სწორედ ამ უპირატესობის გამოყენებაზე ეწვალა საბჭოს ჩემპიონი კარგა ხანს, 55-ე სვლაზე კი მეტოქეს ნახევარი ქულა მაინც დაუთმო. ესეც თქვენი ინტრიგა: ფიდესა და საბჭოს ჩემპიონების პირადი ბალანსი ლინარესშიც უცვლელი და თანაბარი დარჩა; ახლა ხალიფმანმა ბოლო ადგილიც რომ დაიკავოს, გულის კუნჭულში ალბათ, მაინც კმაყოფილი იქნება.

ერთადერთი კაცი, ვისაც ლინარესში „სიცოცხლის“ ნიშანწყალი ეტყობა, ალექსეი შიროვია და ამისთვის აქებენ კიდეც. ექსრიგელი პეტერ ლეკოს შავი ფიგურებით დაუხვდა, თუმც დასაწყისშივე ერთი თავისებური ქაჯური სვლა გააკეთა და მეფის ფრთაზე მძაფრი შეტევა წამოიწყო. სხვა იქნებ დაბნეულიყო, მაგრამ არა ლეკო! უნგრელმა იცოდა თავისი საქმე, სულ მალე რკინის ხელით მოთოკა შავი ფიგურები და მათი პაიკების თავხედური გამოხდომებით დასუსტებულ შიროვის მეფეს თავად შეუტია, ოღონდ არა ისე შმაგად, როგორც შიროვმა, არამედ პოზიციური თამაშის ყველა წესისა და რიგის დაცვით. ესპანეთის მოქალაქემ კიდევ არაერთხელ სცადა პარტიისთვის ინტრიგის შთაბერვა, ხან ხარისხს უთმობდა მეტოქეს და ხანაც სხვა გემრიელ სატყუარებს, მაგრამ უნგრელი გვერდზე არ იყურებოდა და ნელ-ნელა მიცოცავდა შავი მეფისკენ. ენდშპილში თამაში თეთრების სრული უპირატესობით გადავიდა და ისე ჩანდა, რომ მათი ორი გამსვლელიდან ერთი პაიკი მაინც უწევდა აღთქმულ მიწას, მაგრამ შიროვმა უნგრელს გადამწყვეტი წკიპურტი უთავაზა, როცა საიდანღაც მუდმივი ქიში გამოადნო. თითოეულ მოჭადრაკეს შემატებულ ნახევარ ქულებს თუ არ ჩავთვლით, სატურნირო ცხრილს არაფერი დასტყობია.

**დავით გულუა**

**სატურნირო ვითარება**

| | |
|---|---|
| 1-2. კასპაროვი, კრამნიკი | 4,5 |
| 3. ლეკო | 3,5 |
| 4-5. შიროვი, ხალიფმანი | 3 |
| 6. ანანდი | 2,5 |

კრივი

# ტაისონს გადაუდეს

**აქამდე** გამოცხადებული ამბავი, რომ მაიკ ტაისონი აპრილის თვეში იკრივებდა მილანში, მცდარი გამოდგა. ბრძოლა მილანში კი გაიმართება, მაგრამ 6 ან 22 მაისს.

ტაისონის სავარაუდო მეტოქედ კვლავაც მისი თანამემამულე ლუ სავარეზე რჩება, რომლის იტალიური წარმოშობაც ბრძოლის იტალიაში გამართვის საფუძველთა საფუძველია.



# ქალია, თანაც ალია!



ლეილა ალი — მშვენიერი და ღონიერი ასული მუჰამედისა

**კანადის** ონტარიოს პროვინციის ქალაქ უინძორის „უინძორ კაზინოს“ არენაზე თავისი მეოთხე ბრძოლა ჩაატარა მუჰამედ ალის ქალიშვილმა ლეილა ალიმ და მეოთხედ მოიგო.

პროფესიონალ ქალ მოკრივედ ერთი წლის წინათ შექმნილი ლეილა ალის, სამოცდაათი წამი დასჭირდა ვინმე კრისტალ არკანდის დასამარცხებლად. ამ უკანასკნელისთვის უინძორის რინგზე გამოსვლა პროდებიუტი იყო, ალის კი ოთხივე ბრძოლა ნოკაუტით აქვს მოგებული.

როგორც თავად ლეილამ აღნიშნა, მას მოსწონს ნოკაუტით გამარჯვებები.

ალიმ ამ ბრძოლაში 25 ათასი დოლარი აიღო, არკანდმა — მხოლოდ ხუთი.

„ხალხი ამბობდა, რომ მშვენიერი ფოტომოდელი ვიქნებოდი“. თქვა მუჰამედის ასულმა, „მაგრამ მე კრივი უფრო მხიბლავს“.

ლეილა ალის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა და მას წარსულის დიდ ჩემპიონთა შვილებმაც მიბაძეს — ჯო ფრეზერის და ჯორჯ ფორმენის ქალიშვილებმა, ჟაკლინმა და ფრიდამ, ასევე გამოაცხადეს პროფესიონალ მოკრივედ გახდომის სურვილი და ახლა დიდი სამეულის ქალ შთამომავალთა შერკინებას გეგმავენ.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# გიჟი მარტი აპრილში გასამართლდება

## გლადიატორებო ფეხზე ადექით, სასამართლო მოდის

4 აპრილს ბოსტონელი ჩხუბისთავი მარტი მაკსორლი ვანკუვერის სასამართლოს წინაშე წარდგება. მან პასუხი უნდა აგოს იმაზე, რომ განზრახ მოიქნია ყვანჯი და ვანკუვერელ დონალდ ბრაშირს თავი გაუხეთქა. მარტი მაკსორლის შეიარალებული თავდასხმა ბრალდება და თუ დაუმტკიცდა, სულ ცოტა, 18-თვიანი პატიმრობა ელის...

ნჰლ-ის და ბოსტონის წარმომადგენლები იმედოვნებდნენ, რომ საქმე აქამდე არ მივიდოდა და ყველაფერს ლიგა გადაწყვეტდა. „ვფიქრობთ, ლიგამ დროული და შესაბამისი რეაქცია მოახდინა მის საქციელზე. ამიტომ არ გვეგონა, რომ ამ საქმის სასამართლოში განხილვა გახდებოდა საჭირო" — განაცხადა ნჰლ-ის წარმომადგენელმა ბილ დეილიმ. შეგახსენებთ, რომ ლიგის მესვეურებმა მაკსორლი 23-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მომდევნო სეზონში მისი ყინულზე დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი კი ჰოკეისტის ნჰლ-ის კომისიონერ გერი ბეტმენთან შეხვედრაზე გადაწყდება.

მარტიც ნანობს, რომ ყველაფერი ასე წარიმართა. „კვლავ ვაცხადებ, რომ ეს ყველაფერი განზრახ არ ჩამიდენია. ძალიან იმედგაცრუებული ვარ, რადგან არავინ იცის, უკვე რამდენი დავკარგე" — განაცხადა მან ESPN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. ალბათ მიხვდით, რომ ამაში მაკსორლი დაკარგულ 72 000 დოლარს არ გულისხმობს. იგი ნანობს, რომ წლების განმავლობაში დამსახურებულ პატივსაცემი და წესიერი პოლიციელის სახელს ჩრდილი მიაყენა.

4 აპრილამდე სულ ცოტა დრო რჩება, თუმცა მაკსორლის ვექილებს სურთ, საქმის გარჩევა ზაფხულისთვის გადაიტანონ.

ეს მეოთხე შემთხვევაა, როცა ყინულზე მომხდარ ინციდენტს სასამართლო იხილავს. 1970 წელს სენტლუისელი უეინ მაკი და ბოსტონელი ტედ გრინი ერთ-ერთ თამაშში სასტიკი ჩხუბის გამო სასამართლოში დაიბარეს, მაგრამ მათ სასჯელს თავი დააღწიეს (გრინმა თავის ქალა დაიზიანა). ხუთი წლის შემდეგ ასევე ბოსტონელი დეივ ფორბსი წარსდგა სასამართლოს წინაშე, მინესოტელი ანრი ბუშას შეუბრალებელი ცემის გამო, თუმცა იოლად გადარჩა. აი, 1988 წელს კი ცნობილი მეგოლე და ასევე ჩხუბისთავი დინო სისარელი (მაშინ მინესოტაში თამაშობდა) ერთი დღით დააპატიმრეს — მან ტორონტოელ ლუკ რიჩარდსონს უთავაზა თავში ყვანჯი. როგორც ჩანს, ამჯერად საქმე გაცილებით სერიოზულადაა.



დონალდ ბრაშირისა (მარცხნივ) და მარტი მაკსორლის კინკლაობა კრიმინალით დასრულდა

7 მარტი

**ვაშინგტონი — ფლორიდა 4:2**

2:0 2:1 0:1

1:0 კონოვალჩუკი 2'08 (13); 2:0 ოუთსი 13'44 (13); 3:0 ბონდრა 21'22 (19); 4:0 დალინი 38'44 (11); 4:1 კოზლოვი 39'48 (16); 4:2 სტიუარტი 55'46 (8)

**ნეშვილი — ჩიკაგო 3:1**

1:0 2:0 0:1

1:0 ბორდელო 10'49 (7); 2:0 ბერეჰოვსკი 29'43 (12); 3:0 ლეგვანდი 35'48 (12); 3:1 ეჩინამი 42'03 (5)

**კალგარი — კოლორადო 3:8**

2:3 1:4 0:1

1:0 ვ. ბურე 4'15 (35); 1:1 იელი 9'13 (7); 1:2 დედმარში 9'44 (16); 1:3 ფუტი 10'13 (6); 2:3 ა. იუჰანსონი 18'36 (5); 3:3 უიმერი 24'12 (9); 3:4 რიდი 25'07 (9); 3:5 იელი 27'53 (8); 3:6 ჰეიდუკი 30'40 (28); 3:7 საკიკი 39'53 (17); 3:8 საკიკი 43'17 (18)

**სენტ ლუისი — ფინიქსი 4:0**

0:0 2:0 2:0

1:0 ფინლი 27'19 (2); 2:0 ჰანდზუსი 39'17 (22); 3:0 რიზონერი 52'39 (8); 4:0 იანგი 54'29 (19)

**ედმონტონი — ტორონტო 0:2**

0:2 0:0 0:0

0:1 დომი 3'44 (4); 0:2 პერო 13'56 (13)

**ლოს ანჯელესი — დეტროიტი 1:3**

0:2 0:0 1:1

0:1 ლიდსტრიომი 13'29 (17); 0:2 ფიოდოროვი 15'16 (20); 1:2 კარალაჰტი 52'42 (5); 1:3 ვერბიკი 59'01 (19)

# ფიოდოროვმა ანა დაივიწყა, ანა-ბანა გაიხსენა

რა განსხვავებაა ლიდერსა და რიგით მოთამაშეს შორის? ზოგი ფიქრობს, რომ ყველაფერი გოლებისა და პასების რაოდენობით განისაზღვრება, მაგრამ არც ასეა საქმე. ლეგენდარული რეი ბურკი, რომელიც 21 წლის განმავლობაში ერთგულად იცავდა ბოსტონის ღირსებას, ორშაბათს კოლორადოში გადავიდა და მეორე დღესვე ითამაშა ახალი გუნდის შემადგენლობაში. იგი ბევრით არაფრით გამორჩეულა. მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა საგოლე კომბინაციაში. ძირითადად დაცვითი ფუნქციებით იყო დაკავებული, მესამე პერიოდში კი მცირე ტრავმის გამო სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა, მაგრამ... არა, სიდიადე მხოლოდ ციფრებით როდი იზომება. ძალიან მნიშვნელოვანია ის გავლენაც, რომელსაც ვარსკვლავი თანაგუნდელებზე ახდენს. გუშინ სულ სხვა გუნდი იყო კოლორადო და ამაში ყველა დარწმუნდა.

განა კალგარის, კოლორადოს მეტოქე გამარჯვებისთვის არ იბრძოდა? ფრისა და სამი დამაჯერებელი მოგების შემდეგ „ალებს" მორიგი წარმატება ჰაერივით სჭირდებოდათ. ეს იცოდნენ მასპინძლებმა, მაგრამ ისიც ესმოდათ, რომ ესოდენ დიდი ჰოკეისტის პირველ მატჩში მისი პარტნიორები ყველაფერს ილონებდნენ, მის გასახარებლად. ასეც მოხდა.

კვლავ გამოირჩა კოლორადოელთა კაპიტანი ჯო საკიკი. მას შემდეგ, რაც ქალაქში ჭორები გავრცელდა, საკიკი ძველებურად ველარ თამაშობს და შეიძლება მალე გაცვალონო, მან ზედიზედ სამი დუბლი შეასრულა და სკეპტიკოსებს ამგვარად გასცა პასუხი. კაპიტანმა მატჩის ბოლო ორი გოლი მიითვალა, მანამდე კი „ეველანშის" ამომავალმა ვარსკვლავებმა — კრის დრურიმ (4 პასი), ალექს ტანგეიმ (3 პასი) და მილან ჰეიდუკმა (1+2) ისახელეს თავი. ბურკის პარტნიორმა დაცვის წყვილში, ადამ ფუტმაც (1+1) მისთვის ერთობ უჩვეულო შედეგი აჩვენა, ხოლო ასევე ორშაბათს გაცვლილმა ცნობილმა ფორვარდმა დეიკ ანდრეიჩუკმა დებიუტი პასით აღნიშნა. ამრიგად კოლორადომ დამაჯერებლად მოიგო, პირველად სეზონში რვაჯერ გაიტანა და ყველას დაუმტკიცა, რომ მიუხედავად წლევანდელი არცთუ დამაჯერებელი ასპარეზობისა, იგი თასის ერთ-ერთ მთავარ მაძიებლად რჩება.

კოლორადოს კიდევ არაერთხელ მართებს ასეთ დონეზე თამაში, რათა მეტოქენი საკუთარ სიძლიერეში დაარწმუნოს, ისე როგორც ეს სენტ ლუისმა შეძლო. „ბლუზმენთა" წინსვლა მართლაც რომ ფანტასტიკურია და უპირველესად ეს დაცვის დამსახურებაა. სენტლუისელთა მეტოქეებს საშუალოდ მხოლოდ 22 (!) დარტყმის საშუალება ეძლევათ. ფინიქსთან თამაშში კი მათ კარის დაცვის სანიმუშო მაგალითი აჩვენეს. „დღეს მართლაც რომ არაჩვეულებრივად ვითამაშეთ დაცვაში. ორი პერიოდის განმავლობაში მეტოქემ ვერაფერი მოგვიხერხა" — „ბლუზმენთა" მეკარემ, რომან ტურეკმა სეზონში მე-5 შათაუტი შეასრულა და პარტნიორებს ერთობ ემადლიერებოდა, აქაოდა უსაქმოდ დამტოვესო. ამიტომაც, როცა მიხაილ ჰანდზუსმა ანგარიში 2:0-მდე გაზარდა, მატჩის ბედი უკვე გაირკვა. ფინიქსი აშკარად არაა ფორმაში. გუნდი ზუსტად იმეორებს შარშანდელს (ბრწყინვალე სტარტი, შემდეგ გრძელი დაღმართი და ფიასკო პლეი ოფში), ძალიან ბევრს უშვებს, ხოლო კაპიტან კეიტ ტკაჩუკის არყოფნაში ეულად დარჩენილი ჯერემი რენიკი რას გააწყობს.

ამიტომაც შეშფოთდნენ გუნდის მესვეურები და გუშინ ნიუჯერსელი, გამოცდილი მცველი ლაილ ოდელეინი მიიპატიჟეს, მის ნაცვლად კი ასევე მცველი დერონ ქუინტი გაუშვეს.

ჯერ კიდევ ორი თვის წინ, ფლორიდას ლიდერობა სამხრეთ-აღმოსავლეთში არანაირ ეჭვს არ იწვევდა. „პანტერები" უახლოეს მდევარ ვაშინგტონს 15 ქულით უსწრებდნენ, მაგრამ ახალ, 2000 წელს დედაქალაქელები ისე ათამაშდნენ, რომ სხვაობა თანდათან შეამცირეს, გუშინ კი კონკურენტს პირად შეხვედრაში მოუგეს და გაუსწრეს კიდეც. „კეპიტალსმა" კონტრშეტევით სტილში მაქსიმალურად გამოიყენა თავისი კოზირები და პაველ ბურეს პრობლემაც წარმატებით გადაწყვიტა. „რუსულ რაკეტას" ყველა პერიოდში ახალ-ახალ მეურვეს უყენებდნენ და მან ორი შორეული დარტყმის მეტი ველარაფერი მოახერხა.

ბურეს უილბლო მეტოქე, დეტროიტელი სერგეი ფიოდოროვი კი, რაც ანას გული ვერ დაიპყრო, ეტყობა, მხოლოდ ჰოკეიზე გადაერთო, რაზეც მისი ბოლო ორი თამაშიც (ტრავმის მორჩენის შემდეგ) მეტყველებს. დალასთან საკვირაო შეხვედრაში სერგეი (2+1) თავის გუნდში საუკეთესო იყო, ახლაც მეტად მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა, თანაც უმცირესობაში. ასე რომ, იმედია, სეზონის საპლეიოფო ბატალიებში კვლავ ძველ ფიოდოროვს ვიხილავთ.

„დღესდღეობით ლიგაში მხოლოდ ორი მეკარეა, რომლებიც მეტოქეებზე საოცარ გავლენას ახდენენ. მათ პირისპირ რომ რჩები, სულ იმას ფიქრობ, რაც შეიძლება ძლიერად და კარგად დაარტყა, მაგრამ ზედმეტი მონდომების გამო არაფერი გამოგდის. ესენი კერტის ჯოზეფი და დომინიკ ჰაშეკი არიან" — ედმონტონელი გამთამაშებლის, დუგ უეიტის სიტყვები ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რატომ დამარცხდა მისი გუნდის ტორონტოსთან შეხვედრაში. აი, სწორედ ეს არის სიდიადე, რაც ჯოზეფის მიერ მოგერიებულ 33 დარტყმასა და ყოფილ თანაკლუბელებთან მის ზედიზედ მეექვსე მოგებაზე უფრო მნიშვნელოვანია.

**სამველ ლარიბიანი**

## სატურნირო ვითარება

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 67 | 38 | 8 | 5 | 21 | 202:162 | 89 |
| ტორონტო | 67 | 37 | 7 | 3 | 23 | 203:176 | 84 |
| ვაშინგტონი | 67 | 35 | 11 | 1 | 21 | 180:158 | 82 |
| ფილადელფია | 65 | 34 | 10 | 2 | 21 | 190:149 | 81 |
| ფლორიდა | 67 | 35 | 5 | 5 | 27 | 198:166 | 80 |
| ოტავა | 66 | 33 | 11 | 2 | 22 | 193:168 | 79 |
| პიტსბურგი | 65 | 27 | 8 | 6 | 30 | 192:189 | 68 |
| რეინჯერსი | 67 | 27 | 10 | 3 | 30 | 188:187 | 67 |
| მონრეალი | 66 | 28 | 7 | 3 | 31 | 155:155 | 66 |
| კაროლინა | 66 | 28 | 9 | 0 | 29 | 173:183 | 65 |
| ბუფალო | 67 | 26 | 10 | 2 | 31 | 166:173 | 64 |
| ბოსტონი | 66 | 19 | 17 | 4 | 30 | 164:196 | 59 |
| აილენდერსი | 66 | 19 | 8 | 1 | 39 | 155:216 | 47 |
| ტამპა | 64 | 15 | 7 | 6 | 42 | 161:242 | 43 |
| ატლანტა | 65 | 12 | 6 | 4 | 47 | 140:242 | 34 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 66 | 43 | 7 | 0 | 16 | 205:133 | 93 |
| დალასი | 66 | 36 | 6 | 3 | 24 | 163:144 | 81 |
| კოლორადო | 68 | 31 | 10 | 1 | 27 | 191:174 | 73 |
| დეტროიტი | 67 | 40 | 7 | 1 | 20 | 225:174 | 88 |
| ფინიქსი | 66 | 33 | 7 | 1 | 26 | 192:184 | 74 |
| ლოს ანჯელესი | ‘6 | 31 | 8 | 3 | 27 | 208:194 | 73 |
| ედმონტონი | 67 | 25 | 15 | 8 | 27 | 185:175 | 73 |
| სან ხოსე | 68 | 28 | 8 | 7 | 32 | 186:178 | 71 |
| კალგარი | 67 | 28 | 8 | 5 | 31 | 179:205 | 69 |
| ანაჰაიმი | 67 | 28 | 10 | 1 | 29 | 177:185 | 67 |
| ვანკუვერი | 66 | 23 | 12 | 7 | 31 | 174:193 | 65 |
| ნეშვილი | 67 | 23 | 6 | 6 | 38 | 170:198 | 58 |
| ჩიკაგო | 66 | 24 | 7 | 2 | 35 | 194:210 | 57 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

## კვირის მოთამაშე

### ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი)



ერთი მატჩიც იკმარებდა, ვაშინგტონელთა მეკარე ოლაფ კოლციგი წინა კვირის ყოჩად რომ დასახელებულიყო. პარასკევს „კეპიტალსი" დეტროიტს მასპინძლობდა, მალე 2:0 დაწინაურდა და... მეტოქე განარისხა. სტუმრები ოვერტაიმის ბოლო წამებამდე განუწყვეტლივ უტევდნენ და 54-ჯერაც დაარტყეს, მაგრამ კოლციგი კლდესავით იდგა და შეხვედრა, რომლის ლოგიკური შედეგიც 2:7 ან 2:8 უნდა ყოფილიყო, ფრედ 2:2 დასრულდა. დედაქალაქელთა მეკარემ 52 მოგერიებით პირადი რეკორდიც დაამყარა, თუმცა მანამდე ჩატარებულ ორ მატჩში (აილენდერსთან 3:2 და ტამპასთან 4:2) და მერეც (კვირას ბუფალოს 2:1 სძლია) შეუდარებელი იყო და სეზონში მე-11 გოლკიპერი გახდა, ვინც წლეულს კვირის ლაურეატის ტიტული დაისაკუთრა. კოლციგისთვის ეს კარიერაში მესამე ამგვარი აღიარებაა, ამ სეზონში კი თვის (იანვრის) საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს.

**საუკეთესო ექვსეული.** 28 თებერვალი — 5 მარტი

*ოლაფ კოლციგი* (ვაშინგტონი, 2); *ნიკლას ლიდსტრიომი* (დეტროიტი, 3) — *კრის პრონგერი* (სენტ ლუისი, 3); *ჯო საკიკი* (კოლორადო, 1) — *საკუ კოივუ* (მონრეალი, 1) — *ტონი ამონტე* (ჩიკაგო, 2)




დეტროიტელთა მეკარე კრის ოსგუდმა შაიბა და მეტოქეთა იმედები ქვეშ მოიქცია



# მაშინ მოკვდეს დერბიშირი



 აგერ სამი საუკუნეა დერბიშირის პატარა ქალაქ ეშბურნში ფეხბურთის უძველეს სახეობას, შროვიტაიდულ ბურთაობას მისდევენ. ორად გაყოფილი ქალაქი, ზემოუბნელები და ქვემოუბნელები ცდილობენ ბურთი ერთმანეთს გამოგლიჯონ და სამჯერ მოარტყან ქალაქის სამრეკლოს კარს. აბა, რით არ არის ჩვენებური ლელოს შემობრუნება, გურიიდან რომ გვახსოვს. ჩვენში ლელო როგორღაც დაიჩრდილა, დერბიშირში კი ამბობენ, მაშინ მოკვდეს დერბიშირი, შროვიტაიდი თუ არ ითამაშოსო.

## კარნავალი რიოში

*რიო დე ჟანეიროში სწორედ ის ხდება, რაც ფეხბურთივით უყვართ ბრაზილიელებს. ხუთასი წლის წინათ პორტუგალიელი კაპიტონ-მორები მიცურდნენ, სადაც ახლა რიო დე ჟანეიროა. აქ კი ინდიელები დაუხვდნენ. მერე პორტუგალიელებმა ზანგი მონები ჩამოიყვანეს აფრიკიდან. მთელი ამ ამბიდან კი გამოვიდა თავისუფლება, დიდი მზიანი ქვეყანა, ლაღი ჰანგები და სამბა. მერე კი ააგეს რიოს განთქმული „სამბა-დრომი“ და ადამიანის სხეულის საუკეთესოდ წარმომჩენმა კარნავალმაც აქ დაიდო ბინა. ეს გოგომჯა კი რიოს პორტო დი პედრას სამბას სკოლის მოწაფე ყოფილა.*



# ლენოქსის გამოჩენა

მსოფლიოს უდავო ჩემპიონი კრივის მძიმე წონაში ლენოქს ლუისი, დიახაც სიამაყით წარმოგვიდგენს თავის შარშანდელ ნადავლს — სატიტულო ქამრებს. ოღონდ, კრივი ისეთი რამეა, რომ ქამრებს სამუდამოდ არავინ მოგაკუთვნებს. ლენოქსის სურვილია, რომ სამივე ქამარი ერთდროულად დაიცვას, კრივის მსოფლიო ასოციაცია (ვბა) კი შეჩენია, გინდა თუ არა, ჩვენი ტიტული ცალკე დაიცავი მავან პრეტენდენტ ჯონი რუისთან ბრძოლაშიი. მოკლედ, ლას ვეგასში ამბობენ, სულაც ჩამოვართმევთ მაგ ბრიტს ჩვენს ქამარსო...

# სასკატუნის ბილიკზე

*უცნაური რამ შეჯიბრია ეს ქარლინგი. იატაკის ჯაგრისის კარგად მოხმარების საკითხი მასში მეტად აქტუალურია. ჩრდილოეთის ხალხები ყინულსაფარზე სიპი რამ ·საგნის გაცურებას და მისთვის ყვანჯ-ჯაგრისის წინარე ხახუნით ნიშნულზე თამაშს ინტერესით მისდევენ. კანადის სასკაჩევანის პროვინციის ქალაქ სასკატუნში ჩრდილო პროვინციათა შეჯიბრი მიმდინარეობს, „ლაბატბრიე“, თუ რაღაც ამგვარი ჰქვია. თვითონ სასკაჩევანელებიც აქ არიან, ბრიტანეთის კოლუმბიელებიც, კვებეკელებიც და ცივ ნიუფაუნდლედის მონდომებული მოქარლინგენიც.*







# პატივი მოჭიდავეს

ბელგიის უფლისწული ფილიპი საგანგებო სიგელს გადასცემს თავის ქვეშევრდომ ძიუდოისტს, გელა ვან დეკავეიეს. ეს ძიუდოისტი ბელგიელ ავტორიტეტებს წლის საუკეთესო ბელგიელ სპორტსმენად ჩაუთვლიათ. ჩემპიონი ქალია, ეკუთვნის.





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli